„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ქართული სიტყვა

№8 (272)

ფასი 1 ლარი

25 თებერვალი - 3 მარტი 2015 წ.

ლიტერატურა, ხელოვნება, პოლიტიკა

გაგვიდის თითოეულ ოთხშაბათით

თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი (www.tesau.edu.ge)
ეირჩიეთ 071

ცოლ-ქმარი, რომელიც რუსულ სპეცსამსახურებზე მუშაობს

>>> მე-2-3 გვ.

კრემლის ქართველი „ოდნოერები“ და ორმაგი აგენტები

რუსებმა ქართველები წმინდა მიქაელ მთავარანგელოზის ეკლესიის კედელზე მიახვრიტეს — ინტერვიუ, რომელიც შეგძრავთ

ირაკლი ალასანია: „საწუწუნო არაფერი მაქვს, ყველაფერი ძალიან კარგად მიდის!“

„სრულიად ღიად და ცხადად გეუბნებით: არც მიმდინარეობს და არც მომავალში ვაპირებთ რაიმე სახის პოლიტიკურ კონსულტაციას არც „ქართულ ოცნებასთან“ და არც — „ნაცმოძრაობასთან“. არჩევნებში ჩვენ ორივეს დავამარცხებთ!“

>>> მე-8-9 გვ.

„რაც შეეხება ჩემს დაჭერას, შეიძლება, განზრახვა ჰქონდათ, მაგრამ გამგებლობა არ ეყოფათ!“

როგორ ვებრძოლოთ გრიპის საშინელ ვირუსს, რომელმაც მთელი საქართველო ჩააწვინა

თინა თოფურიას ვაქცინა

>>> მე-15 გვ.

და პრაქტიკული რჩევები

სოლომონ პავლიაშვილი ხელისუფლებას ლარის გადარჩენის გეგმას სთავაზობს

>>> მე-4 გვ.

„რომელიმე დიდი ობიექტის სასწრაფო პრივატიზება უნდა მოხდეს!“

ჩვილების უცხოეთში გაყვანის სკანდალური სქემა

>>> მე-13 გვ.

„პროკურატურის მიერ საქმის გაჭიანურება დანაშაულის განზრახ დამალვას ჰგავს“

ფრთხილად: ხმაურისთვის 300-დან 1000-ლარამდე დაჯარიმდებით!

>>> მე-17 გვ.



კრემლის ქართველი „ოდეერები“ და ორმაგი აგენტები

სკანდალური ექსკლუზივი

რამდენიმე დღის წინ, რუსეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელი დაგვემუქრა, თუკი ნატო საქართველოს ალიანსში „ჩასათრევად“ პრაქტიკულ ნაბიჯებს გადადგამს, რუსეთი აუცილებლად შესაბამის ზომებს მიიღებსო. სერგეი ლავროვი ოფიციალურმა თბილისმა დაამშვიდ-დააიმედა, ნუ ჯავრობ, ყველაფერი კარგად იქნება და საქართველოში ნატო-ს სამხედრო ინფრასტრუქტურა არ განთავსდებაო. ოფიციალური თბილისის ეს განცხადება ნიშნავს თუ არა საგარეო კურსის ცვლილებას, ან რას მოგვცემს ნატო-ს საწვრთნელი ბაზების განლაგება? — ამ შეკითხვით „ქართულმა სიტყვამ“ უშიშროების თადარიგის პოლკოვნიკს, უსაფრთხოების ექსპერტ კონსტანტინე ფორჩხიძეს მიმართა, რომელიც თითქმის ერთი წელია, „ქართული სიტყვის“ სკანდალური ინტერვიუების ციკლში ფაქტებითა და დოკუმენტებით მხოლოდ იმას კი არ ასაბუთებს, რომ მიხეილ სააკაშვილი კრემლის პროექტია, არამედ, აქცენტს სახელისუფლო თუ პოლიტიკურ ელიტაში თავშეფარებულ რუსული სპეცსამსახურების ოპერატიულ წყაროებზეც აკეთებს.

კონსტანტინე ფორჩხიძე: — საქართველოს ხელისუფლებას შეეძლო, ლავროვის მუქარა „გაეტარებინა“, მაგრამ რეაქცია უცებ მისცა. ისე, თუ ღრმად წავალთ, მივხვდებით, რომ ოფიციალური თბილისის განცხადება საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასთან დაკავშირებით ვაჭრობაა.

— „ტერიტორიულ მთლიანობასთან დაკავშირებული ვაჭრობა“ რას ნიშნავს?

— მოდით, ჯერ ის გავარკვიოთ, თუ რატომ წამოიწია მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში რუსეთის გაწევრიანებაზე საქართველოს მხარდაჭერისა და 2011 წელს დაწყებული მოლაპარაკებების საკითხმა. ამ მოლაპარაკებაში საქართველოს საგარეო საქმეთა მაშინდელი მინისტრი, გრიგოლ ვაშაძე იყო ჩართული და გარკვეული პირობები წამოაყენა, თუ რა შემთხვევაში დაუჭერდა მხარს საქართველო რუსეთის ზემოხსენებულ ორგანიზაციაში გაწევრიანებას. ქართული მხარის მთავარი მოთხოვნა ასეთი იყო — ფსოუსა და როკის გვირაბთან ქართველი მებაჟეები დადგებოდნენ, რომლებიც ტვირთების მიმოსვლას გააკონტროლებდნენ და ამით არაკონტროლირებადი ტერიტორიების გარკვეულ კონტროლს განახორციელებდნენ, თუმცა ამ მოთხოვნაზე რუსეთი არ წამოვიდა.

— ქართული მხარის მოთხოვნა მართებული იყო?

— რა თქმა უნდა.

— რატომ?

— იმიტომ, რომ ფსოუსა და როკის გვირაბთან ქართველი მებაჟეების დაყენება, პრაქტიკულად, საზღვრის დაფიქსირებას ნიშნავდა. შესაბამისად, კრემლს ურთიერთობა ოკუპირებული ტერიტორიების ე.წ. მთავრობებთან კი არა, საქართველოს ხელისუფლებასთან ექნებოდა. საბოლოოდ, მხარეები ელექტრონულ აღრიცხვაზე შეთანხმდნენ, ანუ რუსულმა მხარემ აიღო ვალდებულება, რომ საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ტვირთების გადაადგილებასთან დაკავშირებით ინფორმაციას ელექტრონულად მოაწვდიდა, მაგრამ ეს შეთანხმება აღარ სრულდება.

— ამის მიზეზი ხელისუფლების ცვლილება ხომ არაა?

— „ნაცმოძრაობა“ ხელისუფლებიდან კი წავიდა, მაგრამ ესეც, სხვა შეთანხმებების მსგავსად, „ოცნებამ“ მემკვიდრეობით მიიღო.

სხვათა შორის, რამდენიმე კვირის წინ, საგარეო საქმეთა მინისტრმა ე.წ. აბაშიძე-კარასინის ფორმატის შეწყვეტაზე განცხადება გააკეთა, მაგრამ მერე, გადაათქმევინეს და განაცხადა, მოლაპარაკებების შეწყვეტა არ მიგულისხმია და ჟურნალისტებმა დაამახინჯესო.

— ვინ გადაათქმევინა?

— ვერც ამერიკელები გადაათქმევინებდნენ და ვერც — რუსები. ბერუჩაშვილს განცხადება იმან გადაათქმევინა, ვისაც ემორჩილება...

— ბატონო კოტე, რაკიღა სიტყვა მოლაპარაკებებზე ჩამოვარდა, შეიძლება, ვივარაუდოთ, რომ ამ შეხვედრების ფარული მიზანი საქართველოს ევრაზიულ კავშირში გაწევრიანებაა?

— ჯერ ამის ნიშნები არ ჩანს, თუმცა გამორიცხული არაფერია.

— საერთოდ, როგორ ფიქრობთ, საქართველოს მთავრობაში რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში სპეციალური წარმომადგენლის, როგორც თანამდებობის, არსებობა აუცილებელია?

— მე რომ ვყოფილიყავი, ასეთი თანამდებობის შექმნა არ დამჭირდებოდა და თუკი მოლაპარაკების აუცილებლობას დავინახავდი, მოლაპარაკებას პირადად დავიწყებდი.

— ისე, ოკუპირებულმა ქვეყანამ ოკუპანტს რაზე უნდა ელაპარაკოს?

— პირველ რიგში, — დეოკუპაციაზე, საქართველოს ტერიტორიიდან რუსული ჯარის გაყვანასა თუ საზღვრების დელიმიტიზაცია-დემარკაციაზე...

— ბოლო დროს ქართული მხარის მთავარი მესიჯები ასეთია: საქართველოში ნატო-ს საწვრთნელი ბაზები არ განთავსდება და ამით რეგიონში კონფლიქტის ესკალაციას ხელს არ შევუწყობთო...

— აქ კიდევ სხვა კონტექსტია.

„დააკვირდით, აფხაზეთსა და სამეგრელოში, კერძოდ, გალში რა პროცესები მიმდინარეობს: მეგრული ტელევიზია დაარსდა და მეგრული ენის წინა პლანზე წამოწევის საკითხიც დაისვა. თუ გახსოვთ, ამ თემებზე ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ ვილაპარაკეთ. ასევე, საგულისხმოა, რომ მეგრულად სპეციალური ლიტერატურა გამოიცა, რომელიც იაკობ გოგებაშვილის „დედა ენის“ ჩანაცვლებისკენაა მიმართული. მოკლედ, ყველაფერ ამით კრემლი საქართველოს ხელისუფლებას თავისი გავლენის მიმართულებებს ანახებს და ეუბნება, რომ სამეგრელოში სეპარატიზმის გაღვივება შეუძლია“.

ცოლ-ქმარი, რომელიც რუსულ სპეცსამსახურებზე მუშაობს

— სახელდობრ?

— სხვათა შორის, ქვეტექსტი ლავროვის განცხადებაშიც იყო...

ვანო, თუ გახსოვთ, ადრე გამოვთქვი ვარაუდი, საქართველომ ევროატლანტიკური ინტერესები შეიძლება, ტერიტორიული მთლიანობის სანაცვლოდ დათმოს-მეთქი, ანუ რუსული გეგმაა, რომ ნატო-ზე უარის სანაცვლოდ, ე.წ. დაკარგული ტერიტორიები საქართველოს შემადგენლობაში კონფედერაციის სტატუსით, ან სხვა ფორმატით დაბრუნდნენ. ეს რუსების პროგრამა მინიმუმია, რითიც საქართველოზე გავლენას აღადგენენ. მოკლედ, რუსეთისთვის პირველი საფრთხე ნატოა — დიახ, კრემლს საქართველოს ევროკავშირისკენ კი არა, ნატო-სკენ სწრაფვა აღიზიანებს! ამ ფონზე ლავროვის განცხადება ბუნებრივია, მაგრამ წეღანაც გითხარით, ქართულ მხარეს მასზე მყისიერი რეაქცია არ უნდა მიეცა.

— ამ რეაქციით რუსებს კოჭი ხომ არ გავუგორეთ?

— შეიძლება, ასეც ითქვას, ანუ ქართული მხარის განცხადების ქვეტექსტი ასეთი იყო, თქვენს ინტერესებს იმ შემთხვევაში გავითვალისწინებთ, თუ, მაგალითად, ნატო-სა და ევროკავშირის სანაცვლოდ, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა აღდგებაო. ყოველ შემთხვევაში, ქართული მხარის განცხადება მე ასე გავიგე.

— ნატო-სა და ევროკავშირზე უარის თქმა ავტომატურად ევრაზიული კავშირის პოტენციურ წევრობას ნიშნავს?

— რა თქმა უნდა. რუსეთის საბოლოო მიზანიც სწორედ ესაა.

— ამ სცენარით 300 ათასზე მეტი დევნილის ემოციაზე თამაშიც შესაძლებელია, არა?

— ცხადია...

ვანო, დააკვირდით, აფხაზეთსა და სამეგრელოში, კერძოდ, გალში რა პროცესები მიმდინარეობს: მეგრული ტელევიზია დაარსდა და მეგრული ენის წინა პლანზე წამოწევის საკითხიც დაისვა. თუ გახსოვთ, ამ თემებზე ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ ვილაპარაკეთ. ასევე, საგულისხმოა, რომ მეგრულად სპეციალური ლიტერატურა გამოიცა, რომელიც იაკობ გოგებაშვილის „დედა ენის“ ჩანაცვლებისკენაა მიმართული. მოკლედ, ყველაფერ ამით კრემლი საქართველოს ხელისუფლებას თავისი გავლენის მიმართულებებს ანახებს და ეუბნება, რომ სამეგრელოში სეპარატიზმის გაღვივება შეუძლია.

— ბატონო კოტე, მსგავსი მცდელობები რუსეთს არაერთხელ ჰქონია, მაგრამ მეგრელები ამ პროვოკაციაზე არასოდეს წამოგებულან და არც წამოეგებიან!

— გეთანხმებით, მაგრამ არ დაგავიწყდეთ, რომ გალის რაიონზე საქართველოს იურისდიქცია არ ვრცელდება და სეპარატიზმის გაღვივებაც სწორედ იქ შეიძლება.

— გალში სეპარატიზმი როგორ უნდა გააღვივონ?

— დამიჯერეთ, კრემლს სეპარატიზმისთვის საფუძვლის მონახვა არ გაუჭირდება. ასევე, გამორიცხული არაა, რომ რუსეთმა სეპარატიზმისთვის საფუძველი საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზეც, მაგალითად, ჯავახეთში მონახოს. სხვათა შორის, ჯავახეთში მოქალაქეობასთან დაკავშირებით სერიოზული პრობლემაა.

— რას გულისხმობთ?

— ადგილობრივების ნაწილმა რუსეთის მოქალაქეობა მიიღო, ნაწილმა — სომხეთის და ამის გამო, საქართველოს მოქალაქეობასთან ერთად, საკუთრების უფლებაც წაერთვა, რაც უკმაყოფილების საბაბია. მოკლედ, არავინ იცის, ეს სიტუაცია როდის აფეთქდება!

— ერთი სიტყვით, რუსები მოდიან?

— რუსები კი არ მოდიან, დიდი ხანია, აქ არიან და შესაბამისი ბერკეტიც აქვთ, რომ გავლენა ნებისმიერ ხელისუფლებაზე მოახდინონ! დღევანდელი ხელისუფლებაც სწორედ ამ გამოწვევის წინაშე დგას! საერთოდ, თუ ხელისუფლება უუნაროა, ამ გამოწვევებს ვერ გაუძლებს. უნარიან ხელისუფლებას კი შესაბამისი გეგმა აქვს, თუ როგორ უნდა გაართვას თავი რისკებს, საფრთხეებსა და გამოწვევებს. სიმართლე გითხრათ, დღეს ასეთ გეგმას ვერ ვხედავ.

— ბატონო კოტე, ადასტურებთ კულუარულ მოსაზრებას, რომ ე.წ. კრემლის „ოდერები“ ყველა უწყებაში არიან?

— რა თქმა უნდა, და ამაზე არაერთხელ მილაპარაკია. პირდაპირ გეუბნებით: ასეთი ხალხი პრეზიდენტის კანცელარიაშიც ზის! პოლიტიკას საკადრო თემატიკა განსაზღვრავს — იმისთვის, რომ შენ, ხელისუფალმა ის პოლიტიკა გაატარო, რომელიც განსაზღვრული გაქვს, საამისოდ, პირველ რიგში, კადრებია საჭირო. თუკი ეს კადრები, თავიანთი „ბეგრაუნდითა“ და მსოფლმხედველობით, ჩვენს ჩრდილოელ მეზობელზე არიან ორიენტირებულნი, მაშინ შენი, როგორც ხელისუფლის პოლიტიკაც ჩრდილოეთზე იქნება ორიენტირებული. ეს ნებისმიერმა ხელისუფლებამ უნდა გაითავისოს.

დააკვირდით, რა ხდება: ბურჯანაძის კადრები ნელ-ნელა ხელისუფლებაში შედიან.

— სხვათა შორის, ამას წინათ, ქალბატონმა ბურჯანაძემ განაცხადა, თავდაცვის მინისტრის მოადგილე ღირსიაშვილი ჩემი პარტიის წევრი არასოდეს ყოფილა, მაგრამ გვითანაგრძნობდაო... ესე იგი, რა გამოდის?

— დაახლოებით, 12 წელი — 1992 წლის აპრილიდან 2002 წლის ნოემბრამდე სამხედრო კონტრდაზვერვის დეპარტამენტში ვმსახურობდი და ყველა სამხედროს „ბეგრაუნდი“ ვიცი, მათ შორის, მათიც, ვინც დღესაც თანამდებობებზე არიან და ეს ცოდნა მხოლოდ ჩემი პირად ინფორმირებულობით კი არა, დოკუმენტებით გამოიხატება. დოკუმენტები კი, წესით, სამხედრო კონტრდაზვერვის არქივში უნდა ინახებოდეს. ამიტომ, საჭიროა პოლიტიკური ნება და ელემენტარული ცოდნა, რომ ვიღაც-ვიღაცებმა, კადრების დანიშვნის წინ, ამ არქივში ჩაიხედონ.

— იქნებ, იხედებიან, მაგრამ საეჭვო კადრებს მიზანმიმართულად ნიშნავენ?

— ასე გამოდის. სხვათა შორის, „ნაცმოძრაობის“ დროსაც ძალოვან და სხვა უწყებებში იყვნენ კადრები, რომლებიც საქართველოში პირდაპირ რუსულ ინტერესებს ატარებდნენ! არაერთხელ მითქვამს და ახლაც ვიმეორებ: მიხეილ სააკაშვილს გვერდით ეჯდა ადამიანი, რომელიც წლების განმავლობაში საბჭოთა კავშირის სუკ-ის აგენტი იყო, შემდეგ კი, საქართველოს უშიშროების ორგანოებმა გადმოიბირეს!

გაგრძელება მე-3 გვ.

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲚᲘᲢᲤᲚᲘ

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

25.02 3.03 2015

№ 8 (272)

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲖᲔᲚᲝᲜᲔᲑᲐ. ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

სპანდალური ექსკლუზივი

მე-2 გვერდიდან

„პირდაპირ გეუბნებით: ასეთი ხალხი პრეზიდენტის კანცელარიაშიც ზის! პოლიტიკას საკადრო თემატიკა განსაზღვრავს – იმისთვის, რომ შენ, ხელისუფალმა ის პოლიტიკა გაატარო, რომელიც განსაზღვრული გაქვს, საამისოდ, პირველ რიგში, კადრებია საჭირო. თუკი ეს კადრები, თავიანთი „ბეგრაუნდითა“ და მსოფლმხედველობით, ჩვენს ჩრდილოელ მეზობელზე არიან ორიენტირებულნი, მაშინ შენი, როგორც ხელისუფლის პოლიტიკაც ჩრდილოეთზე იქნება ორიენტირებული. ეს ნებისმიერმა ხელისუფლებამ უნდა გაითავისოს“.

– ჩვენი უშიშროების მიერ გადმობირება ხომ იმას ნიშნავს, რომ პიროვნება საქართველოს სასარგებლოდ მუშაობს თუ საქმე ორმაგ აგენტობასთან გვაქვს?

– ეს, რა თქმა უნდა, ორმაგი აგენტობაა!

ვანო, ერთ პატარა საიდუმლოს გაგიმხელთ...

– გისმენთ...

– წლების განმავლობაში, ჩვენს სამხედრო კონტრდაზვერვას საკმაოდ ძლიერი ხელმძღვანელობა ჰყავდა – აწ გარდაცვლილი ანზორ ჭეიშვილის, სოსო ენუქიძის, გიზო ხვედელიძისა თუ მამანტი ჯოლიას გახსენება რად ღირს. ეს ადამიანები რუსული სპეცსამსახურების მუშაობის მოდელს კარგად იცნობდნენ. ახალგაზრდა თაობას სწორედ მათ გვასწავლეს და პირდაპირ დავალებაც მოგვცეს, რომ თუ გვინდოდა, რუსულ სპეცსამსახურებზე ზეგავლენა მოგვეხდინა და გვეგრძობინებინა, რომ სიტუაციას ვაკონტროლებდით, ისეთი აგენტურული ქსელი, რომელზეც ეჭვი გვქონდა, რომ მათზე მუშაობდა, პირდაპირ გადმოგვებირებინა.

– ამას როგორ ახერხებდით?

– ეს ტაქტიკისა და ტექნიკის საქმეა, თუმცა მეთოდებსა და ხერხებზე არ ვილაპარაკებ... ის, რომ ამ ტიპებს ვიბირებდით, რუსეთის სპეცსამსახურებისთვისაც ცნობილი ხდებოდა. შესაბამისად, ამ კატეგორიის აგენტების სანდოობის ხარისხი ეცემოდა და ამასთან, თანდათან მათი განეიტრალებაც ხდებოდა, თუმცა ძალიან ბევრნი იყვნენ – მხოლოდ მე-20 საუკუნის 90-იან წლებში რუსებმა ჩვენს თავდაცვის სამინისტროში 75 ოფიცერი შემოაგზავნეს და, პრაქტიკულად, მთელი უწყება, პირდაპირ თუ ირიბად, რუსულ სპეცსამსახურებთან კავშირში მყოფი აგენტურით იყო სავსე.

– აგენტობა მშობლებიდან შვილებზე მემკვიდრეობით გადადის?

– მაპატიეთ და, ეს სისულელეა!

– სისულელე რატომაა? დავიჯერო, მამა-შვილზე არ გსმენიათ, რუსების აგენტები არიანო?

– (იღიმება) ამას „შეწყვილებულ აგენტურას“ ეძახიან... გვარებს არ დავასახელებ, მაგრამ საქართველოში რუსულ სპეცსამსახურებზე მხოლოდ მამა-შვილი კი არა, ცოლ-ქმარიც მუშაობდა. საერთოდ, ყველაფერი, რასაც ვლაპარაკობ, უშიშროების სამსახურის არქივებში დოკუმენტურად დევს და მათ, ვისაც ევალებათ, ანუ დაზვერვისა და სამხედრო კონტრდაზვერვის ხელმძღანელებმა, კეთილი, ინებონ, არქივები გახსნან, მივიდნენ ბატონ მინდია ჯანელიძესთან და უთხრან, იცით, ამ და ამ პიროვნებაზე ეს და ეს ინფორმაცია არსებობსო. იმას კი არ ვამბობ, რომ ეს ხალხი სამსახურებიდან ხელის ერთი მოსმით გაყარონ, მაგრამ ასეთი მომენტები, როცა ძალოვანი უწყების პირველი პირი ხარ, უნდა გაითვალისწინო, რადგან ეს გარკვეული გამოწვევა და საფრთხეა.

– რუსულ სპეცსამსახურებთან კავშირზე მყოფი ადამიანები ხელისუფლებაში როგორ წინაურდებიან? ამას თავად სპეცსამსახურები უზრუნველყოფენ?

– ასეთი კადრების შენარჩუნებაზე გავლენის აგენტურა ზრუნავს, ანუ კავშირზე მყოფ ადამიანებს იმ პერსპექტიულ პოლიტიკურ ძალაში აგზავნიან, რომლებიც შეიძლება, ხელისუფლებაში მოვიდნენ. აი, ასე ხვდებიან რუსული სპეცსამსახურების გავლენის ქვეშ მყოფი ადამიანები პარლამენტში, მინისტრთა კაბინეტში და ასე შემდეგ...

– ბატონო კოტე, ამბობთ, რომ ქართველ პოლიტიკოსთა ნაწილი შესაძლოა, რუსულ სპეცსამსახურებზე იყოს მიბმული. მაშასადამე, ამ ადამიანთა კარიერა წინდაწინვე დაგეგმილი იყო, ანუ პოლიტიკური „ოდეერები“ როგორ გახდნენ?

– ფინანსებით, გავლენიანი აგენტურის დახმარებით... გავიხსენოთ, „ნაცმოძრაობის“ დროს ოპოზიციური სპექტრის ნაწილი როგორ არსებობდა... საერთოდ, სპეცსამსახურებზე მიბმის მთავარი მანიშნებელი ისაა, რომ 20 წელია, ქართულ პოლიტიკაში ერთი და იგივე სახეები ტრიალებენ, რაც სპეცსამსახურების დახმარების გარეშე შეუძლებელია.

– კრემლისტთა მცირე ნაწილი კითხულობს ხოლმე, მთავარია, ქვეყანაში სიდუხჭირე არ იყოს და რა მნიშვნელობა აქვს, რუსეთის ქვეშ ვიქნებით თუ ნატო-სიო. კოტე ბატონო, როგორც უსაფრთხოების ექსპერტმა, ეგებ, უბრალო ენით განმარტოთ, რითი ჯობია ნატო რუსის ჯარს?

– ყველა ჯარს თავისი პრობლემები ახლავს.

– შეიძლება, მაგრამ აქ მხოლოდ ჯარზე კი არა, ნატო-ს უპირატესობაზეა ლაპარაკი...

– როცა პატარა ქვეყანა ხარ, მსოფლიო რუკაზე დასამკვიდრებლად მოკავშირე გჭირდება. ჩვენი გეოპოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ნეიტრალურები ვერ ვიქნებით – ეს გამორიცხულია. ამიტომ, ძლიერი მოკავშირე ქვეყანა უნდა გვყავდეს. რუსეთთან მოკავშირეობის 200-წლიანი ისტორია გვაქვს და ვიცით, ამან რაც მოგვიტანა. დღეს აშშ და ევროპა ჩვენი სტრატეგიული პარტნიორები არიან. იქ ჩრდილოეთზე მეტი ცივილური ურთიერთობა, განვითარება და ადამიანის უფლებების დაცვაა.

– ერთი-ორი ამბობს, დასავლეთში უფრო მეტი სიბინძურეა, ვიდრე – რუსეთში, თან რუსეთი ერთმორწმუნეაო...

– რა თქმა უნდა, არ ვამბობ, რომ დასავლეთში ყველაფერი მისაღებია-მეთქი. ყველაფერი კარგი და მისაღები არც საქართველოშია, მაგრამ ნათლად უნდა დავინახოთ, რა არის ევროპული ღირებულებებიდან ჩვენთან თავსებადი.

– ეს თავსებადი ღირებულებები მაინც, რომლებია?

– დემოკრატია, ადამიანის უფლებები, კერძო და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, ინტელექტუალური საკუთრების დაცვა...

– პრორუსული არასამთავრობო ორგანიზაციები, თუ არ ვცდები, აქციის – „გეორგიევსკის ბაფთა“ – გამართვას გეგმავენ. ეს რას ნიშნავს? ის პოლიტიკა არ სჯობდა, როცა რუსული პროპაგანდა აკრძალული იყო?

– ყველაფერ რუსულის აკრძალვა არ შეიძლება, ეს ჰომოფობიაა, თუმცა მორალური თვალსაზრისით, გეორგიევსკის ტრაქტატის რომელიღაც წლისთავის აღნიშვნა გაუმართლებელია და საღად მოაზროვნე ადამიანი, ანუ ვინც თვლის, რომ საქართველო ოკუპირებულია, ამ აქციაზე არ მივა, თუმცა ეს რამდენიმე პროცენტი ვერაფერს შეცვლის და მათ მიერ აქციის ჩატარებაც დემოკრატიაა. საქართველოში პრორუსული ხელისუფლება ვერასოდეს მოვა, რადგან პრორუსულები მაშინაც არ ვყოფილვართ, როცა საბჭოთა კავშირში ვიყავით. გახსოვთ, ჟირინოვსკიმ რა თქვა? – მას შემდეგ, რაც რუსეთი საქართველოს დაუკავშირდა, ის ქართულ-რუსული იმპერია გახდაო, ანუ ამით, პრაქტიკულად, აღიარა, რომ რუსეთის იმპერიაშიც ქართველებს დიდი როლი ჰქონდათ. ღირსების შენარჩუნება ჩვენს გენებშია და ამ ღირსებას კომუნისტების დროსაც ვინარჩუნებდით!

– დღეს ნაციონალური ღირსება შენარჩუნებული გვაქვს?

– მხოლოდ დრო კი არა, საზოგადოებაც იცვლება და მენტალობაც...

– რა ამის პასუხია, ბატონო კოტე და, საქართველოს მთავარმა პროკურატურამ უკრაინის მთავარ პროკურატურას, სადაც მეორე პირი „ნაციონალი“ დავით საყვარელიძეა, მიხეილ სააკაშვილისა და ზურაბ ადეიშვილის ექსტრადირება მოსთხოვა. ეს რას ნიშნავს?

– მინიმუმ, უცოდინრობას. სხვათა შორის, პროკურატურის ქმედება, რუსულად რომ ვთქვა, ჩვეულებრივი „პისანინა“, ანუ მოვალეობის წერილების წერით მოხდაა და მეტი არაფერი, თუმცა ახლა ყურადღებას სხვა რამეზე ვამახვილებ.

– რაზე?

– უკრაინა არეული ქვეყანაა და იქ რუსეთს, თავისი აგენტურის სახით, ძალიან დიდი და სერიოზული დასაყრდენი აქვს. ვანო, ახლა ისეთ რამეს გეტყვით, რომ ყურს მოგჭრით: რუსების მხრიდან სააკაშვილის მიმართ ისეთ ღონისძიებებს, რაც ედუარდ შევარდნაძის წინააღმდეგ განახორციელეს, ადგილი არასოდეს ჰქონია!

– რას გულისხმობთ, ან უკრაინაზე ვლაპარაკობდით და ეს რა შუაშია?

– რას ვგულისხმობ და, – ედუარდ შევარდნაძის წინააღმდეგ ორი ტერორისტული აქტი და აფეთქების რამდენიმე მცდელობა განახორციელეს. ამის გაკეთებას საქართველოში ახერხებდნენ და საინტერესო არაა, უკრაინაში, სადაც ყველაფერი არეულია, სააკაშვილის წინააღმდეგ მსგავს რამეს რატომ არ გეგმავენ?

– ისე, უკრაინას, სადაც ხუთი მილიონი ადამიანი, ალბათ, მხოლოდ კიევში ცხოვრობს, ისეთი რა გაუჭირდა, რომ მაღალ თანამდებობებზე ჩვენს ყოფილ ჩინოვნიკებს ნიშნავს?

– წინა ინტერვიუში გითხარით, რომ ყველაფერ ამის უკან საერთაშორისო მაფია დგას. პოროშენკოს ხელისუფლება კი ნაციონალური, ანუ უკრაინის ევროატლანტიკური ინტერესების გამომხატველი არაა და ამაში ძალიან მალე დავრწმუნდებით. უკრაინაში მოვა ძალა, რომელიც ნამდვილად ევროინტეგრაციის მომხრე იქნება!

– თუკი პოროშენკო რუსებისაა...

– ამას არ ვამბობ...

– ყოველ შემთხვევაში, მის ევროატლანტიკურ მიზნებში ეჭვი გეპარებათ...

– დიახ...

– ჰოდა, თუკი პოროშენკო, მიშაც და ჩვენი დღევანდელი პოლიტელიტის გარკვეული ნაწილიც რუსეთთან კავშირშია, აბა, პუტინი და სხვები „ნაციონალებსა“ და პოროშენკოს რაღას „უჩმახებენ“? სხვათა შორის, სიტყვა – „გაჩმახება“ ერთხელ, სააკაშვილმა საჯარო გამოსვლისას გამოიყენა...

– ეს გავლენისა და ფულისთვის ბრძოლაა და მეტი არაფერი. თუ ასე არაა, აბა, როგორ უნდა გავიგოთ, რომ გელა ბეჟუაშვილი, რომელიც სააკაშვილ-იუშჩენკოსთან იყო, ახლა „ქართულ ოცნებასთან“ თანამშრომლობს. ყოველ შემთხვევაში, მასზე, მის ძმასა და ბიზნესზე ხმას არავინ იღებს. საერთოდ, „ქართული ოცნება“ ისეთი მოვლენებისგან, როგორიც რამდენიმე დღის წინ აჭარაში განვითარდა, სწორედ ამ ხალხმა გადაარჩინა... აჭარაში „ოცნების“ უმრავლესობა დაირღვა და შიდა საპარლამენტო გადატრიალების თემა თბილისშიც წამოიწევს.

– ყველაფერ ამას ლარის გაუფასურებაც ემატება. სოციალურ ბუნტს ხომ არ უნდა ველოდოთ?

– ჩვენს გენებში სოციალური ბუნტი არ ზის. სლავური ქვეყანა არ ვართ, ხალხი ქუჩაში შიმშილის გამო რომ გამოვარდეს და რბევა დაიწყოს. სოციალური ფონი გურიის ჯანყის მთავარი საბაბიც არ გამხდარა. თუ ასე გაგრძელდა, მოსახლეობა არჩევნებზე „ქართულ ოცნებას“ ხმას აღარ მისცემს. სხვათა შორის, ადრე გითხარით, რომ მარტიდან სიტუაცია ძალიან აირეოდა და ყველაფერი შეიძლება, რთულად მართულ პროცესებამდე მივიდეს.

– ესეც რუსული სცენარია?

– გააჩნია, ვინ როგორ გამოიყენებს... სათავეში შეიძლება, რუსული აგენტურა მოექცეს და ყველაფერი თავისი ინტერესებისთვის გამოიყენოს... ქვეყანაში არსებულ ეკონომიკურ კრიზისს ნელ-ნელა საფინანსო კრიზისის ნიშნებიც ემატება, რაც ბიუჯეტს დაარტყამს. ამას კი, პოლიტიკური კრიზისი მოჰყვება.

– გამოჩნდებიან ადამიანები, რომლებიც რუსეთს ღიად მიმართავენ, გვიშველეო?

– არ მგონია, თუმცა შეიძლება, ისეთი პატარ-პატარა პროვოკაციები იყოს, აჭარაში ვიღაცები რომ გამოვიდნენ და გაიძახოდნენ, ვალოდია, გვიშველეო. თუკი ამას რომელიმე პოლიტიკოსი გააკეთებს, ქართველები მეორე ორჯონიკიძედ მონათლავენ. ორჯონიკიძეობა კი, ყველაზე პრორუსულად განწყობილ პოლიტიკოსსაც არ უნდა!

– ...ბატონო კოტე, როგორც ამ დღეებში მთავარი პროკურორის მოადგილემ განაცხადა, გამოძიებამ იური ვაზაგაშვილის აფეთქების ადგილას მხოლოდ სოსანაშვილის კი არა, სხვათა დნმ-იც აღმოაჩინა... ეს რაზე მიანიშნებს?

– გამოძიება ჩიხშია.

– ამას რატომ ამბობთ?

– ნიუანსებზე ლაპარაკი არ მინდა, თუმცა ერთს ვიტყვი: პროკურატურის ვერსიას დამაჯერებლობა აკლია. ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის, როგორც პროფესიონალისთვის, ასეა. სასამართლოზე მაინც უნდა გახდეს ნათელი, სოსანაშვილი აფეთქების ადგილამდე როგორ მივიდა, რა სახის ასაფეთქებელი და როგორ დაამონტაჟა... თუ ამ შეკითხვებზე პასუხები არ გაეცა, ეჭვი ყოველთვის იარსებებს. რაც შეეხება დნმ-ს, ეს მნიშვნელოვანი მტკიცებულებაა და არა – ერთადერთი და განმსაზღვრელი. არ ჩათვალოთ, რომ გამოძიებისადმი პესიმისტურად ვარ განწყობილი – ბრალდებული, მგონი, სწორად მოძებნა, მაგრამ ბევრი შეკითხვა არსებობს, რომელიც დარწმუნებული ვარ, დაზარალებულ მხარესაც გაუჩნდება...

– ...რუსებს თქვენი გადაბირება არასოდეს უცდიათ?

– რუსები ჩემნაირ „ტიპებს“ ვერ იბირებენ.

– აბა, როგორ „ტიპებს“ იბირებენ?

– ისეთებს, ვისზეც კომპრომატების შეგროვებას შეძლებენ.

– რუსეთის სპეცსამსახურის თანამშრომელს ხელი აუცილებლად ოფიციალურ დოკუმენტზე უნდა ჰქონდეს მოწერილი?

– ამის სხვადასხვა ფორმა არსებობს, მაგრამ დეტალებში არ ჩავალ...

– აგენტებს ფულს ოფიციალურად, ბარათზე ურიცხავენ?

– (იღიმება) არა, „ქეშად“ აძლევენ – კავშირების საშუალებით, წინასწარ დგინდება, ოპერატიულ წყაროს სად, რა ვითარებაში უნდა შეხვდნენ... სხვათა შორის, რუსულმა სპეცსამსახურებმა თავის დროზე აშშ-ის „ცე-რე-უ“-ს პირველი მოადგილე „დაავერბოვკეს“, რომელიც 25 წლის განმავლობაში ჯერ საბჭოთა კავშირზე მუშაობდა, მერე – რუსეთზე და აშშ-ის უსაფრთხოებას დიდი ზიანი მიაყენა.

– როგორ უნდა მივხვდე, რომ ადამიანი აგენტია?

– ამის ცოდნა არაფერში გჭირდებათ! ეს სპეცსამსახურების საქმეა!

...ვანო, ამ თემას არ ეხება, მაგრამ ერთიც უნდა გითხრათ: ჩემს მეგობარს, აფხაზეთის ომის ვეტერანს, ოფიცერს, რომელიც თავის დროზე შსს-ში მუშაობდა, ხერხემლის რთული ოპერაცია უნდა გაეკეთებინა, წინააღმდეგ შემთხვევაში, შრომის უუნარო გახდებოდა და დასახმარებლად ვეტერანთა სახელმწიფო სამსახურს მიმართა, მაგრამ ირაკლი შიხიაშვილი კი არ დაეხმარა, არამედ, სამგორის გამგეობაში წერილი გაატანა... ლაპარაკი სულ 450 ლარზე იყო, მაგრამ გამგებელმა ქიზიყურაშვილმაც ფეხებზე დაიკიდა. კიდევ კარგი, ოპერაციის 70 პროცენტი სახელმწიფო დაზღვევამ დააფინანსა. საერთოდ, ომის ვეტერანებს სახელმწიფო ასი პროცენტით უნდა აფინანსებდეს.

– როგორც ვიცი, შიხიაშვილს სპეციალური პროგრამა აქვს, რომელიც მიზნად ვეტერანთა მდგომარეობის გაუმჯობესებას ისახავს...

– რა გაუმჯობესებაზეა ლაპარაკი? ადამიანმა სამშობლოსთვის იომა, სისხლი დაღვარა, 450 ლარი არ მისცეს და ესენი მეუბნებიან, რომ ვეტერანებს იცავენ? გამაგებინეთ, ეს რა უბედურებაა?! ვეტერანები მხოლოდ სააკაშვილს კი არა, „ქართულ ოცნებასაც“ ფეხზე ჰკიდია! ჩვენი ოჯახის წევრებს დახმარებას მხოლოდ მაშინ დაუნიშნავდნენ, თუ ომში მოვკვდებოდით. ჩვენ, ვისაც ტყვია მოგვხვდა და გადავრჩით, რა ვქნათ? ჩვენი დანაშაული ისაა, რომ არ მოვკვდით?! იმის გარდა, რომ ოპერაციის ფული მისცეს, ვეტერანთა სახელმწიფო სამსახურმა ვეტერანს სხვა რა დახმარებაც უნდა გაუწიოს, მაგრამ ამასაც არ აკეთებს და საერთოდ, ვინაა შიხიაშვილი და ამ სამსახურის უფროსად საიდან მოიყვანეს?.. ყველამ ყველაფერი ძალიან კარგად იცის, მათ შორის, მაგის ყოფილმა მეთაურებმაც...

ესაუბრა ᲕᲐᲜᲝ ᲞᲐᲕᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ

(თემის გაგრძელება იქნება)

4 | № 8 (272) | 25.02 3.03 2015

ეროვნული ტელეფონი

ეროვნული. ეკონომიკური. პოლიტიკური.

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

გიორგი ლეონიძე

ეკონომიკა

„სასწრაფოდ, რომელიმე დიდი ობიექტის პრივატიზება უნდა მოხდეს!“

ხალხი ლარს პანაშვიდებს უხდის, თუმცა ხელისუფლება ჭირისუფლის როლის მორგებას არ ჩქარობს და იმედოვნებს, რომ ეროვნულ ვალუტას გადაარჩენს. სწორედ ამიტომაც, პრემიერის ინიციატივით, ჩინოვნიკები ქამრების შემოჭერის პოლიტიკაზე გადადიან, რაც სახელისუფლებო ხარჯების შემცირებას ნიშნავს. ამასთან, ეკონომიკური გუნდი მოლაპარაკებებს მსოფლიო ეკონომიკურ ორგანიზაციებთანაც აწარმოებს... პარალელურად, კულუარებში დაჟინებით მუსირებს აზრი, რომ თანამდებობებს ნოდარ ხადური და კიდევ რამდენიმე მინისტრი გამოემშვიდობება, თუმცა ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი სოლომონ პავლიაშვილი ამბობს, რომ თითის მხოლოდ ფინანსთა მინისტრისკენ გაშვერა არ შეიძლება და პასუხისმგებლობა დარგობრივმა უწყებებმაც უნდა აიღონ... მოკლედ, რასთან გვაქვს საქმე – ეკონომიკურ შოკთან თუ სავალუტო ალქიმიასთან? – „ქართულ სიტყვასთან“ საუბრისას სოლომონ პავლიაშვილი ლარის გადარჩენის ყველაზე სწრაფ და ეფექტურ მეთოდად რომელიმე დიდი ობიექტის პრივატიზაციას ასახელებს...

– ბატონო სოლომონ, ვიღაცები ამბობენ, რომ ლარის კურსი „ნაციონალების“ დროს ხელოვნურად იყო შენარჩუნებული და ის, რაც დღეს ხდება, საგანგაშო არაა...

– ამ ეტაპზე ვეღარ ვიტყვით, რომ საგანგაშო არაფერია. საერთოდ, ეროვნული ვალუტის მიმართ ასეთი გულუბრყვილო დამოკიდებულება არ შეიძლება. ამასთან, სამთავრობო სტრუქტურებსა და ეროვნულ ბანკს უფრო მჭიდრო კოორდინაცია მართებთ. მათ საზოგადოებას უნდა დაანახონ, თუ რას აპირებენ, რომ ლარის უფრო მეტი დევალვაცია არ მოხდეს და ინფლაციური პროცესები არ წავიდეს. მეწარმეებსა და იმპორტიორებში ინფლაციური მოლოდინი არ უნდა გაჩნდეს, თუმცა დევალვაცია უკვე იმხელაა, რომ ინფლაციის დაწყება თეორიულად კი არა, პრაქტიკულადაც შესაძლებელია.

– ხელისუფლების მომხრეები იმასაც ამბობენ, მხოლოდ ლარი კი არა, აზერბაიჯანული, სომხური თუ რუსული ეროვნული ვალუტაც ეცემა და ყველაფერი ეს გლობალური მოვლენაა, რაც მსოფლიო ბაზარზე ნავთობის გაიაფებით აიხსნებაო...

– გარე ფაქტორები, რა თქმა უნდა, არსებობს, მაგრამ ამაზე სერიოზული შიდა ფაქტორებია, მაგალითად, მიმდინარე წლის იანვარში ექსპორტი, გასული წლის იანვართან შედარებით, თითქმის 30%-ითაა შემცირებული, რაც საკმაოდ დიდი მოცულობაა. ასევე, ტრანსფერი, 30-23 მილიონითაა შემცირებული.

– ეს შემცირებები რამ გამოიწვია?

– ამის მიზეზი, გარკვეულწილად, რუსეთისთვის დაწესებული ემბარგო და მის მიმართ გამოცხადებული სანქციებია, რასაც უკრაინაში მიმდინარე საომარი მოქმედებებიც დაემატა.

– რუსეთის მიმართ დაწესებულ ემბარგოს ჩვენთან რა ხელი აქვს?

– რას ლაპარაკობთ?! – ჩვენი საგარეო სავაჭრო ბრუნვის 10 პროცენტი რუსეთზე მოდის, 8 პროცენტამდე კი, – უკრაინაზე, რაც საკმაოდ მოცულობითია, ანუ ციფრებით რომ ვთქვათ, მხოლოდ რუსეთთან ეს 800 მილიონია, უკრაინასთან კი, – 600 მილიონი დოლარი.

მოკლედ, ის ფაქტორები, რომლებმაც ქვეყანაში ვალუტა უნდა შემოიტანოს, არ მუშაობს. ამასთან, მიგრაციასთან დაკავშირებით რაღაც შეზღუდვები დავაწესეთ.

– ამ შეზღუდვებს, როგორც ახლა ირკვევა, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება არ ითხოვდა...

– დიახ, არ ითხოვდა და ამ აკრძალვების დაწესება სპონტაურად, გნებავთ, გაუაზრებლად მოხდა, რითიც უცხოელების საქართველოში ჩამოსვლა შეფერხდა. აქ მხოლოდ სტუდენტებზე კი არა, იმ ტურისტებზეცაა ლაპარაკი, რომლებიც შაბათ-კვირას ირანსა და სხვადასხვა ქვეყნიდან თანხის დასახარჯად ჩამოდიოდნენ. აღარაფერს ვამბობ ინვესტიციებზე...

მოკლედ, დღეს ლაპარაკი მხოლოდ ლარის გაუფასურებაზე კი არა, უკვე ეკონომიკის შეზღუდვაზეცაა.

– სხვათა შორის, ეროვნული ბანკის პრეზიდენტი აქცენტს ეკონომიკური შოკის ნიშნებზე აკეთებს. ეკონომიკის შეზღუდვა რას ნიშნავს?

– მაგალითად, გამსახურდიას ქუჩაზე უკვე გაჩნდა წარწერები, რომ ქირავდება კომერციული ფართები, რაც იმას ნიშნავს, რომ ეკონომიკა იზღუდება – მოსახლეობაში ფული აღარაა.

– ბატონო სოლომონ, მართალია, ეკონომისტი არ ვარ, მაგრამ კომერციული ფართები ლარის გაუფასურებამდეც ქირავდებოდა...

– რა თქმა უნდა, ქირავდებოდა, მაგრამ ამდენი თავისუფალი კომერციული ფართი არ არსებობდა. დიახ, მოსახლეობაში ფული აღარაა: რადგან ექსპორტი შემცირებულია, ვალუტა არ შემოდის, ხელფასები არ რიგდება, ან შემცირებული სახით რიგდება, რაც თავისთავად მოსახლეობის მსყიდველობითუნარიანობის შემცირებას იწვევს. ყველაფერი ეს ჯერ მცირე ზომით შეიმჩნევა, მაგრამ იმპორტიორები იძულებულნი გახდებიან, შემოტანილი საქონელი უფრო ძვირად გაყიდონ, რათა დოლარი, რომელიც იმპორტს სჭირდება, შეიძინონ. მიმოქცევიდან დოლარის ამოღება ხდება, შესაბამისად, დოლარზე მოთხოვნა იზრდება, რასაც საზოგადოებაში არსებული პანიკაც ემატება – ყველა ცდილობს, ლარი მოიშოროს. ამ სიტუაციაში მხოლოდ ეროვნული ბანკი ვერაფერს გააკეთებს და ტყუილად გაიძახიან, რეზერვები გამოიტანოსო. მხოლოდ ერთ თვეში, დეფიციტი 165-200 მილიონია, რის ამოვსებასაც, თუკი ეკონომიკა არ ამუშავდა, ეროვნული ბანკი ვერ შეძლებს.

ჩვენ ცნება „პრივატიზაცია“ დავივიწყეთ. არადა, სასწრაფოდ რომელიმე დიდი ობიექტის პრივატიზება უნდა მოხდეს, რათა ქვეყანაში ინვესტიცია შემოვიდეს.

– ეს ხომ გრძელვადიანი პროექტია. ლარს კი, გადარჩენა სჭირდება!

– ახლა ყველაზე ეფექტური მაინც პრივატიზაციაა. ექსპორტის მხარდამჭერი პროგრამის შემუშავება თუ გარკვეული შეზღუდვების მოხსნა უფრო გრძელვადიანია.

– ლარს ისიც ვერ გადაარჩენს, ხელისუფლებამ მეორე კვარტლის ტრანშის წინასწარ მიღება რომ მოითხოვოს?

– რა ტრანშზეა ლაპარაკი? როგორც ვიცი, მთავრობას უნდა, რომ საერთაშორისო ორგანიზაციებისგან სესხი აიღოს, მაგრამ ამ სესხს თავისი მომსახურება აქვს, რომელიც დოლარში უნდა მოხდეს, ანუ ისევ თანხის კონვერტაცია მოგვიწევს...

– ანუ, იმის თქმა გინდათ, რომ სესხი თუ ტრანში ლარს არ გაამყარებს?

– ეს მოკლევადიანი სტრატეგიაა, რომელიც ყველაზე კარგი გამოსავალი არ იქნება. ვთქვი და ვიმეორებ: ყველაზე კარგი გამოსავალი რომელიმე დიდი ობიექტის პრივატიზებაა, რითიც ქვეყანაში, მინიმუმ, ნახევარი მილიარდის ვალუტა შემოვა.

– ასეთი დიდი ობიექტი რომელია?

– მგონი, ამას ხელისუფლებაც აპირებს, ლაპარაკია გარდაბნის თბოელექტროსადგურზე, სასტუმრო „რიქსოსზე“ და სხვა. მთავარია, ინვესტორი დროულად მოიძებნოს. მომხრე ვარ და ამაში საგანგაშო არაფერია, რომ თუნდაც რკინიგზის აქციების გასხვისებაც მოხდეს.

– ვფიქრობ, ეს საფრთხილოა, რადგან რკინიგზა სტრატეგიული ობიექტია და მისი აქციები, შესაძლოა, ოკუპანტმა რუსეთმა დაისაკუთროს.

– მნიშვნელობა არ აქვს, აქციებს რუსეთი იყიდის, აშშ თუ იაპონია. იმის გარკვევის დრო არ გვაქვს, ამა თუ იმ ინვესტორის უკან ვინ დგას, თუკი საინტერესო წინადადება იქნება, უნდა გავყიდოთ!

– ბატონო სოლომონ, ამის თაობაზე ადრეც გისაუბრიათ. ამიტომ, მოდით, ისევ ლარის გაუფასურების საგარეო ფაქტორებს დავუბრუნდეთ. ხელისუფლებისა არ იყოს, ამბობთ, რომ რუსეთსა და უკრაინაში მიმდინარე პროცესებმა ლარზე უარყოფითად იმოქმედეს. შეიძლება, ასეცაა, მაგრამ უკრაინაში ომი ახლა კი არა, წელიწადის წინ დაიწყო. ხელისუფლებამ პრევენციული ნაბიჯები რატომ არ გადადგა?

– მოგეხსენებათ, ოპტიმისტი ვარ და იმედიანად ვიყავი, მაგრამ ხელისუფლება რაღაცნაირად გულუბრყვილო აღმოჩნდა. ჯერ ერთი, მთავრობისა და ეროვნული ბანკის კოორდინაცია სუსტია. მეორეც, ფულადსაკრედიტო და, ასევე, ფისკალური პოლიტიკაც არ მუშაობდა. მესამეც, იმისთვის, რომ ვალუტის შემოდინება არ შემცირებულიყო, უკუღმა ნაბიჯები გადაიდგა.

– „უკუღმა ნაბიჯები“ რას ნიშნავს?

– იგივე ცვლილებები საემიგრაციო კანონში, რომელმაც ტურისტების შემოსვლასა და ინვესტორების შემოყვანას პირდაპირ დაარტყა. ასევე, დააწესეს შეზღუდვები მიწის პრივატიზაციაზე... არადა, ასეთი ფრაგმენტული გადაწყვეტილებების მიღება არ შეიძლება. ხშირად ზოგიერთი პარლამენტარი რაღაც ინიციატივით გამოდის, რითიც სხვა სეგმენტს აზიანებს. ასე, მაგალითად, ჯერ სიგარეტზე, ახლა კი, ლუდზე აქციზის გაზრდა სწორად არ მიმაჩნია, რადგან ამით ეკონომიკა იზღუდება. სხვა თუ არაფერი, ლუდის რეალიზაცია შეიზღუდება, მით უმეტეს, რომ ბაზრის 90 პროცენტი ქართული ლუდით მარაგდება. სამომხმარებლო ბაზრის ლამის 87 პროცენტი კი, მთლიანად იმპორტირებულია...

სოლომონ პავლიაშვილი ხელისუფლებას ლარის გადარჩენის გეგმას სთავაზობს

– ბატონო სოლომონ, ქვეყნის მთავარი ეკონომიკური დოკუმენტი ბიუჯეტია. კულუარებში ამბობენ, ხადური თავს იგიჟებს, 2015 წლის ბიუჯეტში ცვლილებებს არ შევიტან, რადგან საქართველოს ისტორიაში ფინანსთა ერთადერთი მინისტრი უნდა ვიყო, რომელიც ბიუჯეტს არ შეცვლისო. ლარის გაუფასურებაზე ესეც მოქმედებს?

– ბიუჯეტის ცვლილების გამო, პოლიტიკური მოსაზრებით, შეიძლება, მთავრობის პასუხისმგებლობის საკითხი დადგეს. ხშირად ყველა ხელს ხადურისკენ იშვერს, მაგრამ საინტერესოა, დარგობრივი სამინისტროები რას აკეთებენ? ასევე, საინტერესოა, მხარჯველმა სუბიექტებმა თანხა რატომ არ დახარჯეს?

– ბატონო სოლომონ, მთავრობაში მუშაობის გამოცდილება გაქვთ და შეგიძლიათ, ახსნათ, მხარჯველმა უწყებებმა ხარჯვითი ნაწილი რატომ ვერ შეასრულეს?

– აქ პოლიტიკური ნების პრობლემაცაა – მთავრობა შეშინებული არ უნდა იყოს და იმაზე არ ფიქრობდეს, ფულს რომ დავხარჯავ, რას იტყვიანო.

– ყველაფერ ამასთან ერთად, მთავრობაში უცოდინრობის პრობლემაც ხომ არაა?

– დიახ, გარკვეული არაპროფესიონალიზმიცაა. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ ოპერატიული მართვა არ ხდება, თან მთავრობას ოპონირების ეშინია, ანუ ოპონენტებისთვის პასუხის გასაცემად მზად არაა.

კიდევ ერთი თემა უნდა წამოვწიო: როგორც კი პროფესიონალი კადრი გამოჩნდება, გაიძახიან, აი, შევარდნაძის კადრიაო და ამას „ნაციონალები“ ამბობენ, რომლებიც თავიდან ბოლომდე შევარდნაძის შვილობილები იყვნენ. დღევანდელი მთავრობაც „ნაციონალებსაა“ აყოლილი – მათ უსმენს. ავიღოთ იგივე რუსეთთან ურთიერთობის თემა, რუსეთთან ეკონომიკური კავშირი იმ დოზით უნდა გვქონდეს, რომ დღეს არსებული დე ფაქტო პოლიტიკური მდგომარეობა არ დაზარალდეს. უნდა ვიცოდეთ, რომ რუსეთი ჩვენთვის სანდო პარტნიორი არასოდეს იქნება, მაგრამ მიუხედავად ამისა, რაღაც დოზით უნდა ვეთანამშრომლოთ.

– სხვათა შორის, ის მოსაზრებაც არსებობს, რომ ლარის გაუფასურებაზე აჟიოტაჟი „ნაციონალებმა“ ატეხეს, თორემ სინამდვილეში, არაფერი ხდება...

– „ნაციონალებმა“ აჟიოტაჟი კი არ ატეხეს, უბრალოდ, ლარის გაუფასურება საჯილდაო ქვად აქციეს...

– თქვენი დაკვირვებით, ხელისუფლებას ეკონომიკური პოლიტიკა აქვს?

– აქვს, მაგრამ ამ პოლიტიკაში შეცდომებია დაშვებული. მთავარი პრობლემა კი, ვფიქრობ, ისაა, რომ იმ პროფესიონალებს, რომლებსაც არსებული სიტუაციისთვის თავის გართმევა ხელეწიფებათ, არ იყენებენ.

– „ნაციონალების“ ეკონომიკური პოლიტიკა დღევანდელს ჯობდა?

– არა, რადგან ის ეკონომიკური პოლიტიკა ძალადობაზე იყო აგებული. დღეს კი, ბიზნესი, მეტ-ნაკლებად, დაწყნარებულია, თუმცა ვიმეორებ, გადაწყვეტილებების მიღება, ყველა დონეზე, დაგვიანებით ხდება.

– დღეს რომ ხელისუფლების ეკონომიკურ გუნდში იყოთ, ლარს რა ინექციას გაუკეთებდით?

– დღეს ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ ვალუტა ჩვენი რესურსების ხარჯზე შემოვიდეს, ეს კი, მხოლოდ და მხოლოდ, პრივატიზაციას შეუძლია. ამიტომ, აუცილებელია, რომელიმე დიდი ობიექტის პრივატიზება მოხდეს.

– მაშასადამე, იმაში ცუდი არაფერი ყოფილა, ცხონებული ბენდუქიძე ყველაფერს რომ ყიდდა, არა?

– რა თქმა უნდა, ყოველთვის პრივატიზაციის მომხრე ვიყავი, რადგან ამით ქვეყანა ინექციას იღებს, თუმცა მთავარია, პრივატიზაციით მიღებულ თანხებს რა მიზნით გამოვიყენებთ. პრივატიზაცია საინტერესო რომ იყოს, დამატებითი რეგულაციები არაა საჭირო.

– ბატონო სოლომონ, ზოგი ამბობს, ქვეყანა 90-იან წლებში რომ არ დაბრუნდეს, ყოფილმა პრემიერმა ბიუჯეტს ერთი მილიარდი აჩუქოსო. ეს თეორიულად შესაძლებელია?

– კი ბატონო, თეორიულად შესაძლებელია და გვიშველის კიდეც, მაგრამ არ ვიცი, ფიზიკურმა პირმა ბიუჯეტში ფული როგორ უნდა ჩადოს. მგონია, რომ ეს არასწორი ფორმა იქნება.

– ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ „ოცნება“ ლარის კურსის დაცემის გადაფარვას უკრაინაში „ნაციონალთა“ თანამდებობებზე დანიშვნით ცდილობს...

– ეს ადამიანები, შეიძლება, პროფესიონალები არიან, მაგრამ მათი დანიშვნა, მგონია, რომ საქართველოს მთავრობის ჯინაზე კეთდება. არადა, „ოცნებას“ უკრაინის საწინააღმდეგოდ ერთი ნაბიჯიც არ გადაუდგამს. სხვათა შორის, არ გამოვრიცხავ, რომ „ნაციონალების“ დანიშვნა ერთგვარი ზეწოლის შედეგია, ანუ ამით დასავლეთი იმის დემონსტრირებას ახდენს, რომ უკრაინა თანდათან დასავლური ხდება.

– მერე, ამის დემონსტრირება ცუდია?

– არა, მაგრამ თავისთავად საგულისხმოა, რომ ამ ხალხზე საქართველოში გარკვეული შეკითხვები არსებობს. ყველაფერი ეს კი იმ ამბავს მახსენებს, თავის დროზე რომ ითქვა, კახა თარგამაძე რუსეთის შს მინისტრის მოადგილედ ინიშნებაო და, თუ გახსოვთ, ამას რა პანიკა მოჰყვა – მთელი საქართველო დაინგრა...

ხელისუფლების კიდევ ერთი პრობლემა ისაა, რომ თანამდებობაზე ხალხი მხოლოდ გარემოცვიდან მოჰყავს, თუმცა გარემოცვაში მაინცდამაინც ნათესაობას არ ვგულისხმობ. ასევე, მგონია, რომ ყოფილ პრემიერამდე იმ ადამიანებზე, რომელთა გამოყენებაც შეიძლება, ნაკლები ინფორმაცია მიდის.

მოკლედ, ქვეყანაში მართვის პრობლემაა – ვერ გაურკვევიათ, რა არის სახელმწიფო საწარმო, საჯარო სამართლის იურიდიული პირი და სახელმწიფო პოლიტიკა. სოფლის მეურნეობაში 72 საწარმოა, აქედან, 50 უმოქმედოა. რას ვაშენებთ, სოციალიზმს? რაც ახლა ეკონომიკის სამინისტრომ გააკეთა, სრული ნონსენსია.

– რა გააკეთა?

– სახელმწიფო კვების ობიექტი დააფუძნა, რაც სუფთა კერძო სექტორის ამბავია. რა, თავდაცვის სამინისტროს ფეხსაცმელები რომ დასჭირდება, საამისოდ ახალი სახელმწიფო შპს უნდა დააფუძნოს? რუსეთშიც ზუსტად ასე ხდება...

– ბატონო სოლომონ, შიმშილობა გვემუქრება?

– არა! ბიუჯეტს ვალდებულებების შესრულება არ გაუჭირდება, თუმცა საზოგადოებას იმედი რომ ისევ გაუჩნდეს, ხელისუფლებაში ახალი სახეებია საჭირო!

– ღმერთმა გისმინოთ!

ესაუბრა ნატა შამათავა

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

25.02
3.03
2015

№ 8
(272)

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ლიტერატურა. ხელოვნება. პოლიტიკა

პროზა

ვაჟა ფშაველა

ბახტრიონი

XV

ხუთშაბათ დილა გათენდა,
სისხლისა ნიავ-ღვარია,
ბახტრიონს თათრის შვილებსა
დღე გაუთენდათ მწარია.
გადმოდგა ბორბალაზედა
თავისუფლების მთვარეა.
ალაზნისაკე წავიდა
ურჯულოს სისხლის ღვარია.
ნალესის ფრანგულებისა
ცასა სწვდებოდა ალია.
სრულ სისხლით დანაბეჭდია
მეომართ დანაკვალია.
კარავ-საჩეხი მტრებისა
მინგრეულ-დანაგალია.
გასწყვიტა ჩვენმა ლაშქარმა
მტერი, ულმერთოდ დალია.
მიჰკივის თათრებს ზეზვაი,
შეუპოვარი, მალია;
გულ-რკინას ხოშარეულსა
შუა გადუტყდა ხმალია!
ცრემლი ერევა თვალებზე,
სწუხს ამისაგან მწყრალია.
ლუხუმმა თოფი გამაჰკრა,
არ აუფეთქდა ფალია;
დროშას მიუძღვის ლომივით,
ამაიწვადა ხმალია.
შამაუძახა ლაშქარსა
გულდინჯმა, ომში ცხარია:
„მამყევით, ვისც ქუდი გხურავთ,
ვინაც არა ხართ ქალია!“
აივსო თათრის ძვლებითა
იმ ბახტრიონის არეა.
ციხე-გალავნად ეგება,
ისე გამრავლდა მკვდარია.
ეს ის დრო იყო, როდესაც
მთასა ჰლოცავდა ბარია,
როს სალოცავად მიაჩნდათ
მთიელის ხალხის გვარია.

XVI

— საით მოსდიხართ, ფშავლებო,
ცხენ-ხეთქით, რიალითაო?
ღრეობით, მხიარულადა,
ჩაჩქნების კრიალითაო?
ლაშარის ჯვარის დროშისა
საამო წკრიალითაო?!
— საით და კახეთს ვიყვენით,
ბახტრიონს ჩავიყარენით;
ჩვენა, თუშნი და ხევსურნი,
პანკისში შავიყარენით.
ვაცადეთ ჩვენი საცდელი,
ეხლა კი გავიყარენით.
— რა გქონდათ, კაცნო, საცდელი,
რა გქონდათ საომარია?
— არ თუ გაგიგავ, კახეთი
თათრების ნაოხარია?
თათრები ვხოცეთ, მოგვიდის
ცხენები ნაოფლარია;
გავწირეთ გულსისხლიანი
ყეინი ნათოფარია;
სალაშარიჯვროდ მოგვაქვის
ზინათი ნაშოვარია
და გადმოვლახეთ საფშაოდ
ტბათანა ნათოვარია;
სავსეა თათრების ძვლითა
ფშავლების ნაომარია.
მეფემ გვიბოძა საჩუქრად
სახნავი-დ' საძოვარია.
სახელს უმატეთ სახელი —
ძვირფასი საპოვარია.
— საკაცით ვინღა მოგაქვისთ,
ნაბდებში შახვეულები?
— კვირიაი და ლელაი,
ჩვენთვის სისხლ-დანთხეულები.
ღმერთმა აცხონოს ესენი!
ამათ გაგვიღეს კარები!
რო შავიჭრენით შიგითა,
ჩვენ წინ ეყარნენ მკვდარები.
მოგვაქვს, დავმარხოთ იქავე,
სად მამა-პაპა ჰმარხია,
სადაც აბარავ მიწასა
იმათ გული და სახია.
მძიმეა თავის ქვეყანა,
თავის წყალ-ჭალა ძლიერა!
მიწაც ტკბილია მშობლური,
გულს რომ ეყრება ფხვიერა.
— ვის მოგილოცოთ სახელი,
ვინა ხართ სახელიანი?
— პირველ — ობოლი კვირია,
სახე აქვ ნათელიანი;
მეორე — ლელა ბაჩლელი,
ქალი ხელ-ფარტენიანი;
მესამე — ბერი ლუხუმი,
კურთხეულ გამდელიანი;
მეოთხე — ხოშარეული,
არწივი მხარ-კვერიანი;
მეხუთე — გივი სუმელჯი,
მოგვყავის ნაჭრევიანი.
— თუშჩი ვინ ვარგდა, მითხარით,
კაცად ვინ უფრო არია?
— ზეზვაი, ძმაო, ზეზვაი,
მთელის თუშების დარია:
არა ყოფილა გაზდილი,
მომცრო სდგომიყო ტანია.
ისა ყოფილა ვაჟკაცი,
ღირსი წელთ ერტყას ხმალია.
ლომია, უფალსა ვფიცავთ,
სწრაფი, ვით ელვა-ქარია,
ჰშვენოდა, ძმობამ, ვაჟკაცსა
დაზარნიშული ფარია.
მაგრამ დაგვიჭრეს რჯულ-ძაღთა,
გაწირეს ცოცხალ-მკვდარია.
თუ გაჰზდის, — ფურმა გაზარდოს
აი მისთანა ხარია!
ვერ ვნახეთ, რო დაეკვნესოს,
ან შეცვლილიყოს სახითა.
თუშთ შაიჭირვეს ძალიან,
ცრემლით ატირდენ ცხარითა.
თავით დაურჭვეს დროშაი
მისივე შუბის ტარითა.
— ახლა ისა სთქვით, მოყმენო,
ვინ დარჩა სირცხვილიანი?
— წიწოლამ ლაფით გაგვთხიფა,
გაგვექცა სირბილიანი!
ნეტარ სად დაიმალება
სიცოცხლით სიკვდილიანი?
ფშავში როგორღა მოალის
დიაცი ჩიქილიანი?
არ ვარგა მაგათი გვარი,
უჯიშო, სიცილიანი!
ხალხში როგორღა გამოვა?
ხატში როგორღა მოდგება?
უკლოს, უკეთურს, ბეჩავსა
სად დაეკარგა გონება?!
რად არ ირჩივა სიკვდილი
და თათრებისა მონება?
ვინღა გაივლევს ახლოსა,
ჩააქვავებენ დედანი.
მიწამ შაჭამოს ცოცხალი
ე მაგისთანა მხედარი!
ომშიით გამოქცეულსა
მეხი დაეცეს მედგარი!
არ ვარგა, იმიტომ თქმულა,
კაცი ქალებში მკვეხარი.
— ბერი სადღაა ლუხუმი,
დამრიგებელი ფშავისა?
— ეხლა გაგიტყდეთ ჩვენაცა,
აუგი გითხრათ თავისა:
იმისა ვერა გავიგეთ,
გულში ესა გვაქვს ჯავრადა.
მტერი რო მთა-ტყეს მოეცა,
ჩვენ თან მივსდევდით ჯარადა.
მისი ველარა გავიგეთ,
იქნებ თუშთ გაჰყვა წვეულად;
ზეზვაის დაჭრა ეწყინა,
ძმობილს თან ჰყავდეს ძმეულად.
ვერა ვიცით რა, ესა გვწყინს,
გვრცხვენიან, ჭირად გვქცევია;
დაკარგვა ჩვენის პატრონის
საგონად გარდაგვქცევია.

XVII

ღამესა სძინავს მთა-ბარზე,
ბუნება დასვენებულა,
მანათობელი ქვეყნისა
მთვარეც ხომ ჩასვენებულა.
მოისმის ივრის ჩხრიალი,
სიზმარს უამბობს ჭალასა,
ერთად ჰკეცს საუბარშია
ცისა და ქვეყნის ძალასა.
ცა თავისათვის მყუდროდ სდგას,
მკერდ-სუფთა, ვარსკვლავიანი.
მუხაზე ჩამოკიდული
კაცი სჩანს სამკლავიანი.
თავი დაურჩვავ მხედარსა,
თუ იყო გულჯავრიანი?
იორი ყურსაც არ უგდებს,
ნელად აქანებს ტალღებსა,
არ ედარდება, დაობლდენ,
მამა აღარ ჰყავ ბალღებსა.
თემისგან უარყოფილსა
გადაუგდებენ ძაღლებსა.

XVIII

სხლოვანს ატირდა ბებერი,
მოსთქვამს ზარს ზარიანადა:
„ნეტავი თავზე დამეცეს
მთა-ღელე ბარიანადა!
ნეტავ არც შვილი მყოლიყო,
არც გავჩენიყავ დედასა,
თუ ამას შავესწრებოდი,
ამდენ სირცხვილის კრეფასა!
შვილო, სირცხვილი მაჭმიე,
ძუძუ დასწყევლე დედისა!
თვითონ შენა ხარ მწამლავი
თავის უბედო ბედისა.
რად არ იქ მაჰკვდი, ბეჩავო,
რად ხარ ყელ-საბელიანი?!
რად არ მამიხვედ, წიწოლავ,
პირნათლი, სახელიანი?!
გასწირე თავის ხსენება,
საწყევარ-სარბევიანი!”
— მარტოდ რად სტირის დიაცი,
გვერდით არა ჰყავ სოფელი?
არ ისმის მოზარეთ ზარი,
გულს ლახვარ-დამასობელი?
— თასი დაღვარეს ხატშია:
ახლოს მიუდგეს არვინა,
წიწოლას დანაშაული
აწეულია ცამდინა,
დაამცრო ჩვენი სახელი,
მთელს ლაშქარს გული ატკინა.
არც ვინ სამარეს გაუთხრის,
არც ვინ შაუკრავს კუბოსა;
მარტომ იტიროს დედამა,
ცრემლი წინ დაიგუბოსა!

XIX

იტყვიან: მაღლის მთის ძირსა,
ულრანს, უდაბურს ტყეშია,
ლუხუმი იწვა დაჭრილი,
ნატყვიარი სჭირს მკერდშია.
იქვე მაღალი კლდე იყო,
გამოქვაბული შავადა,
ხავსით მორთული, პირქუში,
მრისხანე სანახავადა.
იქა ბუდობდა ვეება
გველი, მორთული ჯაგრითა,
ბევრისა ცოდვის მოქმედი,
პირზე დორბლების დაყრითა.
ბევრი ჩაენთქა ტიალსა
მონადირე და მხეცები.
იწვა, უცდიდა დავლასა
თვალებით დანაცეცები.
გადამთხვალიყვნენ იქიდამ
ნადირნი გულის თრთოლითა.
ვერ გაჰხედნებენ იმ ალაგს,
ისე ეშინისთ შორითა.
ერთს დღესა გველი, ვით ნისლი,
გაწოლილიყო ხეზედა,
წიოდა გულჯავრიანი,
თანაც თბებოდა მზეზედა.
ამ დროს შაესმა კვნესის ხმა
ჯაგარ-აშლილსა გვერდზედა.
გაჰხედა, ნახა, — კაცი წევს,
სულის მაბრძოლი, ეული,
გასცქერის ცისა სივრცესა
სასომიხდილი, სნეული;
მკერდზე ატყვია მიმხმარი
სისხლი წყლად ამორწყეული.
გველს შაებრალა ლუხუმი,
მისკე წავიდა ზლაზვნითა,
მიაშრიალებს ხმელს ფოთოლს
დიდრონის ტანის გლარზვნითა,
ზედ დააშტერდა სნეულსა
თვისის გველურის სახითა,
დასცქერის სულის მაბრძოლსა
გულის მზარავის თვალითა.
დაფიქრდა გველი ძლიერად,
გული ევსება ბრალითა.
ბევრის ცოდვების მოქმედსა
გადაუბრუნდა გუნება:
რა სიბრალულით იმსჭვალვის
მისი გველური ბუნება!
ზედ გადააწვა მკერდზედა,
წყლულსა ულოკდა ენითა.
თან მკერდს უსველებს მხედარსა
ცრემლების ჩამოდენითა.
აყრუებს ტყესა და ველსა
ოხვრითა რამოდენითა!
მთელს ერთს თვეს ასე უვლიდა
ადამის ტომის მტერია,
ბოროტების გზა გაუშვა,
კეთილი დაუჭერია!
საჭმელსაც თვითონ უზიდავს,
ასმევს წყალს ლაღის მთისასა,
ღამ-ღამ ზღაპარსაც უამბობს
ორის ობოლის ძმისასა.
ამბობენ: შააძლებინა
სნეულსო ფეხზე დადგომა;
ეღირსებაო ლუხუმსა
ლაშარის გორზე შადგომა!

1892 წელი

№ 8 (272)
25.02 – 3.03 2015
ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით
ლიტერატურა, ხელოვნება, პოლიტიკა

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

პროზა

ერთგული

გურამ რჩეულიშვილი



ყიჟინასა და ტაშის გრიალში გამოვიდნენ ცხენები მოედანზე. წმინდა სისხლის ულაყზე ჩია კაცი იყო წამოსკუპული. დიდი, წითელი კეპის ქვევიდან აცეცებდა თვალებს. ორ გამყოლს აქეთ-იქიდან ჩაევლო აღვირისათვის ხელი, მაინცა სცემდა ტორებს სირბილის ჟინზე მოსული. ულაყი პირველი დადგა. გვერდზე სხვა წმინდა სისხლის ჯიშსაშენის ცხენები მოუყენეს გამყოლებმა. უზარმაზარ ულაყებზე ძლივს მოჩანდნენ პატარა ტანის ჟოკეები.

— ყურადღება! — დაიწყო დიქტორმა, ხმაური შეწყდა, მხოლოდ ცხენები ტოკავდნენ ადგილზე, მერე შუაში მდგარი „დარბაისელი“ გამოვიდა წინ, პატრონმა ძლივს მოაბრუნა უკან.

— ყურადღება! იწყება დოღი წმინდა სისხლის ჯიშსაშენის ცხენებისათვის ათ კილომეტრზე.

რომელიღაცამ დაიხვიხვინა; გამყოლებმა ძლივს გააკავეს ცხენები. ტოკავდნენ. მხოლოდ თავიდან მეორე იდგა წყნარად, დიდ თვალებს არ აცეცებდა, მას გრძელი, ჩამოშვებული ფაფარი ჰქონდა და ზურგზე შუახანსგადასული, საკმაოდ მოსული კაცი ეჯდა.

— პირველი ცხენი, — განაგრძობდა დიქტორი, — სახელად „გიტარა“, არის ოთხი წლის, მეორე ცხენი, საქართველოსა და ამიერკავკასიის რამდენიმეგზის ჩემპიონი — „ერთგული“, უკვე მეთერთმეტე წელშია.

ხალხი ახმაურდა, დიქტორმა სწრაფად მოათავა ექვსივე ცხენის ბიოგრაფიების ჩამოთვლა და მთავარ მსაჯს ანიშნა. გამყოლებმა მოედანი დატოვეს. ნიშანზე ულაყები ნელა დაიძრნენ ადგილიდან. ტორტმანით უახლოვდებოდნენ დოღის დაწყების ადგილს. ზედ, ხაზთან დაიქნია მსაჯმა დროშა და ცხენები ადგილს მოსწყდნენ. გაისმა ღრიალი, ტაში, ყიჟინა. ხალხი ფეხზე წამოვარდა.

დიქტორი ალაპარაკდა:

— პირველი მიდის „სალამურა“, მეორე — „დარბაისელი“, მესამე — „გიტარა“, მეოთხე — „ერთგული“.

ხალხი უსტვენდა.

„ერთგული“ სამჯერ ახსენა დიქტორმა.

თერთმეტი წლის ულაყი მეოთხე წრეზე ყველას წინ მოექცა.

ხალხი წამოცვივდა.

დიქტორი აცხადებდა:

— ჯერ კიდევ თერთმეტი წრე დარჩა, წინ მიდის „ერთგული“.

„ერთგული“ ბოლო ძალებს იკრებდა. მირბოდა ოთხით. იყო ყველაზე წინ და თავისი პატრონი, მისი წყალობით ჩემპიონი თუ ოსტატი, მიჰყავდა ზურგით.

ექვსი წრე გაიარეს.

„ერთგული“ ისევ წინ იყო.

გახელდა.

მის მიახლოებას ტაშით ხვდებოდნენ, ზოგი ქუდს ისროდა მაღლა.

სადღაც, უკან ისმოდა სტვენა, სიცილი. უკან დარჩენილი „სალამურა“, სტვენით გაღიზიანებული, ცდილობდა წინ გავარდნას, მაგრამ მხედარს მაგრად ეჭირა ლაგამი.

„ერთგულმა“ საკმაო მანძილზე ისხლიტა სხვები, ახლა იგი სისწრაფეს ველარ უმატებდა. კიდევ ორი წრე შემოირბინა ასე. დაიღალა. სცადა სისწრაფის მომატება. ამაოდ. ნელა უკლო სირბილს. ანთებული თვალები მიუქრა.

„დარბაისელი“ ჯერ წამოეწია, მერე გაუსწრო.

— ფანდია!

— ჯერ გაუშვებს, მერე გაუსწრებს!

— აბა, რა.

— მა რა.

იძახდა ხალხი.

ახლა „გიტარამაც“ გაუსწრო „ერთგულს“.

მათრახი აკადრეს.

მან უკანასკნელი ძალა მოიკრიბა. ისხლიტა „დარბაისელი“ და თავით გაუსწორდა პირველს. დოღის ბოლომდე ოთხი წრეღა რჩებოდა.

— „ერთგული“!

— ვაშა!

— უჰ, შენი ჭირიმე.

— მიდი.

— ნიძლავი მაგისია.

— როგორც ყოველთვის.

— აბა, რა.

— მა რა.

იძახდა ხალხი.

ულაყმა იგრძნო ქება, მაგრამ პირველად თავის სიცოცხლეში არ ესიამოვნა. ძველებურად აღარ გახარებია. ისევ დაიწყო ჩამორჩენა.

დოღი დაიძაბა.

ცხენები დაიჭიმნენ.

„სალამურა“ ნელა წამოეწია სხვებს.

ახლა ცხენები ერთად გარბოდნენ. შეჯიბრების ბოლომდე ორი წრეღა რჩებოდა. „ერთგულს“ კიდევ ორმა გაუსწრო, მერე კიდევ — ერთმა.

ისევ აკადრეს მათრახი.

ახლა დარტყმა აღარ ეწყინა.

აღარც გამხნევებამ იმოქმედა.

ახლა მხოლოდ უძალოდ ხტებოდა ჰაერში. სხვებმა ბოლო წრეზე დიდი მანძილით მოიტოვეს უკან ყოფილი ჩემპიონი.

ვიღაცამ დაუსტვინა კიდეც.

მას სხვები აჰყვნენ.

ახლა აღარც ეს სწყინდა ჩამორჩენილს. ნელი ნახტომებით უახლოვდებოდა ბოლოს, სადაც მისმა მოწინააღმდეგეებმა მთელი ათი-თორმეტი წამით ადრე გაირბინეს.

— „სალამურამ“.

— ვინ?

— „სალამურამ“.

— ხო გითხარი.

— ხო ვამბობდი.

— ეტყობოდა.

— აბა, რა.

— მა, რა.

ყველას „სალამურას“ სახელი ეკერა პირზე.

— რამდენი წლისაა? — იკითხა ულვაშა ძიამ.

— სამის, მგონი, — უპასუხა მოწაფის ფორმაში გამოწყობილმა ბიჭმა და გამარჯვებულისაკენ გაიქცა.

„ერთგულმა“ გადალახა ბოლო ხაზი, მერე მწვანე მინდორზე გადავიდა. უნდოდა კიდევ იქით წასვლა, მაგრამ ლაგამმა არ გაუშვა. ერთხანს ასე იდგა, შემდეგ ვიღაც ბიჭმა მოჰკიდა ხელი მის აღვირს და გაატარა.

მოშორებით, სხვა ცხენების გარშემო, ხალხი ხმაურობდა.

„ერთგულს“ სიამოვნებდა, რომ მის ახლოს არავინ იყო.

თერთმეტი წლის ულაყმა ცალი ყური მიაბრუნა, თან გახუნებულ ველს გახედა.

ბუნდოვნად იგრძნო, რომ ოდესღაც, როცა ხალხს არ იცნობდა, იქ იზრდებოდა და ძალიან, ძალიან მოუნდა დაბრუნება. როცა მოიხედა, მის წინ პატრონი იდგა, ყალიონს აბოლებდა. მასთან ვიღაც გაბურძგნილი კაცი მივიდა, ლაშებში მოჰკიდა ხელი, მერე თავი გაიქნია.

— მეთორმეტეშია, — თქვა მან.

— არა, მეთერთმეტეში, — გაუსწორა პატრონმა.

— სულ ერთია, — თქვა ისევ მან.

„ერთგულმა“ კისერი წაიგრძელა, ულონოდ ჩაიხვიხვინა და ისევ ველებს გაუსწორა თვალი. სიამოვნებდა, რომ ხმაური მისგან შორს იყო, რომ იდგა მარტო და რომ არავინ არ აწუხებდა.

გაბურძგნილმა კაცმა ისევ ჩაავლო აღვირში ხელი.

ახლა აღარც ეს სწყინდა ერთ დროს ერთგულ „ერთგულს“.

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

25.02
3.03
2015

№ 8
(272)

7

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲜᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ. ᲰᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲚᲔᲥᲡᲔᲑᲘ

ერთ ყოფილ აშუკი



დე, სიკვდილითაც არვის არ ვგავდე!

მე შეცდომა ვარ, ალბათ, განგების,
ყველა მიყვარხართ თავდავიწყებით,
ფიქრიც, ოცნებაც ვიცი სხვაგვარი,
ვარსკვლავებში და ცაში ვიწყები.
მუხთალ ცხოვრების ვიწრო ბილიკებს,
მე ვერ მივყვები, როგორც წესია,
თუ მიცინია?! — ბავშვის სიცილით,
კვნესით? — სხვაგვარად დამიკვნესია.
თუ სასმისს ავწევ, სხვაგვარად ვთვრები,
სასოწარკვეთაც სხვაგვარი ვიცი,
ზეცას ავჭრილვარ ფასკუნჯის ფრთებით
და ვიფიცები სხვაგვარი ფიცით.
მგონი, ქარიშხლებს ჩამოვყევ ციდან,
სატანას ვებრძვი უხმლოდ, უფაროდ,
ასე მარტივი და თან სხვაგვარი,
რად გჭირდებოდი, ნეტავ, უფალო.
აბობოქრებულ სულს ვერ ვაწყნარებ,
იქნებ, გაკოჭოთ ტყავის ქამანდით,
ერთი თხოვნა მაქვს, როცა მოვკვდები,
მკერდზე სხვაგვარი ძეგლი დამადგით.
ჰგავდეს ქარიშხლებს, მზის სხივებს, წვიმებს,
მისი სიმაღლე ღრუბლებს ჰქარგავდეს,
მინდა, საფლავიც სხვაგვარი მქონდეს,
დე, სიკვდილითაც არვის არ ვგავდე...

ᲕᲐᲟᲐᲡ!

ზამთარ მთას ცრემლად ჩაადნა,
მთამ სული გაიკაჟაო,
ჩარგალში ბიჭი შობილა,
სახელ დაურქვამთ ვაჟაო.
სამყარომ ძუძუ აწოვა,
ასდევნებია ქარსაო,
მუხის ფესვივით შეზრდია,
ცასა, მთასა და ბარსაო.
თოლი გამოჰყვა არწივის,
დამნახავ ყველაფრისაო,
სულდგმულთა ენა აუდგამს,
მიწის, ცისა და წყლისაო.
სული ჩაუდგა უსულოს,
ამღერა, ახმიანაო,
ბუნების დარდის მთხრობელმა
ყველას უმღერა ნანაო.
გაზრდილა, როგორ გაზრდილა,
მიწას გაუდგამს ფესვიო,
ტოტებით ცაში გასულა,
უფლის სუფრას სურს ეწვიოს.
გაზრდილა, ისე გაზრდილა,
მის ჩრდილს ჩვენც შევეფარეთო,
სიტყვა ნაქცევი თილისმად,
ჭირს რომ არ შევეყარეთო.
რომ კვლავ ვამაყობთ წინაპრის
აბჯარს, ხმალს ალესილსაო,
რომ კვლავ ვქართველობთ და გვესმის
მიწის, ცისა და წყლისაო.
რომ ჯერ მთლად არ ჩაგვქრობია.
მზერა მესამე თვალისო,
კვლავ შეგვიძლია გარჩევა
ბუნების ავან-ჩავნისო.
ბუმბერაზ მუხად ჩამდგარა,
წვდება მიწიდან ცასაო,
კაცსა და უფალს აერთებს,
გვიჩვენებს სავალ გზასაო.
ზამთარ მთას ცრემლად ჩაადნა,
მთამ სული გაიკაჟაო,
ჩარგალში ბიჭი შობილა,
სახელ დაურქვამთ ვაჟაო.



ᲒᲐᲚᲐᲙᲢᲘᲝᲜᲡ!

ის ჯვარს იწერდა იმ ღამეს, ვიცით
და მესაფლავეც მიწას თხრის ისევ,
შენ კი სადა ხარ?! — კაფეში მარტო,
ვიღაც მესამე კვლავ ჭიქას გივსებს.
სადა ხარ?! ლურჯა ცხენების რემა
თავდავიწყებით ქუჩებში დაქრის,
ამოვარდნილი მუზების ქარი
შენ იისფერ თოვლს სახეში მაყრის.
ისეთი დიდი იყავ მიწისთვის,
ვერ შეგწვდა მოკვდავ კაცთა გონება,
ვეღარ გაბედა განგებამ ისევ
მეორედ შენი გამეორება!
გალაქტიკაში დაჰქრიხარ სრულად
და ეგებები ვარსკვლავთ სამყაროს,
ეგება, გახსნა საზღვრის კარები
და ეგ მუზები შემოგვაყარო.
მინდა, დავიწვა შენეულ ცეცხლით
და შენი მსგავსი გრძნობის ალებით.
რომ ამოსუნთქვას ამოჰყვეს ლექსი
და მოვკვდე შენი გარდაცვალებით.

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲝ ᲔᲜᲐᲕ!

ენავ ძირ-ძველო, ქართულო ენავ,
მწამს, მოგავლინა რაღაც ციურმა,
სული ჩაგბერა მაღალმა ზენამ
და მზის სხივებით გაგამზიურა.
ენავ სამყაროს, ენავ განგების,
შენში დევს კოდი, წამალი ერის,
სისხლით, ბრძოლით და ჯვარცმით ნაგები
ვერ მოგერია მსოფლიო მტერი.
გაუტეხელო, გამოწრთობილო,
კვლავ ამაყი ხარ, ტანჯვით ნავალი,
ვარსკვლავებიდან ჩვენთვის შობილო,
რუსთველის ენავ, ენავ თამარის.
ვახტანგის ენის, დავითის ენის
ლოცვა და დაცვა ღმერთმა ინება,
მაგ შენს ძარღვებში ქართული გენის
თვით უკვდავება მოედინება.
ენავ ძირ-ძველო, ქართულო ენავ,
მწამს, მოგავლინა რაღაც ციურმა,
სული ჩაგბერა მაღალმა ზენამ
და მზის სხივებით გაგამზიურა.

ᲔᲑᲠᲐᲔᲚ ᲔᲠᲡ!

(აგრეთვე ქართველ ებრაელებს)

სამყაროს ჭიპლარზე ვიყავით მიბმულნი
და გვშობა სიამის ტყუპებად განგებამ,
მხარდამხარ, არ მახსოვს, სად აღარ გვივლია,
ერთად დაგვიწყია გოდოლის აგება.
სამყაროს ჭიპლარზე ვიყავით მიბმულნი,’
არ ვიცი, შემქმნელი ჩვეგან რას ელოდა,
მოვდივართ ქარცეცხლში, ვიწრთობით ბაჯაღლოდ,
წახვედით, თან გაგყვათ მზე საქართველოდან...
იგონებს ბავშვობის მზეებს და ვარსკვლავებს,
რამდენჯერ გესიზმრათ მტკვარი და მთაწმინდა,
ქართული წარსული დაგყვებათ ჩრდილივით,
ამაზე ფიქრი და კამათი არ გვინდა...
დღეს ორი დედა გყავთ, გაქვთ ორი სამშობლო,
ის თქვენს სიზმრებშია, მრავალჯერ ნახული,
ეს საქართველოა, შვილებს, ებრაელებს,
გული რომ ჩაგიდგათ საგულეს ქართული.
დავდივართ, ერთი გვაქვს გულიც და სხეულიც,
სამშობლო?! — ორი გაქვთ, ვაშენოთ ხიდები,
ვერაფერს დაგვაკლებს სატანა წყეული
და ერთად წარვსდგებით უფალთან დიდებით!

ᲞᲝᲔᲢᲘ

აახმიანა ზეცამ კვლავ ბუკები
და ისევ ამღერდა ფიქრებში სონეტი,
ქარებით, წვიმებით, მზის სხივთა კონებით
ობოლი მთვარისგან შეიქმნა პოეტი.
პოეტი? — ბავშვის ხმა და ბავშვის სიცილი
პოეტი? — დარდის და ტკივილის წნულები,
პოეტი? — ღარიბი და მაინც მდიდარი,
დასცინის მიწიერს, არ დარდობს სრულებით.
პოეტი? — მრავალჯერ, მრავალჯერ თვითმკვლელი,
მამაცი, ამაყი, თუმცა ბედკრულია,
იბრძვის და როცა აქ ვერაფერს ასწორებს,
მას მერე ზეცისკენ გაფრენა სწყურია.
ჰა, დაჰკრა ცის თაღმა თავისი ნაღარა,
ამღერდა, ატირდა ფიქრებში სონეტი,
კოსმოსის ქარ-წვიმით, მზეებით შექმნილი,
ვარსკვლავთა შვილია ნამდვილი პოეტი.

●

არა, აღარ მიყვარხარ,
რაც გსურდეს, ის მიწოდე,
ჭაობისკენ მიმავალს
ხელი გამოგიწოდე.
შეგაჩერე დროებით,
ყოფა გაგიხალისე
და დრო გაუსაძლისი
ცოტა გაგისაძლისე.
ვაჯობებდი, მეგონა,
გამეფებულ სატანას,
მაპატიეთ, ვერ შევძელ
სულ ყველაფრის ატანა.
მაპატიეთ, დემონთან
ქედი ვერ მოვიხარე,
მასთან ბრძოლის კენჭი ხომ
დასაბამში ვიყარე.
დიდხანს თავგამეტებით,
ხომ ვიბრძოდი წყეულთან,
მათი შხამ-ფიალებით
სული დაგისნეულდა.
არა, შენი არ იყო
ეგ შეშლილი თვალები?
ეს სატანა მიმზერდა?
მნუსხავ ცეცხლის ალებით?!
ტორი იყო ეშმასი,
მოქნეული მარჯვენა?!
გადავლილი ჩლიქებით
თავის ძალა მაჩვენა?!
არა, ხორცი არ მტკივა.
სულზე გადამიარა,
სხეულს სისხლი ადინა,
გულს გაუხსა იარა.
არ გეგონოთ, ვჩივივარ,
ანდა რამე მეწყინა,
სიკეთესაც ვიხსენებ,
როცა ეშმას ეძინა...
მაგრამ რაღაც მაწუხებს,
ხინჯი გულის არეში,
რომ ვერ მოვსპე შენს სულში
დემონების თარეში.
მათთან ომში დავმარცხდი,
საცოდავი აწი ვარ,
მაპატიეთ, ვერ შევძელ
სულ ყველაფრის გაწირვა.
გსურდა ცამდის ასვლა და
რად დაეშვი მიწამდის?
ხან მჯერა და ხან — არა,
იქნებ, მართლაც, გიყვარდი?!
იქნებ, შენი არ იყო
ეგ შეშლილი თვალები,
მაპატიე ზურგს უკან
მოხურული კარები...
მთვრალ დემონთა თარეში,
ალბათ, კვლავ შეგაწუხებს,
ვილოცებ, რომ აჯობო
ლუციფერის მარწუხებს.
აღარ მინდა მიყვარდე,
რაც გსურდეს, ის მიწოდე,
ჭაობისკენ მიმავალს
ხელი გამოგიწოდე.
შეგაჩერე გრძნობებით,
ყოფა გაგიხალისე
და დრო გაუსაძლისი
ცოტა გაგისაძლისე.

●

დღეები ისევ სადღაც გარბიან
და ისევ მიჰქრის სადღაც წამები,
აქ ყველაფერი ისე ყალბია,
შევცქერი ყოფას განაწამები.
აქ ყველაფერი ისე ფარსია,
გული გადასკდეს ლამის საგულეს,
სიცოცხლეა თუ რაღაც შარჟია,
რისთვის ვიარე, რას ვემსახურე?!
გადასცდა ფეხი დროის ნახევარს
და გადამევსო თმაში ჭაღარა,
არ ვიცი, მიჭირს ცაში ახედვა,
ყოფამ ეს სული ისე დაღალა.
სად შეჩერდები? გვეყო, რაც არი,
ჰე! დაამთავრეთ სცენა, ტიალი,
მსურს, შევაყარო ნიღბებს ნაცარი,
აღარ მსურს ცქერა პრანჭვა-ტრიალის.
მომბეზრდა მათი გრეხა-თამაში,
აქ ყველაფერი ისე ფარსია,
დამთავრდეს! რაა ცუდი ამაში?!
და გაჭრაც ცისკენ საზღვრის არშია.

8

№ 8 (272)

25.02 3.03 2015

ეროვნული ინტერესი

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲖᲔᲚᲘᲡᲤᲣᲭᲝ. ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲩᲘᲜᲩᲘᲜᲐᲫᲔ

ᲔᲥᲡᲙᲚᲣᲖᲘᲕᲘ

ირაკლი ალასანია: „საწუწუნო არაფერი მაქვს, ყველაფერი ძალიან კარგად მიდის!“

ბათუმისა და ოზურგეთის თავზე „ოცნების“ დროშა აღარ ფრიალებს. საერთოდ, მმართველ კოალიციაში პროცესები დომინოს პრინციპით ვითარდება. ყველაფერი კი, შარშან, ნოემბერში დაიწყო, როცა ირაკლი ალასანიამ, ალექს პეტრიაშვილმა და მაია ფანჯიკიძემ მაღალი პოსტები დატოვეს. მას მერე პარტია „თავისუფალი დემოკრატები“ ქართული პოლიტიკის ღერძად იქცა. მთავარი შეკითხვა, რაც ამ პოლიტიკური ძალის მიმართ არსებობს, ისაა, „ნაციონალებთან“ საერთო ენას ხომ არ გამონახავს, თუმცა ირაკლი ალასანია „ქართულ სიტყვასთან“ ექსკლუზიურ ინტერვიუში ყოფილ მმართველ გუნდთან რაიმე სახის კონსულტაციებს, ახლაც და მომავალშიც, კატეგორიულად გამორიცხავს და აცხადებს, რომ „თავისუფალი დემოკრატები“ ის ალტერნატიული პარტიაა, რომელიც 2016 წელს ხელისუფლებაში უმრავლესობით მოვა.



„რაც შეეხება ჩემს დაჭერას, შეიძლება, განზრახვა ჰქონდათ, მაგრამ გამგებლობა არ ეყოფათ!“

– ბატონო ირაკლი, ბოლო თვეებია, უამრავ ბრალდებას გიყენებენ. მაშინ, როცა გუნდიდან წამოსვლის გადაწყვეტილება მიიღეთ, ყველაფერ ამისთვის მზად იყავით?

– რა თქმა უნდა. ეს პირველად არ ხდება და ყველაფერი ჯერ კიდევ „ნაციონალური მოძრაობის“ რეჟიმის დროს გავიარეთ. მინდა, დიდი მწუხარებით ვთქვა, რომ ბიძინა ივანიშვილმა და მის მიერ მართულმა ხელისუფლებამაც იგივე მეთოდები გადმოიღეს. 2012 წელს ბრძოლაში, ბუნებრივია, იმისთვის არ შევედით, რომ ასე გაგრძელებულიყო. განხეთქილების ერთ-ერთი ძირითადი საფუძველი სწორედ ეს იყო – შიგნით ყოველთვის კრიტიკულები ვიყავით და ვამბობდით, რომ კუდ-მა სახელი შეიცვალა, სუს-ად გადაიქცა და აბსოლუტურად იგივეს აკეთებს. პოლიტსაბჭოზეც მქონდა განხილვა და ვთქვი, ეს უნდა დასრულდეს-მეთქი. სხვა უამრავი საკითხიც არსებობდა, რაც ბუნებრივია, მაძლევდა საფუძველს, მევარაუდა, რომ როგორც კი ჩვენი კოალიციიდან გასვლა მოხდებოდა, მეთოდები არ შეიცვლებოდა...

– აღსანიშნავია, რომ „ნაციონალები“ კორუფციულ ბრალდებებს არ გიყენებდნენ...

– ვანო, მართალს ბრძანებთ: ეს მათაც არ უკადრიათ, რადგან იცოდნენ, რომ საამისოდ საფუძველს ვერც მოძებნიდნენ და ეს ნოვატორული მიდგომაა, თუმცა ჩემთვის მთავარი მაინც ისაა, რაც ხელისუფლებიდან წამოსვლის შემდეგ ხალხს შევატყვე: ყოველ კვირა რეგიონში ვარ, მოსახლეობას ვხვდები და პრობლემების იდენტიფიკაციას ვაკეთებ. სხვათა შორის, ქვეყნის გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარების პროგრამაზე ვმუშაობთ და მინდა, ეს პროგრამა ყველა რეგიონისთვის სპეციფიკური იყოს.

საზოგადოების განწყობას ვხედავ – მომხდარს სწორად აღიქვამს, რაც დიდი სტიმულია, რათა წინასაარჩევნოდ „თავისუფალი დემოკრატები“, როგორც პარტია, ხელისუფლების ერთ-ერთ მთავარ და ძირითად ალტერნატივად ჩამოყალიბდეს. ამას დიდი მუშაობა სჭირდება და ამაში თავად ბიძინა ივანიშვილიც გვეხმარება.

– როგორ?

– თავისი შეფასებებითა და გამოსვლებით – საზოგადო განცხადებებს რაც უფრო ხშირად გააკეთებს, ჩემი აზრით, ხალხს კიდევ უფრო მეტად დაანახვებს, რომ აუცილებელია, 2016 წელს პოლიტიკური ცვლილება განხორციელდეს.

– ირაკლი ბატონო, მოდით, წარსულში დავბრუნდეთ: 2011 წელს, როცა პოლიტიკაში შემოვიდა, ბიძინა ივანიშვილმა პირველი, ვინც პარტნიორად დაასახელა, სწორედ „თავისუფალი დემოკრატები“ იყო. არადა, თქვენი პოლიტიკური მსოფლმხედველობა ერთმანეთისგან განსხვავდებოდა. მაშინ საკუთარ თავს მაინც არ ჰკითხეთ, მე რატომ ამირჩიაო, ან დღევანდელი გადასახედიდან, ხომ არ ფიქრობთ, რომ კოალიციაში შესვლით შეცდომა დაუშვით თუ იმხანად მიზანი საშუალებას ამართლებდა, ანუ მთავარი „ნაცმოძრაობის“ დამარცხება იყო?

– აბსოლუტურად სწორი ბრძანეთ – ჩვენ ამოცანა, მიზანი გვაერთიანებდა და მაშინაც ხაზს ვუსვამდით, რომ კოალიციის განსხვავებულობის მიუხედავად...

– უკაცრავად, კოალიციაში შემავალ პარტიებზე კი არა, კონკრეტულ პერსონაზე გკითხეთ...

– თუნდაც ივანიშვილის განსხვავებულობისა და წარსულის მიუხედავად, ეჭვი ერთი წამითაც არ მეპარებოდა და არც მეპარება, რომ სწორი იყო, როცა საზოგადოებამ მხარი კოალიციას დაუჭირა. ის ცვლილება განსახორციელებელი იყო – „ნაცმოძრაობის“ მართვის 9 და, განსაკუთრებით, ბოლო წლები უკვე აუტანელი გახლდათ. გადაწყვეტილება საზოგადოებამ მიიღო, ჩვენ კი, უბრალოდ, ამ ცვლილების ინსტრუმენტი ვიყავით და ყოველთვის ხაზს ვუსვამ, ამ ცვლილებაში ფუნდამენტური წვლილი ბიძინა ივანიშვილმა შეიტანა, რისთვისაც მადლიერები ვართ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, ის ღირებულებები და იდეალები, რისთვისაც მაშინ გავერთიანდით, ასე სწრაფად – ორ წელში უნდა გაუკუღმართებულიყო. 2012 წლამდეც უსამართლობას ვებრძოდი და ახლაც, როცა დავინახე, რომ ბიძინა ივანიშვილის სახით უსამართლობა გრძელდება, ისევ უსამართლობას ვებრძვი, ანუ ჩვენთვის ღირებულებები არ შეცვლილა. ჩვენთვის თანამდებობები მთავარი არც ადრე ყოფილა, არც ახლაა და სწორედ ამიტომ, ჩემთან ერთად, გადადგომის გადაწყვეტილება ჩემმა თანაგუნდელებმაც მიიღეს...

– თქვენს შორის პირველი ბზარი როდის გაჩნდა? მგონია, რომ ე.წ. „კაბელების საქმემ“, უბრალოდ, ლაკმუსის ქაღალდის ფუნქცია შეასრულა, რომელმაც შიგნით არსებული დაძაბულობა სააშკარაოზე გამოიტანა...

– საბოლოოდ მაშინ დაფიქსირდა, რომ აბსოლუტურად განსხვავებული ღირებულებები გვქონდა, როცა არჩევნებიდან რამდენიმე თვეში, „თავისუფალ დემოკრატებსა“ და ჩემზე პირველი შეტევა განხორციელდა.

– იმ პრესკონფერენციას გულისხმობთ, მინიშნება თქვენს პირად ცხოვრებაზე რომ გაკეთდა?

– დიახ.

– ბატონო ირაკლი, ბოლოს და ბოლოს, დუბაიში მართლა იყავით?

– დიახ, ვიყავი და ბიძინა ივანიშვილმა ზუსტად იცოდა, რატომაც ვიყავი.

– რატომ იყავით?

– ამას, თუ გნებავთ, მერე დაგიზუსტებთ.

– კი ბატონო...

– მოკლედ, მაშინ ვიგრძენი, რომ ამ ადამიანთან პიროვნულად საერთო ვეღარ მექნებოდა, რადგან ისეთ რაღაცას შეეხო, რაც ყველა ქართველისთვის წმინდაა და ამაზე ხელის აწევა, ჩავთვალე, რომ ყველაზე დიდი ამორალობა იყო. ამის შესახებ პირშიც ვუთხარი, თუმცა ყველაფერი, როგორც მახსოვს, ხუხაშვილს გადააბრალა, იმის გაკეთებულიაო.

– თუკი ჩათვალეთ, რომ პიროვნული საერთო აღარაფერი გექნებოდათ, კოალიცია და, შესაბამისად, თანამდებობაც მაშინვე რატომ არ დატოვეთ?

– იმის გამო, რომ ისე არ გაგებულიყო, როგორც უმადურობის განცდა, ამასთან, თავდაცვის უწყებაზე პასუხისმგებლობა მქონდა აღებული – ორწლიანი გეგმა შევიმუშავე, რომელზეც მასაც ველაპარაკე, ალექსი პეტრიაშვილს თავისი გეგმა ჰქონდა, საგარეო მინისტრს – თავისი და სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, ჩავთვალე, რომ ჯობდა, კოალიცია არ დარღვეულიყო, ერთობა შეგვენარჩუნებინა.

ისიც აბსურდული ბრალდებაა, რომ თითქოს საპრეზიდენტო კამპანიის წარმოებას ზურგსუკან ვაპირებდი. ადამიანმა ვინმეს ზურგს უკან საპრეზიდენტო კამპანიის წარმოება როგორ უნდა მოახერხო? – ეს, ბუნებრივია, ხელოვნურად შექმნილი პრობლემა იყო. ამის შემდეგ, მისი მხრიდან მუდმივად ჩასაფრებული დამოკიდებულება იყო, თუმცა ამას არ შევუშინებივარ და ზუსტად ვიცოდი, იმას, რასაც ხელს მოვკიდებდი, ბოლომდე მივიყვანდი და იმ გუნდის იმედიც მქონდა, რომელიც თავდაცვის სამინისტროში მყავდა. ამიტომ, შედეგიც დავდეთ: ნატო-ს სამიტი ისეთი შედეგიანი აღმოჩნდა, რასაც ბიძინა ივანიშვილი კი არა, თავად ევროპელი პარტნიორებიც არ ელოდნენ. მთავარი შედეგი კი ისაა, რომ საქართველოში ნატო-საქართველოს საწვრთნელი ცენტრი რეალურად გაიხსნება. გარღვევას, ასევე, ჩვენი ქვეყნისთვის შეიარაღების მოწოდების კუთხითაც მივაღწიეთ. მგონი, სწორედ ეს ორი თემა გახდა ბიძინა ივანიშვილისთვის ბოლო წვეთი და მთავარი განმსაზღვრელი, რომ ჩვენზე მიღებული გადაწყვეტილება განეხორციელებინა.

– იმის თქმა გინდათ, რომ „კაბელების საქმე“ ამიტომ შეიკერა?

– კი ბატონო... 2014 წლის, დაახლოებით, მაისში, ფიქტიურ პრემიერს ვუთხარი, რომ პარტიის ყრილობის ჩატარებას ვაპირებდი, სადაც თავმჯდომარეობის ერთ-ერთი სავარაუდო კანდიდატი ვიქნებოდი. ასევე, აბსოლუტურად გულწრფელად ვუთხარი, რომ პარტიის გაძლიერებას ვგეგმავდი, რადგან ძლიერი პარტია კოალიციასაც უფრო მეტ თავდაჯერებულობას მოუტანდა. მოკლედ, კოალიციაში იცოდნენ, რომ პარტიის გაძლიერებას ვაპირებდი და ამანაც დააფრთხო ისინი – კოალიციიდან სიგნალები გამოვიდა და ამ საქმის შეკერვა დაიწყეს.

– პარტიის გაძლიერება, ვფიქრობ, კოალიციის ალტერნატივის შექმნას ნიშნავს. ასე რომ, მეორე მხარის ეჭვი არალოგიკური არ უნდა ყოფილიყო...

– კოალიციის დატოვება არც გვინდოდა. უბრალოდ, პარტიის გაძლიერებას იმიტომ ვგეგმავდით, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე, ჩვენი და არა მხოლოდ ჩვენი პარტიისადმი დამოკიდებულების კუთხით, გადაწყვეტილებების მიღება უსამართლოდ ხდებოდა. ღიად გვქონდა ნათქვამი, რომ არჩევნების შემდეგ დამოუკიდებელ პოლიტიკურ ძალად ჩამოყალიბებას ვგეგმავდით, მაგრამ კოალიციის დატოვებას არ ვაპირებდით.

– ესე იგი, ამის თაობაზე ბიძინა ივანიშვილმა იცოდა?

– რა თქმა უნდა, – ორივემ.

– ირაკლი ღარიბაშვილმაც?

– კი ბატონო, რომელიც დღევანდელ მთავრობაში ყველაზე სუსტი რგოლია და ამიტომაცაა მნიშვნელოვანი, რომ შექმნილ ვითარებაზე პასუხისმგებლობა ივანიშვილმა აიღოს და ქვეყანა ღიად, ლეგალურად მართოს, რაც პოლიტიკურად სწორი იქნება.

მოკლედ, ვთვლი, ეს კიდევ წვეთზე-წვეთი იყო, რის გამოც მათ გადაწყვიტეს, რომ ჩემთვის, როგორც სამომავლო პოლიტიკური ოპონენტისთვის დარტყმა მოეყენებინათ, მაგრამ ამ ადამიანების დაკავებაზე გადაწყვეტილების იმ წუთას მიღება, როცა საზღვარგარეთ, საფრანგეთისა და გერმანიის თავდაცვის მინისტრებთან შეხვედრებზე ვიყავი, იმით იყო განპირობებული, რომ თავდაცვის კუთხით თანამშრომლობის შეთანხმება მომზადდა, რაც, ბუნებრივია, უსაფრთხოების კაბინეტის წევრებთან შეთანხმებული მქონდა. ბოლოს, ამ შეთანხმებაზე ხელმოწერისგან თავშეკავება, ჩემი აზრით, ბიძინა ივანიშვილმა გამოკვეთა, რასაც არ დავეთანხმე, შეთანხმებას ხელი მაინც მოვაწერე და სწორედ იმ დილით მოხდა ხუთი მძევლის აყვანა – ეგონათ, რომ ამით აზრს შემაცვლევინებდნენ, შემაშინებდნენ, მაგრამ ასე, რა თქმა უნდა, არ მოხდა და დღესაც მჯერა, რომ ის შეთანხმება, თუკი განხორციელდა, საქართველოს თავდაცვითუნარიანობას აამაღლებს და ჩვენი ქვეყნის დაცულობას კიდევ უფრო გაზრდის. იმედი მაქვს, ხელისუფლებას, კერძოდ, თავდაცვის სამინისტროს ეყოფა კეთილგონიერება, რომ ეს შეთანხმება ბოლომდე მიიყვანოს!

– ბატონო ირაკლი, მაშასადამე, ადასტურებთ, რომ ხელი იარაღის შესყიდვაზე მოაწერეთ?

– მივაღწიეთ შეთანხმებას, რომ საქართველოს დღევანდელი სამხედრო საფრთხეების ადექვატური შესაძლებლობები ჰქონდეს. ვიმეორებ: როგორც მოქალაქე და ქართული შეიარაღებული ძალების გულშემატკივარი, იმედს ვიტოვებ, ხელისუფლებას ეყოფა კეთილგონიერება, რომ ეს შეთანხმება შეასრულოს!

– ბოლო 9 წლის განმავლობაში, საქართველოში წარმოებულ იარაღით უკანონო თუ ლეგალურ ვაჭრობაში რუსეთის კვალი იკვეთება, გამოდის, რომ თქვენს წინააღმდეგ დაწყებული კამპანია უფრო დიდი პოლიტიკაა, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს, ანუ უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, იარაღის უკანონო ბიზნესს საქართველოზე, როგორც ტრანზიტზე, გზა გადაუკეტეთ?

– არა, არა... აქ საქმე კონკრეტულად საქართველოსთვის თავდაცვითი შეიარაღების მოწოდებაზეა... ჩვენთვის მთავარია, რომ საქართველოს ნატო-ს სტანდარტების შესაბამისი უახლესი თავდაცვითი საშუალებები ჰქონდეს. ამაზე წელიწადნახევარი ვმუშაობდი და შედეგსაც მივაღწიე...

– ბატონო ირაკლი, დღევანდელი მონაცემებით, ქართული პოლიტიკის პროდასავლუ-

ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ ᲛᲔ- 9 ᲒᲕ.

„გატაცებული ვარ პარაშუტიზმით, მაგრამ ბოლო წლების განმავლობაში, ოპოზიციურ საქმიანობაში ვიყავი ჩართული, არჩევნები იყო და დიდი ხანი ხტომა ვერ მოვახერხე. ყველაზე ახლოს ამის შესაძლებლობა დუბაიში იყო. ბიძინა ივანიშვილს დავეთხოვე და ვუთხარი, ამის გამო ავილებდი რამდენიმედღიან შვებულებას და წავიდოდი, რათა მორიგი ინდივიდუალური ხტომა განმეხორციელებინა. ამის გამო წავედი, მეტი არაფრის... დუბაიში ჩემი ამერიკელი მეგობარიც ჩამოვიდა...“

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ᲔᲥᲡᲙᲚᲣᲖᲘᲕᲘ

ᲛᲔ-8 ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

რი სექტორი მთლიანად თქვენ გეკუთვნით, ანუ ოპოზიციაში გადასვლით, „ნაციონალები“, პრაქტიკულად, თამაშგარე მდგომარეობაში დატოვეთ...

— ალტერნატივად სწორედ იმიტომ ჩამოვყალიბდით, რომ ხალხი დაპირებებით, რომელიც ორ წელიწადში ვერ შესრულდა, გადაიღალა. ამასთან, ხალხს არ უნდა, არათუ დაბრუნდეს, არამედ, „ნაციონალების“ 9-წლიანი მმართველობა გაიხსენოს. ჩვენ, „თავისუფალი დემოკრატები“ სწორედ ამ ორ ძალას შორის წარმოვჩინდით, როგორც ალტერნატივა, რომელსაც 2016 წელს საზოგადოების ძალიან დიდი ნაწილი მხარს დაუჭერს. არ ვიცი, ეს ბიძინა ივანიშვილს რამდენად გააზრებული ჰქონდა, მაგრამ მისი მხრიდან საკუთარი პოლიტიკური ორგანიზაციის მიმართ უიმედობა აშკარად ჩანს.

ვანო, სრულიად ღიად და ცხადად გეუბნებით: არც მიმდინარეობს და არც მომავალში ვაპირებთ რაიმე სახის პოლიტიკურ კონსულტაციას არც „ქართულ ოცნებასთან“ და არც — „ნაცმოძრაობასთან“. არჩევნებში ჩვენ ორივეს დავამარცხებთ!

— ამას წინათ, თამარ ჩერგოლეიშვილმა „თეორემაში“ გკითხათ, პარლამენტში „ნაციონალებთან“ მთავრობისთვის ნდობის გამოცხადების საკითხზე თემატურად ხომ არ ითანამშრომლებთო, რაზეც უარყოფითად არ გიპასუხიათ. ეს როგორ გავიგოთ?

— თემატური თანამშრომლობა ოპოზიციასა და, მათ შორის, უმრავლესობასთანაც უკვე შედგა, მაგალითად, საყდრისზე. ეს ის საკითხია, რომელიც ყველას გვაღელვებს.

— მაპატიეთ, მაგრამ საყდრისის პრობლემა ჯერ კიდევ მაშინ გაჩნდა, როცა „თავისუფალი დემოკრატები“ ხელისუფლებაში იყავით და თავის დროზე რატომ არ დაინტერესდით?

— საყდრისის საკითხი, როგორც მოქალაქეს, მაშინაც მაღელვებდა. ეს ისეთი თემაა, რომელზეც თანამშრომლობა ოპოზიციასა და უმრავლესობაში არსებულ საღ ძალასთან შეიძლება და შევთანხმდით კიდეც, რომ კომისია უნდა შედგეს. საერთოდ, ასეთი სახის თანამშრომლობა ბუნებრივი და სწორია, თუმცა პოლიტიკური თანამშრომლობა გამორიცხულია!

— ვერ გავიგე: თუკი უმცირესობა მთავრობის ნდობის საკითხს დააყენებს, მხარს დაუჭერთ თუ არა?

— ეს გადაწყვეტილება ჩვენი ფრაქციის მიერ იმ ერთადერთი საფუძვლითა და მოტივით იქნება მიღებული, თუ რამდენად სჭირდება ქვეყანას მთავრობისთვის ნდობის გამოცხადება-არგამოცხადება.

— უმცირესობასთან თუნდაც უმნიშვნელო საკითხზე თანამშრომლობით „ოცნებას“ თქვენს წინააღმდეგ ახალი პიარის საბაბს მისცემთ...

— ვანო, გითხარით და კიდევ გეუბნებით: „ნაცმოძრაობასთან“ არანაირი პოლიტიკური კონსულტაციები არ გვაქვს და არც მომავალში ვაპირებთ, რადგან თავის დროზე თანამდებობები ნებით დავტოვეთ და „ნაციონალების“ ოპოზიციაში ჩავდექით და ეს მაშინ, როცა ბიძინა ივანიშვილი საკაშვილის რეჟიმს ჯერ კიდევ ეხმარებოდა და სრულ მხარდაჭერას უწევდა!

სხვათა შორის, როგორც კი კოალიციიდან გავედით, ბიძინა ივანიშვილმა საკუთარი უმრავლესობა „ნაცმოძრაობის“ წარმომადგენლებით შეავსო და „ოცნების“ უმრავლესობა „ნაციონალური ოცნების“ უმრავლესობად გადაიქცა! ბიძინა ივანიშვილმა საკაკაშვილის მეთოდი გადმოიღო, რომელიც ჩვენც კი გვაბრალებდა, რომ რუსეთუმეები ვართ. ივანიშვილი იგივე ტაქტიკას იყენებს, თითქოს ჩვენ „ნაციონალებთან“ ვთანამშრომლობთ.

— სხვათა შორის, იმასაც ამბობენ, ალასანია „ცე-რე-უ“-ს აგენტიაო...

— (იცინის)...

— დავაკვირდი: რამდენჯერმე ის თანაგუნდელები ახსენეთ, რომლებმაც თანამდებობები თქვენთან ერთად დატოვეს. თეა წულუკიანზე კი, რომელიც მთავრობაში დარჩა, მინიშნებაც არ გაგიკეთებიათ. ბატონო ირაკლი, შეიძლება, ამ თემაზე ლაპარაკი არ გინდათ, მაგრამ ივანიშვილში შეცდით, წულუკიანში შეცდით... ეგებ, ადამიანების შერჩევა არ გეხერხებათ?

— ვანო, მოდით, წინა პლანზე ის 98 პროცენტი წამოვწიოთ, რომელშიც არ შევცდი და ეს 98 პროცენტი ჩემი თანაგუნდელების, „თავისუფალი დემოკრატების“ დამფუძნებელთა ის ბირთვია, რომელთან ერთადაც 6 წლის განმავლობაში ათასი პოლიტიკური ქარიშხალი, ორომტრიალი გავიარე და დღესაც ერთ მუშტად შეკრულები ვართ! შეუცდომელი არავინაა... არ მინდა, კონკრეტულად თეაზე ვილაპარაკო. თავის დროზე მისი გადაწყვეტილება, როცა „ნაცმოძრაობის“ წინააღმდეგ ბრძოლაში „თავისუფალ დემოკრატებს“ შემოუერთდა, სწორი იყო და ამ საერთო ბრძოლაში თავისი დიდი წვლილიც შეიტანა. მითქვამს და ახლაც ვიტყვი: თეას დღევანდელი გადაწყვეტილებების გამო, ჩვენს საერთო ბრძოლას კითხვის ნიშნის ქვეშ არ ვაყენებ...

— როგორც ვიცი, თეა თქვენი მეგობარი იყო. დაკარგული მეგობრობა არ გტკივათ?

— ადამიანური ურთიერთობა დღესაც შერჩენილი გვაქვს. პოლიტიკური გადაწყვეტილებები ისე მტკივნეულად არ უნდა აღვიქვათ, რომ პირად დრამაში გადავიტანოთ. მისი გადაწყვეტილება მივიღე და პატივს ვცემ...

— „ნაცმოძრაობა“ ტელევიზიით კლიპებს ატრიალებს. თქვენ კი, რეგიონებში შეხვედრებს მართავთ. ყველაფერი ეს, პრაქტიკულად, საარჩევნო კამპანიის შთაბეჭდილებას ქმნის. ბატონო ირაკლი, ვადამდელი საპარლამენტო არჩევნებისთვის ემზადებით?

— ჩვენი პარტია ისეთ მილიონებს არ ფლობს, როგორსაც „ნაცმოძრაობა“ და „ქართული ოცნება“ ფლობენ. არც საკუთარი ტელევიზიებით ვართ განებივრებულნი. აქედან გამომდინარე, ხალხთან ურთიერთობის ყველაზე სწორი ფორმა მასთან უშუალო შეხვედრა, პრობლემების იდენტიფიკაცია და მოსახლეობასთან შეთანხმებით ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანაა. გაცნობიერებული გვაქვს, რომ „ნაცმოძრაობასა“ თუ „ქართულ ოცნებაზე“ მეტი მუშაობა მოგვიწევს.

— ისე, საკუთარი ტელევიზია არც „ოცნებას“ აქვს...

— მთლად ვერ დაგეთანხმებით, მაგრამ არ მინდა, ტელევიზიებში გავლენებზე ლაპარაკი დავიწყო...

— ექსპერტები ამბობენ, რომ ქართულ მედიაში პროდასავლურობის დეფიციტია...

— სამწუხაროდ, ჩანს, თუ როგორ მიდის უსახსრობის გამო დამოუკიდებელი, საღი აზრის მედია-საშუალებების, განსაკუთრებით, ბეჭდური მედიის ხელშეშლა და როგორ ხდება პრორუსული და ანგაჟირებული მედიის დაფინანსება. ამ თემაზე ამერიკელებსა და ევროკავშირის წარმომადგენლებთანაც მისაუბრია, რომ აუცილებელია, დამოუკიდებელმა მედიამ დასაყრდენი მათი სახით იგრძნოს... სხვათა შორის, პარტიული გაზეთი გამოვეცით. საერთოდ, საწუწუნო არაფერი მაქვს და ამ ეტაპზე ყველაფერი, მათ შორის, პარტიული ცხოვრება ძალიან კარგად მიდის!

— დაჭერის არ გეშინიათ?

— ჯერ ერთი, დღეს ყველაზე ძალიან ის მაღელვებს და მანერვიულებს, რომ ჩემს გამო ციხეში ხუთი უდანაშაულო ადამიანი ზის — ყალბი სენტიმენტების გარეშე ვამბობ, დღე ისე არ გავა, ამაზე არ ვიფიქრო. ამ საკითხებზე აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მოადგილესაც ხანგრძლივად ვესაუბრე, რომელმაც მითხრა, რომ ეს თემა ხელისუფლებასთან, ყველა პოლიტიკურ დონეზე განიხილა, პოლიტიკური ოპონენტის მიმართ ასეთი ნაბიჯების მიუღებლობა ყველას დაუფიქსირა და დიდი იმედი მაქვს, რომ პატიმრობაში მყოფ უდანაშაულო ადამიანებს ძალიან მალე გამოუშვებენ.

სხვათა შორის, „კაბელების საქმეზე“ სასამართლომ განხილვა, პროკურატურის მოთხოვნით, უკვე მეორედ გადადო, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ხელში არაფერი აქვთ, მათ შორის, არც — მოტივი და ეს წმინდა პოლიტიკურად მოტივირებული გადაწყვეტილებაა. ამიტომაც, ამ ბიჭებს პირადად ბიძინა ივანიშვილის პატიმრები დავარქვი, რომელიც ამ სამარცხვინო ლაქას ვერასოდეს ჩამოიშორებს, თუმცა სასამართლოს იმედი მაქვს — როცა საქმის განხილვა დაიწყება, პირველ რიგში, ამ ადამიანებს გამოუშვებენ.

რაც შეეხება ჩემს დაჭერას, შეიძლება, განზრახვა ჰქონდათ, მაგრამ გამბედაობა არ ეყოფათ, რომ ეს ნაბიჯი გადადგან. თუ ეყოფათ, ამასაც ვნახავთ! ბიძინა ივანიშვილს გამბედაობა არც იმისთვის ეყო, რომ ღიად, საზოგადოების წინაშე დავმსხდარიყავით და სწორედ ამ საკითხზე გვემსჯელა, გვეკამათა, მით უმეტეს, ამ თემაზე საჯაროდ ლაპარაკი პირველად თვითონ დაიწყო.

— ყოფილი პრემიერი ამბობს, რომ ბევრ რამეზე ლაპარაკი არ უნდა და თქვენ ყველაზე კარგად იცით, კოალიციიდან რატომაც წამოხვედით...

— არ ვიცი... არ მგონია, რამეს მალავდეს. სწორედ ამას ვეუბნები, რომ დავსხდეთ და იმასთან დაკავშირებით ვიმსჯელოთ, საზოგადოება შეცდომაში რომ შეიყვანა.

— ბატონო ირაკლი, ერთი რამ ვერ გამიგია: მინისტრობიდან გადადგომის შემდეგ, ყოფილ პრემიერს დახურულ კარს მიღმა რატომ შეხვდით?

— ჩვენთან საუბარი უნდოდა და მოულოდნელად პოლიტსაბჭოზე მოვიდა, მაგრამ არ გამოუვიდა, რომ ეს შეხვედრა წაეყვანა, რადგან მასთან სათქმელი არაფერი გვქონდა. მოკლედ, პოლიტსაბჭოზე საუბარი ვერ შედგა და სურვილი ჰქონდა, ერთი-ერთზე მაინც გაგვესაუბრა და იმ პოლიტიკური პარტნიორობიდან გამომდინარე, რაც ორი წელი გვაკავშირებდა, ერთი შეხვედრა, რა თქმა უნდა, არ უნდა დამემადლებინა.

— რაზე შეთანხმდით?

— აბსოლუტურად არაფერზე, ჩვენ ჩვენს პოზიციებზე დავრჩით, თუმცა ითქვა, რომ სასურველია, ამ პროცესში სახელმწიფო არ დავაზიანოთ...

— ვიღაცები ამბობენ, რომ 2012 წელს, ზუგდიდის არჩევნებში ახალაიებს გაურიგდით, დათა ახალაია კი, თურქეთის საზღვარზე გადაიყვანეთ... ახალაიებთან რა შეხება გქონდათ?

— ეს იმდენად აბსურდულია, რომ პასუხის სერიოზულად გაცემაც არ მინდა. არიან ადამიანები, რომელთაც ჭორების გავრცელების გარდა, საქმე არ აქვთ.

— პასუხს არც იმაზე გასცემთ, რომ ყოფილმა პრემიერმა თავის დროზე, თურმე, სახლი გიყიდათ?

— (იღიმება) ესეც მაგ რანგში გადის... ცალსახად ვამბობ: ივანიშვილისთვის თეთრი არც მომითხოვია და არც მიმიღია. სწორედ ესაა ჩემი დამოუკიდებლობის კიდევ ერთი საფუძველი, რაც მას შეიძლება, არ მოსწონდა, მაგრამ ბიძინა ივანიშვილის მიმართ არასოდეს არანაირი ვალდებულება არ ამიღია: არც — პოლიტიკური და არც — ფინანსური!

— ფულს გთავაზობდათ?

— როცა ეს საქმე დავიწყეთ, შეიძლებოდა, რომ რაღაც ანაზღაურებაზე საუბარი ყოფილიყო, მაგრამ ამას არასოდეს მივიღებდი!

— დღემდე „ნაციონალების“ მფარველობას გწამებენ. ისე, ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, თავდაცვის სამინისტროში ვინმე კოტე ყიფიანი გავლენიან თანამდებობაზე მუშაობდა, რომელსაც კონკრეტული ბიზნესმენი ტერორში ამხელს. ბატონო ირაკლი, კადრებთან დაკავშირებით უფრო ხისტი რატომ არ იყავით?

— ვანო, დიდი მადლობა ამ შეკითხვისთვის და მინდა, კარგად განვმარტო: საჯარო სამსახური იმდენად მგრძნობიარე სფეროა, რომ პოლიტიკური ნიშნით რყევა რამდენიმეწლიან დაღს ასვამს. „ნაცმოძრაობა“ სწორედ იმიტომ დავამარცხეთ, რომ საჯარო სამსახურში, პოლიტიზირებული კუთხით, პრაქტიკულად, სადამსჯელო ორგანო არსებობდა და თანამდებობებზე მხოლოდ „ნაციონალებისადმი“ লოიალურად განწყობილებს ნიშნავდნენ... ასე იყო თუ ისე, საჯარო სამსახურში დასაქმებულებმა ისწავლეს, ტრეინინგები გაიარეს. ჯარი კიდევ უფრო მგრძნობიარეა, რომელიც, გახსოვთ, მთლიანად, პოლიტიზირებული იყო, მაგრამ ერთ წელიწადში იქ მდგომარეობა ისე შევცვალე, რომ ჯარის 75 პროცენტმა არჩევნებში ხმა საკუთარი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მისცა, ანუ ჯარს ღირსება აღვუდგინეთ, თავისუფლება მივეცით და ამ ღირსებას ადვილად ვეღარავინ წაართმევს! როცა ნასწავლ ადამიანებს, რომლებზეც ჩვენი და ჩვენი პარტნიორების მხრიდანაც ათასობით თანხა იხარჯება, სამსახურს პოლიტიკური ნიშნით დაატოვებინებ, ჩემი აზრით, ეს ანტისახელმწიფოებრივია. ამიტომაც, თავდაცვის სამინისტროში რომ მივედი, არ შემიხედავს, ვინ თევზაძის დროს მუშაობდა, ვინ — ახალაიას და ვინ — კეზერაშვილის. ჩემთვის მთავარი პროფესიონალიზმი იყო და, რაც მთავარია, შერჩევის საბჭოები შევქმენით, რომლის მიხედვითაც, საკადრო გადაწყვეტილებებს თავად სამხედროები იღებდნენ. მათ კი, ვისაც სისხლის სამართლებრივი დანაშაული ჰქონდათ ჩადენილი, საქმე, ბუნებრივია, სამართალდამცავ უწყებებთან ექნებოდათ.

— წეღან შემპირდით, რომ დუბაის ამბავს მიამბობდით... პიკანტური დეტალის გარდა, ისიც ითქვა, რომ დუბაიში თითქოს, არჩილ გეგენავას შეხვდით, რომელსაც პარტიის დაფინანსება სთხოვეთ...

— (იცინის) არც — ერთი და არც — მეორე. პირდაპირ გეტყვით: გატაცებული ვარ პარაშუტიზმით, მაგრამ ბოლო წლების განმავლობაში, ოპოზიციურ საქმიანობაში ვიყავი ჩართული, არჩევნები იყო და დიდი ხანი ხტომა ვერ მოვახერხე. ყველაზე ახლოს ამის შესაძლებლობა დუბაიში იყო. ბიძინა ივანიშვილს დავეთხოვე და ვუთხარი, ამის გამო ავიღებდი რამდენიმედღიან შვებულებას და წავიდოდი, რათა მორიგი ინდივიდუალური ხტომა განმეხორციელებინა. ამის გამო წავედი, მეტი არაფრის... დუბაიში ჩემი ამერიკელი მეგობარიც ჩამოვიდა...

— ბატონო ირაკლი, „კაბელების საქმეზე“, დაკითხვაზე თავის დროზე თქვენი ყოფილი მოადგილე, ლექსო ბატიაშვილი დაიბარეს. ეს ადამიანი თქვენს მოადგილედ როგორ დაინიშნა და, საერთოდ, იმ ტენდერს, რომელიც კაბელებს უკავშირდება, ხელს ვინ აწერს?

— ეს სასამართლო განხილვაზე გამოჩნდება... ერთს გეტყვით: ეს მთლიანად სახელმწიფოებრივი პროექტია, რომელიც კონკურსით შეირჩა, მიუხედავად იმისა, რომ კონკურსის ჩატარების ვალდებულება არ არსებობდა. სწორედ ამიტომაა პროკურატურა მოტივისა და ბრალდების კუთხით „გაჭედილი“.

რაც შეეხება ბატიაშვილს, ის თავის დროზე შს მინისტრის მოადგილე იყო და როცა ღარიბაშვილი პრემიერ-მინისტრად გადავიდა, მაშინ დაიბადა აზრი, რომ ლექსო, რომელსაც ვიცნობდი, ჩემთან გადმოსულიყო.

— ეს აზრი კონკრეტულად ვის დაებადა?

— ერთობლივად, საკადრო გადაწყვეტილებების განხილვისას დაიბადა.

— ბოლოს, ბატონო ირაკლი, როგორ ფიქრობთ, საქართველოს მოსახლეობის განწყობა უფრო პროდასავლურია თუ უფრო პრორუსული?

— ვანო, არც — ერთი და არც — მეორე. ხალხის განწყობა პროქართულია, რაც იმას ნიშნავს, რომ გვინდა, ჩვენი დამოუკიდებლობა შევინარჩუნოთ. კარგად ვხედავთ, ამ დამოუკიდებლობას რუსეთი როგორც ებრძვის. სახელმწიფოებრიობის განვითარების სწორ გზად საზოგადოების უდიდესი ნაწილი ევროკავშირსა და ნატო-ში ხედავს. აქედან გამომდინარე, ნატო-ც და დასავლეთიც ინსტრუმენტია, რომ გავძლიერდეთ და დამოუკიდებლები ვიყოთ, თუმცა ბოლო წელიწადნახევარია, პრორუსული პროპაგანდის სივრცე გაიხსნა, რასაც სახელმწიფოებრივი პასუხი უნდა გავცეთ. უშიშროებამ ამაზე უნდა იფიქროს და არა — იმაზე, მე და თქვენ როდის, სად შევხვდით და რაზე ვილაპარაკეთ. სხვათა შორის, რეგიონებში, როგორც მეუბნებიან, ყველაფერს სუს-ის წარმომადგენელი წყვეტს.

— თქვენი ბინის გაქურდვის საქმეში სიახლე ხომ არაა?

— ჯერჯერობით, არა.

— გჯერათ, რომ ეს ქურდობის მცდელობა იყო?

— გამოძიება მიმდინარეობს, ბუნებრივია, ჩემი ხედვა მაქვს, მაგრამ ამის შესახებ ახლა არ ვისაუბრებ.

— კეთილი...

ესაუბრა ᲕᲐᲜᲝ ᲞᲐᲕᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ქართული სიტყვა
ლიტერატურა, ხელოვნება, პოლიტიკა
ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით
„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

დღეს 25 თებერვალია

„ჩვენი სიკვდილი გამარჯვებას მოუტანს საქართველოს!“

საქართველოს პირველმა დემოკრატიულმა რესპუბლიკამ ორი წელი და 8 თვე იარსება (1918-1921 წლები) და ისტორიას ორი მნიშვნელოვანი თარიღი დაუტოვა: 1918 წლის 26 მაისი — საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება და 1921 წლის 25 თებერვალი — რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაცია. „დემოკრატიული რესპუბლიკის სამწლიანი არსებობა თავისი განცდის ინტენსიურობით, უფრო ძლიერი იყო, ვიდრე — ჩვენი მონობის ასი წელი“, — ასე აფასებდა კონსტანტინე გამსახურდია საქართველოს ხანმოკლე, მაგრამ ბედნიერ ხანას, რასაც საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი ტრაგიკული ფურცელი, 1921 წლის 25 თებერვალი მოჰყვა — ამ დღეს ბოლშევიკმა სერგო ორჯონიკიძემ მოსკოვში დეპეშა აფრინა: „მოსკოვი. კრემლი. ორჯონიკიძე, ლენინს, სტალინს: ტფილისის თავზე წითელი დროშა ფრიალებს. გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!“ როგორი იყო პირველი დემოკრატიული რესპუბლიკა და როგორ შენდებოდა პირველი დამოუკიდებელი ქართული ჯარი? — „ქართული სიტყვა“ სამხედრო ისტორიკოსს, პოლკოვნიკ მამუკა გოგიტიძეს ესაუბრა, რომელმაც ახლახან, ისტორიკოს გიორგი ბეჟიტაშვილთან ერთად, ბიოგრაფიული ცნობარი — „სამხედრო ფიცის ერთგულნი“ გამოსცა. წიგნში იმ 104 ქართველი გენერლის ბიოგრაფიული მონაცემებია შესული, რომლებიც, სხვადასხვა დროს, მსოფლიო ქვეყნების არმიებში მსახურობდნენ... განსაკუთრებით საინტერესოა 1918-1921 წლების პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის ქართველი სამხედროებისა და გენერლების ცხოვრება...

მამუკა გოგიტიძე, სამხედრო ისტორიკოსი: — პირველი მსოფლიო ომის შედეგად აფორიაქებული მსოფლიო რთულ პოლიტიკურ კატაკლიზმებს განიცდიდა. 1917 წელს, რუსეთის ცარისტული იმპერია რევოლუციით დაემხო. იანვარში, რუსეთის არმიამ ამიერკავკასიაში უფლებამოვალეობა შეწყვიტა. რადგან რუსეთის ფრონტი ყველა მიმართულებით იშლებოდა, რუსის ჯარი კავკასიას სპონტანურად ტოვებდა. 1918 წლის 22 აპრილს, ამიერკავკასიამ დამოუკიდებლობა ოფიციალურად გამოაცხადა, ამავე წლის 26 მაისს, ამიერკავკასიის სეიმი დაიშალა და თბილისში ჯერ საქართველოსა და აზერბაიჯანის დამოუკიდებლობა გამოცხადდა, ორი დღის მერე, 28 მაისს კი, — სომხეთის. ამდენად, თბილისი იყო ცენტრი, სადაც ამიერკავკასიის სამი რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აქტი მიიღეს. საქართველომ პოლიტიკურ-ეკონომიურად დასუსტებული რუსეთის მდგომარეობით ისარგებლა და მისი კლანჭებიდან თავი დააღწია. თბილისში რუსებმა იარაღით სავსე არსენალიც დატოვეს, რომელიც გენერალმა მაზნიაშვილმა აიღო, თუმცა საქართველო მაინც რთულ სიტუაციაში იყო — ჩრდილოეთელი მტერი, არავინ იცოდა, ქვეყნის დაპყრობას კვლავ როდის შეეცდებოდა, სამხრეთიდან კი, ისტორიული მტერი — თურქ-ოსმალო ეპოტინებოდა. ამასთან, ბრესტ-ლიტოვსკის ზავით, ჯერ კიდევ 1877-78 წლებში, რუსეთ-თურქეთის ომის დროს, სისხლით მოპოვებულ ჩვენს ისტორიულ ტერიტორიებს — შავშეთსა და აჭარას ვკარგავდით. 1918 წელს, ბათუმის ოლქს, ასევე, ყარსს, ართვინს და ლორეს, რომელიც ბორჩალოს მაზრაში შედიოდა და რომლის შემორჩენილი ნაწილიც დღეს ქვემო ქართლის რეგიონად ითვლება, ქვედა მხარეს კი, რომელიც 1921 წლიდან სომხეთის ფარგლებში დარჩა, თურქეთი უკან ითხოვდა.

— **1918-21 წლებში, საქართველოს დამოუკიდებელმა რესპუბლიკამ საგარეო კავშირები დაამყარა. ამაზე რუსეთს როგორი რეაქცია ჰქონდა?**

— რუსეთს საქართველოს ხელიდან გაშვება და მისი დამოუკიდებლობა არ ეპიტნავებოდა. ბოლშევიკური მთავრობის მიერ გამოცემული დეკრეტი „ერთა თვითგამორკვევის“ თაობაზე ფინეთის, პოლონეთისა და ბალტიისპირეთის ქვეყნებზე გავრცელდა და, ლოგიკურად, საქართველოსაც უნდა შეხებოდა. საქართველო დამოუკიდებელ ქვეყნად თანმიმდევრულად აღიარეს არგენტინამ, გერმანიამ, ბელგიამ, საფრანგეთმა, დიდმა ბრიტანეთმა, იტალიამ, იაპონიამ, პოლონეთმა, ავსტრიამ, რუმინეთმა, ლუქსემბურგმა, მექსიკამ. 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებით, საქართველო დამოუკიდებელ ქვეყნად რუსეთმაც სცნო, მაგრამ ფარულად იმას ფიქრობდა, თუ როგორ დაემორჩილებინა... ბოლშევიკებმა ჯერ აზერბაიჯანი „გააწითლეს“, მერე — სომხეთი და, ბოლოს, — საქართველო.

— **საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის თანმდევი ქართული არმიის შენება იყო, რაც სასიცოცხლო აუცილებლობას წარმოადგენდა. ბატონო მამუკა, მაშინდელ ქართულ ჯარზე მიამბეთ...**

— საქართველოს სამხედრო ძალების მშენებლობა რთულ პოლიტიკურ-ეკონომიკურ სიტუაციაში დაიწყო. დემოკრატიული ქართული სახელმწიფოს პირობებში, ქართული ჯარის „რეფორმების მამად“ წოდებული ვასილ გაბაშვილის მიერ მთავრობისთვის შეთავაზებული პროექტი ნელ-ნელა, მაგრამ წარმატებით ხორციელდებოდა. ევროპა ისე გვეხმარებოდა, როგორც შეეძლო: იტალიიდან ტანსაცმელი და აეროპლანები შემოიტანეს, თუმცა მათი დიდი ნაწილი, რუსეთთან ომის დროს, ვერც აფრინდა — ანგარებში იდგა, რადგან ძრავები სათანადოდ არ ჰქონდათ დამონტაჟებული. ეს საფრენი აპარატები საბჭოთა რუსეთმა ნადავლის სახით წაიღო. საქმეს ახალციხის ფრონტსა და ბათუმი-სოჭის მიმართულებით მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებიც ართულებდა.

გაგრძელება მე-11 გვ.

25 თებერვალი

და უძრავ იყო თებერვლის ღამე.
თოვდა და თბილისს ებურა თალხი,
დუმდა სიონი და დუმდა ხალხი.
ძილ-ღვიძლად იყო ქალაქი ჩვენი,
საშინელებას კვლავ სჭედდა გრდემლი —
ისევ გოლგოთა, სისხლი და ცრემლი!
მშობელო დედავ, ისევ გაგყიდეს,
ისევ წამების ჯვარი აგკიდეს,
არ შეგიბრალეს, კვლავ არ დაგინდეს!
თოვდა და თბილისს ებურა თალხი.
დუმდა სიონი და დუმდა ხალხი.
დაცხრა კოჯორი და ტაბახმელა,
მხოლოდღა თოვლი ცვიოდა ნელა,
ეფინებოდა გმირების გვამებს —
განგმირულ მკერდებს, დალეწილ
მკლავებს,
და უძრავ იყო თებერვლის ღამე.
თოვდა და თბილისს ებურა თალხი,
დუმდა სიონი და დუმდა ხალხი.
იმ გზით, სად წინათ ელავდნენ ხმლები,
სად სამას გმირთა დაიფშვნა ძვლები,
სად ქართლის დედის ცრემლით ნანამი,
მძიმედ დაეშვა ჩვენი ალამი,
სად გმირთა სისხლით ნაპოხიერი,
თოვლს დაეფარა კრწანისის ველი, —
წითელი დროშით, მოღერილ ყელით,
თეთრ ცხენზე მჯდომი, ნაბიჯით ნელით
შემოდიოდა სიკვდილი ცელით!
თოვდა და თბილისს ებურა თალხი,
დუმდა სიონი და დუმდა ხალხი!

კოლაუ ნადირაძე

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

25.02 3.03 2015 № 8 (272) 11

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

დღეს 25 თებერვალია

მე-10 გვერდიდან

1918 წელს, გერმანელი სამხედრო სპეციალისტების დახმარებით, ქართული რეგულარული ჯარის ჩამოყალიბება დაიწყო, რომლის ბირთვსაც ოსმალეთის ფრონტიდან დაბრუნებული ნაწილები და ასევე, მეფის რუსეთში ნამსახურები ქართველი სამხედროები შეადგენდნენ, რომელთაც გამოცდილება პირველ მსოფლიო და იაპონიის ომებში, ამიერკავკასიის ფრონტზე ჰქონდათ მიღებული. რუსეთის არმიის რიგებიდან გამოქცეულ გენერლებს, ოფიცრებსა და იუნკერებს საოცარი ეროვნული სულისკვეთება ჰქონდათ. რუსეთში მოღვაწე ქართველი გენერლები, რომლებმაც ხეირიანად ქართულიც არ იცოდნენ, მოტივირებული იყვნენ, ქვეყნის სამსახურში ჩამდგარიყვნენ.

— ეროვნული გვარდია სათავეს სწორედ ამ წლებიდან იღებს, არა?

— რეგულარული ჯარის პარალელურად, საქართველოში ყველაზე გავლენიანი ,,სოციალ-დემოკრატიული პარტიის“ შეიარაღებული ფორმირება — სახალხო გვარდია ყალიბდებოდა, რომელიც მალე სახელმწიფო სამხედრო ორგანიზაციად იქცა. იმის შესახებ, თუ როგორ მსახურობდნენ ქართველები რუსეთის მეფის არმიაში, ზღვა ინფორმაციები გვაქვს. რაც შეეხება საქართველოს განვითარების ასეთ საინტერესო პერიოდს, მინდა გითხრათ, რომ ეს ჩვენი ისტორიის თეთრ ლაქად რჩება, თუმცა ბოლოს, გამოჩნდნენ მკვლევარი ისტორიკოსები, რომლებიც ამ თემებზე წარმატებით მუშაობენ.

როცა პარალელს ვავლებ, ვფიქრობ, რომ ზუსტად ასეთი განწყობა ჰქონდათ ქართველებს 1991 წელს: ქართველი ოფიცრები და ჯარისკაცები საბჭოთა არმიის რიგებს საკუთარი ნება-სურვილით ტოვებდნენ და ახლადშექმნილ ეროვნულ გვარდიას უერთდებოდნენ. 2015 წლის 20 დეკემბერს, საქართველოს ეროვნული გვარდიის დაარსებიდან ოცდახუთი წელი სრულდება. მეოცე საუკუნის 90-იანი წლებიდან, ეროვნული გვარდია ქართული შეირაღებული ძალების ძირითად ბირთვს შეადგენდა, საიდანაც შეიარაღებული ძალები ჩამოყალიბდა.

მეოცე საუკუნის დასაწყისში, რუსეთის იმპერია ინგრეოდა და იმ ქაოსში დეზერტირებს არავინ სდევნიდა, საუკუნის ბოლოს კი, სხვა მდგომარეობა იყო: ჯერ კიდევ არსებობდა საბჭოთა იმპერია. ამიტომ საბჭოთა არმიის დეზერტირებს სახლებში მალავდნენ, პროკურატურის ორგანოებში ბევრზე სისხლის სამართლის საქმეც იყო აღძრული. მოსკოვის პუტჩმა და რუსეთის ფედერაციის სათავეში ელცინის მოსვლამ გვიშველა, თორემ საქართველოს ბედი როგორ აეწყობოდა, არავინ იცის.

— არმიის შენება თეორიული მომზადების გარეშე წარმოუდგენელია. პირველ დემოკრატიულ რესპუბლიკაში სასწავლო ცენტრები არსებობდა?

— საქართველოს შეიარაღებულ ძალებს რამდენიმე სამხედრო-სასწავლო დაწესებულება ჰქონდა: ტფილისის სამხედრო სკოლა, ავტოსკოლა, მძღოლების სკოლა, სახალხო გვარდიის სამხედრო სასწავლებელი. 1921 წლისთვის, ჯარის მაქსიმალური რაოდენობა 65-80 ათასს შეადგენდა...

— საბჭოთა ისტორიოგრაფია საბჭოთა რუსეთისა და დემოკრატიული საქართველოს გადამწყვეტი ბრძოლა ,,ტფილისის ოპერაციადაა“ ცნობილი. საქართველოში კი, კოჯორ-ტაბახმელის ბრძოლას უწოდებენ...

— პოლკოვნიკ ალექსანდრე ჩხეიძის მეთაურობით წარმოებულ კოჯორ-ტაბახმელის ბრძოლაში მონაწილე იუნკრებისთვის ეს პირველი საბრძოლო ნათლობა იყო — გამოუცდელი ახალგაზრდა ბიჭები, ათი დღის განმავლობაში, საოცარი სულისკვეთებით იბრძოდნენ და ბრძანების მიუხედავად, ბრძოლის ველი არ მიუტოვებიათ, უკან ერთ კურსანტსაც არ დაუხევია! ისინი ძვლებად დაწვნენ თბილისის ჭიშკართან. მათ გვერდით დაეცა მოწყალების და მარო მაყაშვილიც. მარტო შალვა ერისთავის გმირობა რად ღირს?! საბჭოთა პერიოდში მოსწავლეებს ასწავლიდნენ, რომ მეორე მსოფლიო ომში, საბჭოთა მეომარი იური მატროსოვი პირველი იყო, ვინც ამბრაზურას გადაეფარა. მეოცე საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს კი, ცნობილი გახდა, რომ პირველი მებრძოლი, ვინც ომში ამბრაზურას გადაეფარა, კოჯორ-ტაბახმელის შეტაკების მონაწილე ქართველი იუნკერი შალვა ერისთავი იყო.

— ამ გმირებს კარგა ხანს არავინ იცნობდა...

— სამწუხაროდ, საქართველოში თაობები ისე გაიზარდნენ, რომ მხოლოდ საბჭოთა, ე.წ. წითელ გენერლებს იცნობდნენ, პირველი დემოკრატიული ქართული სახელმწიფოს შესახებ კი მწირი ინფორმაცია ჰქონდათ. ეს ინფორმაცია ლაკონური იყო — საქართველოს მართავდა მენშევიკური მთავრობა, რომლის წინააღმდეგ მშრომელები აღსდგნენ, მოხდა აჯანყება და მთავრობა საზღვარგარეთ გაიქცა. საქართველოს დამოუკიდებელმა რესპუბლიკამ ორი წელი და 8 თვე იარსება და ამის შემდეგ, დიდი ხნით, ისევ რუსეთის იმპერიის ნაწილი გახდა, თუმცა პასუხგაუცემელი დარჩა ბევრი შეკითხვა.

— მაგალითად?

— რატომ გასცა მთავარსარდალმა თბილისის დატოვების ბრძანება? იყო თუ არა სხვა გამოსავალი? ქალაქში რომ დარჩენილიყვნენ, პარტიზანული ბრძოლა რამდენ ხანს გასტანდა, ან, სულაც, როგორ დამთავრდებოდა?

— როგორ ფიქრობთ, თბილისის დატოვება აუცილებელი რატომ გახდა?

— მე-11 არმიამ ჯერ აზერბაიჯანი ისე ,,გააწითლა“, რომ გასროლაც არ მომხდარა, 1920 წლის ნოემბერში — სომხეთი, რასაც შულავერის აჯანყება მოჰყვა, რომლის არსიც შემდეგში მდგომარეობდა: ვითომ, საქართველოში, ადგილობრივმა მოსახლეობამ ბოლშევიკური ხელისუფლება მოითხოვა. აზერბაიჯან-საქართველოს საზღვარზე ბოლშევიკებმა ფოილოს ხიდი აიღეს, რომელსაც, გოგუაძის მეთაურობით, ჯავშანმატარებელი იცავდა. აზერბაიჯანიდან ბოლშევიკთა ახალ-ახალი ნაწილები შემოდიოდნენ, ქართველები კი, ქანცგაწყვეტილები იყვნენ. ამიტომაც, გენერალმა კვინიტაძემ თბილისის დატოვება გადაწყვიტა.

რუსებმა ქართველები წმინდა მიქაელ მთავარანგელოზის ეკლესიის კედელზე მიახვრიტეს — ინტერვიუ, რომელიც შეგძრავთ



„რუსული იდეოლოგიით, ქართული ჯარი ძონძებში იყო გამოწყობილი, სინამდვილეში კი, ასე არ ყოფილა. თბილისში შემოსული მე-11 არმიის ნაწილებს, მართლაც, ძონძები ეცვათ და მშიერმწყურვალნი იყვნენ. არ შემიძლია, პარალელი 2008 წლის საქართველო-რუსეთის ომთან არ გავავლო, როცა პირდაპირ ეთერში ისმოდა ქართველი ჯარისკაცების ყაზარმაში მოკალათებული რუსი ჯარისკაცის ხმა: „ამათ ყველაფერი ჰქონიათ, ჩვენ კი არაფერი გვაქვს!“ 1921 წელს, ძონძებსა და „ლაპტებში“ გამოწყობილი რუსი ჯარისკაცები თბილისს დამშეული თვალებით ათვალიერებდნენ“.

რთული ვითარება იყო აჭარაშიც — ათათურქის ძალები ბათუმში შემოდიოდნენ და ბათუმის ქუჩებში ქართულ აბრებს თურქულით ცვლიდნენ. ოფიციალურმა ანკარამ ართვინისა და არტაანის დაცლა მოითხოვა, რაც შესრულებული იქნა. ამის შემდეგ კი, ახალციხე და ბათუმი მოითხოვა. ბათუმის ქართულ გარნიზონს რა უნდა ექნა? დიდი ბრძოლებით, ბათუმი კი შეინარჩუნეს, მაგრამ თურქების უკანდახევის შემდეგ, ქალაქში რუსები შევიდნენ. ფრანგები გვეხმარებოდნენ, მაგრამ ეს უმნიშვნელო დახმარება იყო, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ აფხაზეთის მიმართულებით რამდენიმე ფრანგული გემი საარტილერიო დაცვას უზრუნველყოფდა. 16 მარტს, მოსკოვში დადებული ხელშეკრულებით, რუსეთმა თურქეთს ართვინი, არტაანი და საქართველოს სხვა ძირძველი ტერიტორიები გადასცა.

— სხვათა შორის, საფრანგეთმა ჩვენი დევნილი მთავრობა შეიფარა...

— რა თქმა უნდა. ბევრი სამხედრო მოღვაწე დაიკრძალა ლევილის ქართველთა სასაფლაოში, მათ შორის, — გენერალი ზაქარიაძეც. გენერალი ილია ოდიშელიძე, რომელიც ბოლომდე ინარჩუნებდა ქართული არმიის მთავარსარდლის წოდებას, მთავრობას საფრანგეთში არ გაჰყვა, სტამბულში დარჩა და იქვე გარდაიცვალა.

— მაშასადამე, ქართული არმია ამ ომისთვის მზად არ იყო, არა?

— დღევანდელი გადასახედიდან, იმაზე ლაპარაკი, მოვლენები როგორ უნდა განვითარებულიყო, ადვილია, მაგრამ რახან ისეთი მაღალი რანგის სამხედრო მოღვაწემ, როგორიც გენერალი გიორგი კვინიტაძე იყო, ასე გადაწყვიტა, ალბათ, სხვა გზა არ არსებობდა. თბილისში დარჩა გენერალი კონსტანტინე აფხაზი, რომელმაც ქალაქის დატოვებაზე კატეგორიული უარი განაცხადა და თქვა: ,,ტფილისი საქართველოა, ვინც ტფილისს ტოვებს, ის საქართველოს ტოვებს!“

კოტე აფხაზმა, პოლკოვნიკ ქაქუცა ჩოლოყაშვილთან ერთად, 1922 წელს ხევსურეთში აჯანყება მოაწყო, რომელმაც, დამარცხების მიუხედავად, რუსულ საოკუპაციო ჯარს საგრძნობლად დიდი ზიანი მიაყენა. იმავე წელს, კოტე აფხაზი ,,საქართველოს დამოუკიდებელი კომიტეტის“ ერთ-ერთი ინიციატორი გახდა, მისივე თაოსნობით შეიქმნა ამ კომიტეტის ,,სამხედრო ცენტრი“, რომელიც კოორდინაციას საყოველთაო-სახალხო აჯანყებას უწევდა. სამწუხაროდ, 1923 წლის თებერვალში, ღალატის გამო, ბოლშევიკთა საგანგებო კომისიამ კოტე აფხაზი და კომისიის 14 წევრი დააპატიმრა და იმავე წლის 20 მაისს დახვრიტა. კოტე აფხაზის ბოლო სიტყვები იყო: ,,მე ვკვდები სიხარულით, რადგან ღირსი გავხდი სამშობლოს სამსხვერპლოზე ზვარაკად მიტანისა, ჩვენი სიკვდილი გამარჯვებას მოუტანს საქართველოს!“

— ბატონო მამუკა, ქართულ საჯარისო ნაწილებში, როგორც აღნიშნეთ, სხვადასხვა ქვეყნის სამსახურში მყოფი ქართველი სამხედრო პირები იყვნენ. არმიის მშენებლობისას ადგილი საბოტაჟს ხომ არ ჰქონდა?

— ხსენებულ პერიოდში საბოტაჟის მაგალითი ისტორიას არ შემორჩენია, მაგრამ 1924 წლის აჯანყება მოღალატე ქართველმა გასცა — აჯანყებულები ნარეკელიძემ დაასმინა.

— ნარეკელიძეს რა ერქვა?

— ვიცით 1832 წლის აჯანყების გამცემი ფალავანდიშვილის სახელი — მას იასე ერქვა. აი, ნარეკელიძის სახელი კი, ისტორიამ არ შემოგვინახა. მნიშვნელობა არ ჰქონდა, აჯანყების ჩაქრობა ერთი დღით ადრე მოხდებოდა თუ ერთი დღით გვიან, იდეა მაინც განწირული იყო... ასე რომ, ისტორიას უსახელო მოღალატე შემორჩა!

— დემოკრატიულ საქართველოს, პრაქტიკულად, ორი საჯარისო ფორმირება ჰყავდა. დისციპლინა როგორი იყო?

— გადმოცემით, დისციპლინა შენარჩუნებული იყო. ცნობილია მხოლოდ ერთი ამბავი, რაც გენერალ მაზმიაშვილს უკავშირდება — ახალციხის ფრონტის სარდლობის დროს, გაურკვევლობის გამო, რაღაც მომენტში, ჯარი ვერ დაიმორჩილა. ეს ამბავი ქართულ ფილმში — ,,ყვარყვარე“ კარგად

გაგრძელება მე-12 გვ.

12 № 8 (272) 25.02 3.03 2015

ეროვნული იდეა

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

ლიტერატურა. ზელოვნება. პოლიტიკა

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

დღეს 25 თებერვალია

მე-11 გვერდიდან

ჩანს. ალბათ, ეს ისტორია გამოიყენეს და აჩვენეს, ნახეთ, როგორი აბდაუბდა, დაუმორჩილებელი ჯარი ჰყავდა მენშევიკ სარდალსო, მაგრამ ერთეული შემთხვევების მთლიან ჯარზე გადატანა უხერხულია.

– მძიმე პოლიტიკურ-ეკონომიკურ ფონზე, ქართული ჯარი როგორ იყო შემოსილი და აღჭურვილი?

– რუსული იდეოლოგიით, ქართული ჯარი ძონძებში იყო გამოწყობილი, სინამდვილეში კი, ასე არ ყოფილა. თბილისში შემოსული მე-11 არმიის ნაწილებს, მართლაც, ძონძები ეცვათ და მშიერ-მწყურვალნი იყვნენ. არ შემიძლია, პარალელი 2008 წლის საქართველო-რუსეთის ომთან არ გავავლო, როცა პირდაპირ ეთერში ისმოდა ქართველი ჯარისკაცების ყაზარმაში მოკალათებული რუსი ჯარისკაცის ხმა: „ამათ ყველაფერი ჰქონიათ, ჩვენ კი არაფერი გვაქვს!“ 1921 წელს, ძონძებსა და „ლაპტებში“ გამოწყობილი რუსი ჯარისკაცები თბილისს დამშეული თვალებით ათვალიერებდნენ. ყურადღებას ერთ საინტერესო ფაქტზე გავამახვილებ: ამ ჯარისკაცებს შორის, ნიკიტა ხრუშჩოვიც იყო. 17 წლის ჯარისკაცს დაამახსოვრდა, თუ როგორი ზარზეიმით შემოვიდა რუსული საოკუპაციო ჯარი საქართველოს დედაქალაქში. წლების მერე, თბილისში ყოფნისას, უკვე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მეთაურის რანგში, ჟურნალისტს ინტერვიუ მისცა და თქვა: „დავდივარ თბილისის ქუჩებში და მიხარია, თუ როგორი ხალისიანები არიან ქართველები დღეს და არა – ისეთები, როგორებიც 1921 წელს, როცა მგლებივით გვიყურებდნენ!“

აბა, როგორ უნდა შეეხედა ჩემს წინაპარს რუსი ჯარისთვის? – სიხარულით?

ბრძოლა არათანაბარ პირობებში მიმდინარეობდა, თბილისის მისადგომებთან 1 600 ჯარისკაცი გენერალმა მაზნიაშვილმა ტყვედ ჩაიგდო და ისინი თბილისის ქუჩებში გაატარა. ეს ჟესტი, მეორე მსოფლიო ომის დროს, 1942 წელს სტალინმა გაიმეორა – გერმანელი ტყვეები მოსკოვის ქუჩებში შემოატარა.

– სერგო ორჯონიკიძე თბილისში მართლა თეთრი ცხენით შემოვიდა?

– ეს ბელეტრისტიკაა და ფერს, ალბათ, სხვა დატვირთვა აქვს. ისე, ბევრმა არ იცის, რომ სერგო ორჯონიკიძემ საყოველთაოდ ცნობილი დეპეშა მოსკოვში ბაქოდან გაგზავნა, საიდანაც ამიერკავკასიის საბრძოლო მოქმედებებს ხელმძღვანელობდა. მეტსაც გეტყვით, თბილისის ოპერაციისთვის აზერბაიჯანის საბჭოთა რესპუბლიკის კომუნისტებმა ბაჯაღლო ოქროსგან დამზადებული წითელი დროშის ორდენი მიართვეს, რომელიც მოსკოვში, მუზეუმში ინახება. ვინ იცის, იქნებ, ამ ორდენის ფასად გადასცა ორჯონიკიძემ აზერბაიჯანს მთელი ზაქათალას ოლქი?!

1921 წელს ლორეც დავკარგეთ.

საბჭოთა პერიოდში გამოცემულ წიგნებში, სერგო ორჯონიკიძის ბიოგრაფიაში, ვერსად შეხვდებით ჩანაწერს, რომ სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. ამის შესახებ მხოლოდ „პერესტროიკის“ მერე გაჟღერდა. სერგო ორჯონიკიძეს საკმაოდ მაღალი თანამდებობა ეკავა – მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარი იყო. რეპრესიებით ცნობილ 30-იან წლებში, ძველი გვარდიიდან სტალინს ცოტა მეგობარი შემორჩა, მათ შორის, სერგო უკანასკნელი მოჰიკანი გახლდათ.

– მათი დაპირისპირების მიზეზი რა იყო?

– სერგოს ძმა პაპულია (პავლე) ორჯონიკიძე ერთ-ერთი მსხვილი კომბინატის დირექტორი იყო. იგი ისე დახვრიტეს, როგორც „ხალხის მტერი“. სერგოს სტალინისთვის უკითხავს, როგორ შეიძლება, ჩემი ძმა ხალხის მტერი იყოსო და მისი შეწყალება უთხოვია. პროლეტარიატის ბელადს კი, ასეთი პასუხი გაუცია: „მე არ ვამბობ, ხალხი ლაპარაკობს!“ შეუძლებელია, აქ ფილმ „მონანიების“ ეპიზოდი არ გაგვახსენდეს: საკმარისი იყო „ტროიკის“ საჩივარი და ადამიანის ბედი გადაწყდებოდა... თვითმკვლელი სერგო ორჯონიკიძე დიდი ზარ-ზეიმით დაასაფლავეს და მისი სახელი საბჭოთა ქალაქებს, ქუჩებს და მის მშობლიურ სოფელსაც დაარქვეს.

– ამბობენ, ზაქათალას ოლქის გადაცემასთან დაკავშირებით სტალინმა ორჯონიკიძეს უთხრა, ბარემ, ღორეშაც მიგეცაო. საუბარია ხარაგაულის რაიონის სოფელ ღორეშაზე, საიდანაც ორჯონიკიძეები არიან...

– ვერაფერს გეტყვით, ეს სიტყვები უფრო ხალხის მოგონილი მგონია. რა, სტალინმა არ იცოდა, რომ ზაქათალის ოლქს აძლევდა?

1921 წლის საქართველოს ტრაგედიის მთავარი გმირები იოსებ სტალინი და სერგო ორჯონიკიძე არიან – საქართველოს დამოუკიდებლობა მათ დააკარგვინეს!

დღეს დამოუკიდებელი ქვეყანა ვართ, საზღვრებს ვიცავთ, მაშინ კი, სახელმწიფო მოწყობის სხვა იდეით იყვნენ გამსჭვალულნი – ბოლშევიკები მსოფლიო რევოლუციისთვის იბრძოდნენ, მათ ხალხებს შორის თანაბარუფლებიანი ქვეყნის მოდელი შექმნეს, სადაც ქვეყნებს შორის საზღვარი არ უნდა ყოფილიყო. მათთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა, თუ რომელი საბჭოთა რესპუბლიკის საზღვრებში მოექცეოდა ღორეშა, ან ლორე. რახან ზაქათალაში მუსულმანური მოსახლეობა ჭარბად ბინადრობდა, აზერბაიჯანს გადასცეს. ლორეში კი, სომხური სჭარბობდა და სომხეთის რესპუბლიკას გადასცეს. ასე ჩამოაშორეს საქართველოს ძირძველი ტერიტორიები. ამავე პრინციპით ითხოვდა თურქეთი აჭარის მიერთებას... ვინაიდან აჭარლები ქართველები არიან, აჭარის ფართო ავტონომიას რელიგიური საფუძველი მიეცა.

– რუსეთთან ბრძოლაში პირველმა დემოკრატიულმა რესპუბლიკამ მწარე მარცხი განიცადა. შეგვიძლია ვთქვათ, რომ იგივე განმეორდა 90-იან წლებში, როცა საბჭოთა კავშირი დაიშალა?

– საოცარი იყო პირველი დემოკრატიული რესპუბლიკა: ჩვენი იმდროინდელი კონსტიტუცია უფრო დემოკრატიული გახლდათ, ვიდრე – სხვა ქვეყნების. მხოლოდ ის რად ღირს, რომ ქალებს მამაკაცებთან თანაბარუფლებიანი საარჩევნო ხმა ჰქონდათ და მაშინ, როცა ამერიკის შეერთებულ შტატებში ქალებმა ხმის უფლება 1949 წელს მიიღეს, შვეიცარიაში – 1996 წელს. მართალია, ეკონომიკა სრულ იზოლაციაში მოხვდა ზუსტად ისევე, როგორც დღეს ვართ, რადგან რუსეთი მაშინაც მტერი იყო, ახლა მტერი და ოკუპანტია, მაგრამ დემოკრატიული რესპუბლიკის წლებში რუსეთიდან გამოქცეული ინტელიგენცია, ხელოვნებისა და მწერლობის მოღვაწენი თავს თბილისს აფარებდნენ. თბილისი სავაჭრო ცენტრი იყო არა მხოლოდ აღმოსავლეთისთვის, არამედ, – ჩრდილოეთისთვისაც. ჩვენი ბონი გაცილებით მაღალი მსყიდველუნარიანობით ხასიათდებოდა, ვიდრე – რუსული. საქართველოს პირველმა დემოკრატიულმა რესპუბლიკამ თავისი ისტორია ისე დაამთავრა, რომ საგარეო ვალი არ აუღია...

– ბატონო მამუკა, „ქართლის ცხოვრების“ მემატიანე წუხდა, რომ ჩვენი ისტორია ომების ისტორიაა. ამ ასპექტში ვერაფერს შევცვლით. კმაყოფილების საფუძველი იმ მხრივ მაინც თუ გვაქვს, რომ ახალგაზრდობას საკმარისად მიეწოდება საქართველოს სამხედრო დიდების ისტორია?

– თუკი გვინდა, რომ ქართული ჯარი ავაშენოთ და მომავლისკენ სწორი ნაბიჯებით ვიაროთ, ისტორია ზედმიწევნით კარგად უნდა შევისწავლოთ. უნდა ვიცოდეთ, სად რა შეცდომა დავუშვით. საამისოდ საქართველოს სამხედრო ისტორიის შემსწავლელი სპეციალური ცენტრები უნდა არსებობდეს. ახალგაზრდების ავღანეთის, ერაყისა და აფრიკის მისიებში მონაწილეობით, სამხედრო საქმისადმი დადებითი მუხტია შენარჩუნებული. სამხედრო სასწავლებლებში იზრდებიან თაობები, რომლებიც სამხედრო ინტელიგენციად ჩამოყალიბდებიან.

სხვათა შორის, ამ მიმართულებით ტელეარხ „საქართველოზე“ გადაცემა „მიზანი“ მიმყავდა. 2007-2012 წლებში კი, საპატრიარქოს რადიო „ივერიაზე“ ორასზე მეტი სამხედრო-პატრიოტული გადაცემა მოვამზადე, რომელსაც დიდი გამოხმაურება ჰქონდა და მოწონებას იმსახურებდა. როცა მავანი ავღანეთის რესპუბლიკაში ქართველ მებრძოლთა მისიას აკრიტიკებს, უნდა იცოდეს, თუ როგორ მოხვდნენ ქართველები პირველად ავღანეთში, მეორედ – საბჭოთა კავშირის დროს, ან ახლანდელ დროში, რითაა გამოწვეული მათი იქ ყოფნა. როცა ეს საზოგადოებას ისტორიული რაკურსით მიეწოდება, ყველაფერი უფრო გასაგები იქნება.

– ისტორიის პოპულარიზაცია მხოლოდ წიგნებით ძნელია..

– გმირებს სათანადო პატივი ყველა დროში უნდა მივაგოთ! კოჯორ-ტაბახმელას გზაზე ბრძოლის მერე, რუსის ჯარი თბილისში შემოვიდა, მაგრამ მკვდრებს ხომ დასაფლავება უნდოდათ? – მოქალაქეებმა გარდაცვლილი იუნკრები ჩუმად ჩამოასვენეს, ზოგი სოფლებში წაასვენეს, ზოგიც – ახლანდელი პარლამენტის შენობის ადგილზე, ზოგიც თბილისში, ვერის სასაფლაოზე დაკრძალეს, მათ შორის, შალვა ერისთავი და მარო მაყაშვილიც. 30-იან წლებში, თბილისის მერიის განკარგულებით, ვერის სასაფლაო გაუქმდა, ჭირისუფლებს მიცვალებულთა გადასასვენებლად თანხა შესთავაზეს. ამ ადგილას, 60-იან წლებში, შადრევანი ააშენეს. ვერის ბაღში ერთი-ორი საფლავი შემორჩა... შალვა ერისთავი დანიელ ჭონქაძისა და მის მეუღლეს შორისაა დაკრძალული, წარწერის გაკეთების საშუალება არ იყო, მაგრამ ერისთავების შთამომავლობამ ეს ადგილი იცოდა და რამდენიმე წლის წინ, იუნკერის საფლავზე ქვა დაიდგა.

ნავთლუღში იუნკერების სახელობის სკვერი არსებობს, იუნკერთა სახელობის სკოლაა ყაზბეგის გამზირზე, რაც მისასალმებელი და დასაფასებელია, მაგრამ რუსების წინააღმდეგ ბრძოლებში მონაწილეობა ბევრმა სხვამაც მიიღო და შეუმჩნეველი არც მათი ღვაწლი უნდა დარჩეს.

– ვის გულისხმობთ?

– კოჯორ-ტაბახმელის გზაზე საბრძოლველად იუნკერთა პირადი შემადგენლობა გაიყვანეს. დღევანდელი უზნაძის ქუჩაზე, სადაც ახლა თავდაცვის სამინისტროა, სამხედრო სასწავლებელი ფუნქციონირებდა, რომლის ყაზარმები წმინდა მიქაელ მთავარანგელოზის რუსულ ეკლესიაზე იყო მიდგმული. სკოლის დასაცავად იუნკერთა ოცეული დარჩა. დღის 12 საათზე, რუსის ჯარმა ქალაქის აღება დაიწყო... რუსებმა ერთი ოფიცერი და რამდენიმე იუნკერი ეკლესიის კედელთან დახვრიტეს. ეს ინფორმაცია 1991 წელს მოვიპოვე, მემორიალის ესკიზიც მოვამზადე. ორი წლის წინ, მამა დავით ლონდარიძემ დამირეკა და თანადგომა მთხოვა. პატრიარქის ლოცვა-კურთხევით, თავდაცვის სამინისტროს ეზოში ეკლესია განახლდა, მემორიალიც დაიდგა. მიხარია, რომ ამ საქმეში ჩემი წვლილიცაა.

წელს, სექტემბერში საიუბილეო თარიღია: კრწანისის ბრძოლის 220-ე წლისთავი, რომლის აღსანიშნავადაც ბევრი საინტერესო რამის გაკეთება შეიძლება. დედაქალაქის მერიასთან თხოვნა გვაქვს, კრწანისის ბრძოლის მონაწილეთა უკვდავსაყოფად, ქუჩებს სახელები მივანიჭოთ. სამეცნიერო კონფერენციაც უნდა ჩატარდეს, სადაც ახლებურად შეფასდება კრწანისის ბრძოლა. ასეთი რანგის ბრძოლა, რომელსაც ომსაც ეძახიან, ქართველებს მეტი აღარც გვქონია, ვსარგებლობ შემთხვევით და გამოვთქვამ მოსაზრებასა და სურვილს, რომ დროულია, კრწანისის ბრძოლის მონაწილე, თეირანში, სომხურ ეკლესიაში დასაფლავებული ერეკლე მეორის შვილიშვილის, ალექსანდრე ბატონიშვილის გადმოსვენების საკითხი დადგეს.

ქართველი ხალხის საბრძოლო დიდების ფურცლები უნდა გამოვამზეუროთ. მადლობა ღმერთს, საქართველოსა და ქართველ ხალხს გმირები და მხედართმთავრები სხვაგან საძებნი არ გყვავს!

ესაუბრა ნათია გოგიტიძე

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

ქართული სიტყვა

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ლიტერატურა. ხელოვნება. პოლიტიკა

25.02
3.03
2015

№ 8
(272)

საზოგადოება

ჩვილების უცხოეთში გაყვანის სკანდალური სქემა

„პროკურატურის მიერ საქმის გაჭიანურება დანაშაულის განზრახ დამალვას ჰგავს“

7 თვეზე მეტია, ტელევიზიით კლიპი — „ჩვილების საქმე“ გადის, რომელიც საზოგადოებას საშინელ დანაშაულზე, ანუ ჩვილების ქვეყნიდან გაყვანის ფაქტებზე ამცნობს. მიუხედავად ამისა, პროკურატურა საქმის გამოძიებას საეჭვოდ აჭიანურებს. ვინ დგას „ჩვილების საქმის“ უკან და მართლაც აქვს თუ არა ადგილი ჩვილების ექსპორტს? — „ქართულ სიტყვას“ თბილისის საკრებულოს ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომისიის თავმჯდომარე გულიკო ზუმბაძე ესაუბრა:

— თბილისის საკრებულოს წინ დგას ავტომობილი, რომელზეც დიდი ასოებით აწერია: „ასოციაცია „მომავლის იმედი“ საქართველოდან ბავშვების უკანონო გაყვანას აპროტესტებს!“ ეს ძალიან პრობლემური საქმეა და საკრებულო ამ საშინელი დანაშაულის მიმართ, ბუნებრივია, გულგრილი ვერ დარჩებოდა. ორი დღის წინ, თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში, ადამიანის უფლებათა დაცვის და სამოქალაქო ინტეგრაციის კომისიის სხდომა გაიმართა, რომელზეც დეპუტატებმა საქართველოდან უცხო ქვეყნებში ჩვილი ბავშვების უკანონო გასხვისების თემაზე ინფორმაცია მოისმინეს.

საგანგაშოა, რომ ხელისუფლება დუმს და ამ პრობლემის შესახებ პოზიციას არ აფიქსირებს და ეს მაშინ, როცა არსებული ინფორმაციით, ორგანიზაცია „მომავლის იმედმა“ მიმართა სახალხო დამცველის აპარატს, პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტებს. ორივე უწყებამ გადაუგზავნა პროკურატურას თხოვნა, რომ აღიძრას სისხლის სამართლის საქმე და დაიწყოს გამოძიება.

— ქალბატონო გულიკო, ეს მოთხოვნა დაკმაყოფილდა?

— რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, პროკურატურაში აღნიშნული ფაქტების ირგვლივ გამოძიება მიმდინარეობს, მაგრამ საინტერესოა ერთი გარემოება: როცა მედიასა და საზოგადოებაში სერიოზული შეკითხვები არსებობს, ისეთი ავტორიტეტული ორგანიზაცია, როგორიც საიაა, პირდაპირ ამხელს და მიუთითებს დანაშაულის ფაქტებზე, მაგრამ იმის მაგივრად, რომ ხელისუფლების წარმომადგენლებმა ქმედითი ზომები გაატარონ, ჩუმად ყოფნას ამჯობინებენ.

— ამას რითი ხსნით?

— ამის გაგებას ვცდილობთ. ხელისუფლებას, უნდა თუ არა, ვალდებულია, საზოგადოებას ინფორმაცია მიაწოდოს, საქმე დანაშაულთან გვაქვს თუ არა. სახეზე თითქმის მკვლელობის ტოლფასი დანაშაული გვაქვს, რაზეც რეაგირება აუცილებლად უნდა მოხდეს. ჩვენმა კომისიამ ამ თემის აქტუალიზაცია ამიტომაც გადაწყვიტა. მეტი გზა არ გვაქვს — კვლავ უნდა მივმართოთ სახალხო დამცველს და პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტებს, რათა საზოგადოებას ინფორმაცია მიაწოდონ, თუ რასთან გვაქვს საქმე. საკრებულოს კომისია არც საგამოძიებო უწყებაა და არც — სასამართლო. ჩვენი ვალდებულებაა, საზოგადოებას ამ საშინელ დანაშაულთან დაკავშირებით ინფორმაცია მივაწოდოთ.

— ჩვილებით ვაჭრობაზე კონკრეტული ფაქტების დასახელება შეგიძლიათ?

— არსებობს სქემა, რომლითაც ბავშვები საზღვარზე გადაჰყავთ: ბავშვების ჩასახვა ხელოვნურად, დონორთა უჯრედების გამოყენებით ხდება, შემდეგ, ემბრიონს სუროგატი დედის საშვილოსნოში ნერგავენ და ზრდიან, თუმცა სუროგატ დედებს აიძულებენ, სუროგაციის ფაქტი დაფარონ და კანონიერ დედ-მამად ის უცხოელები დაასახელონ, რომელთაც ბავშვი საქართველოდან უნდა გაიყვანონ. საზღვარგარეთ გასაყვანად, მოგეხსენებათ, საჭიროა დედის უფლებებით აღჭურვილი პირი. ამიტომ, იქმნება ყალბი დაბადების მოწმობა, ამის შემდეგ, ბიოლოგიურ დედად მითითებულ პირს ნოტარიუსთან ხელს აწერინებენ, რომ დედობაზე უარი განაცხადოს, რაც ბავშვის მამად მითითებულ უცხოელს შესაძლებლობას აძლევს, ახალშობილი საქართველოდან უპრობლემოდ გაიყვანოს. ჩვენთვის უცნობია ამ ბავშვების ბედი. საუბარია რამდენიმე ათეულ ბავშვზე...

თავიდან ორგანიზაცია „მომავლის იმედმა“ უარი განაცხადა, რომ ჩვენთვის მასალები მოეწოდებინა, ვინაიდან პროკურატურაში გამოძიება მიმდინარეობდა, თუმცა ის საეჭვოდ გაიწელა. ამის გამო, ხსენებული ორგანიზაციის თავმჯდომარემ, ქალბატონმა თამარ ხაჭაპურიძემ საჭიროდ ჩათვალა, კონკრეტული ფაქტების შესახებ ღიად გაეცხადებინა. ამ დოკუმენტებში დასახელებულია 4 ბავშვი — მათი სუროგატი დედების გვარები გასაჯაროვდა.

მაგალითად, სუროგატი ჯ-შვილის მიერ გაჩენილი ბავშვი საზღვარზე ყალბი დოკუმენტებით გადააყვანინეს ავსტრიის მოქალაქე მამაკაცს, სუროგატი მ-შვილის მიერ გაჩენილი ტყუპი კი, საზღვარზე ბრიტანეთის მოქალაქემ გადაიყვანა. ასევე, ცნობილია სუროგატი ღ-ძის მიერ გაჩენილი ჩვილის საქმე, რომელიც გერმანიაში გადაიყვანეს. ასე რომ, არსებობს ხსენებული სუროგატი დედების ჩვენებები და მათ მიერ გადმოცემული მტკიცებულებები. მეტიც, ორგანიზაცია „მომავლის იმედი“ ამბობს, რომ ადგილი ჰქონდა საბუთების გაყალბებას. მიუხედავად ამისა, 2013 წლის 7 მაისს, გამოტანილი იქნა დადგენილება სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის შესახებ, რადგან აღნიშნული ქმედება ამნისტირებულია.

— ბავშვები უცხოეთში რა მოტივით გაჰყავთ? ზოგი ამბობს, რომ ადგილი ორგანოებით ვაჭრობას აქვს...

— ამას პროკურატურა დაადგენს. უკვე მოგახსენეთ, თუ როგორ ხდება საბუთების გაყალბება იმ მიზნით, რომ ბავშვი ქვეყნიდან თითქოს კანონიერად იქნეს გაყვანილი. ამის შემდეგ, უცნობია, ეს ბავშვები სად მიჰყავთ.

— თუ პროკურატურას ჩვენებები და მტკიცებულებები აქვს, თქვენი აზრით, საქმეს რატომღა აჭიანურებს?

— ამას ვერ გეტყვით, მაგრამ საქმის გაჭიანურება დანაშაულის განზრახ დამალვას ჰგავს...

— ქალბატონო გულიკო, ყველაფერი ეს საქართველოში სუროგაციის აკრძალვის საბაბი ხომ არ გახდება?

— არსებობს კანონი სუროგაციის შესახებ და თუ ყველაფერი კანონის ფარგლებში მოხდება, სუროგაციის წინააღმდეგ არავინ წავა. არ ვაპირებთ სუროგაციის გაუქმების მოთხოვნას, მაგრამ როცა სუროგატ დედას ისე აფორმებენ, როგორც ბიოლოგიურს, ამაზე დამნაშავემ, ცხადია, პასუხი უნდა აგოს. პროკურატურამ, კეთილი ინებოს და ეს ფაქტები რაც შეიძლება სწრაფად გამოიძიოს.

ესაუბრა ნათია ლეჟანიძე

„ბავშვების ჩასახვა ხელოვნურად, დონორთა უჯრედების გამოყენებით ხდება, შემდეგ, ემბრიონს სუროგატი დედის საშვილოსნოში ნერგავენ და ზრდიან, თუმცა სუროგატ დედებს აიძულებენ, სუროგაციის ფაქტი დაფარონ და კანონიერ დედ-მამად ის უცხოელები დაასახელონ, რომელთაც ბავშვი საქართველოდან უნდა გაიყვანონ. საზღვარგარეთ გასაყვანად, მოგეხსენებათ, საჭიროა დედის უფლებებით აღჭურვილი პირი. ამიტომ, იქმნება ყალბი დაბადების მოწმობა, ამის შემდეგ, ბიოლოგიურ დედად მითითებულ პირს ნოტარიუსთან ხელს აწერინებენ, რომ დედობაზე უარი განაცხადოს, რაც ბავშვის მამად მითითებულ უცხოელს შესაძლებლობას აძლევს, ახალშობილი საქართველოდან უპრობლემოდ გაიყვანოს. ჩვენთვის უცნობია ამ ბავშვების ბედი. საუბარია რამდენიმე ათეულ ბავშვზე...“

ხალხი სამართალს ითხოვს!

ადეიშვილი მკვლელობას უარყოფს და 10-წლიანი პატიმრობის შეცვლას ითხოვს

ლევან ადეიშვილი ერთი წელია, ციხეშია — 10 წელი აქვს მისჯილი. სასამართლომ მკვლელობაში დაადანაშაულა, რასაც თავად კატეგორიულად უარყოფს: „განაჩენი ჩემს მიმართ სრულიად უსაფუძვლო, უკანონო და დაუსაბუთებელია. მალხაზ მიქაცაძესთან მე არ მქონია არანაირი პირადი ურთიერთობა და შესაბამისად, არც მისი მოკვლის განზრახვა. ჩხუბის დროს მე არანაირი, არც შემთხვევითი და უნებლიე კავშირი არ მქონია მასთან და არ მიმიყენებია მისთვის არანაირი დაზიანება. მოვითხოვ, 2013 წლის 24 დეკემბრის განაჩენში ცვლილების შეტანას და საქართველოს სსკ-ს 19.108 მუხლით გამართლებას“. სასამართლოს მიერ მსჯავრდებულად შერაცხულმა ლევან ადეიშვილმა სააპელაციო საჩივრით თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას მიმართა, მაგრამ განხილვაზე უარი მიიღო. რატომ უთხრეს უარი საქმის ხელახალ განხილვაზე მსჯავრდებულ ადეიშვილს? — სააპელაციო სასამართლო უარის საფუძველს არ ხსნის და პირველი ეჭვიც აქედან ჩნდება.

ხუჭუჭთმიანი მკვლელის საქმე — ადვოკატი ელზა ჯმუხაძე პროკურორ ინგა გოგიასა და მოსამართლე ბესიკ ბუგიანიშვილის წინააღმდეგ

ლევან ადეიშვილის ადვოკატმა, **ელზა ჯმუხაძემ** ზემდგომ უწყებებს საჩივრებითა და განცხადებებით მრავალგზის მიმართა, მაგრამ მისი ყველა მცდელობა ერთი და იგივე შედეგით მთავრდებოდა: საჩივრები და განცხადებები გადამისამართებული იყო დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის პროკურატურაში, სადაც ლევან ადეიშვილის ბრალმდებლები მუშაობენ, ანუ გამოდის, რომ ლევან ადეიშვილის ბრალეულობის საქმე სწორედ მათ უნდა განეხილათ და ხელახლა შეესწავლათ, რომელნიც სასამართლო პროცესზე ბრალმდებლებად გამოვიდნენ. ადეიშვილის საქმის მიმართ ასეთი დამოკიდებულება ეჭვს, რა თქმა უნდა, კიდევ უფრო აღვივებს.

ელზა ჯმუხაძე, ადვოკატი: ***„— როცა დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის პროკურატურაში პირველივე საჩივარი გააგზავნეს, დავწერე მეორე საჩივარი-განცხადება და მოვითხოვე, სხვა რაიონის პროკურატურაში გადაეგზავნათ, მაგრამ მაინც დიდუბე-ჩუღურეთში გააგზავნეს. განცხადება კიდევ დავწერე და დიდი შრიფტით მივუთითე, რომ დიდუბე-ჩუღურეთში არ გაეგზავნათ, მაგრამ იგივე გააკეთეს...“***

თითქმის მთელი წელი ადვოკატი საქმის ხელახალ გადახედვას და იმ ახალი გარემოებების შესწავლას ითხოვდა, რომლებიც სასამართლო პროცესის დროს იგნორირებული იყო, მაგრამ ადეიშვილის საქმის ხელახალი განხილვა მკვდარი წერტილიდან ვერა და ვერ დაიძრა. ***„ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი უდანაშაულოა, სამართალი უნდა დადგეს და ეს მხოლოდ ჩემი პროფესიული მოვალეობა კი არა, ღირსების საქმეცაა. ამიტომ, ბოლომდე ვიბრძოლებ, ვიბრძოლებ, ვიდრე სამართალი არ აღსდგება და დარწმუნებული ვარ, ჩემი ბრძოლა შედეგს მოიტანს“,*** — აცხადებს ელზა ჯმუხაძე.

ბოლო საჩივარი-განცხადება საქართველოს მთავარი პროკურორის, **გიორგი ბადაშვილის** სახელზეა წარდგენილი. ასლები დაგზავნილია საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე **ეკა ბესელიასთან,** საქართველოს სახალხო დამცველ **უჩა ნანუაშვილსა** და არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ ყოფილ თავმჯდომარე **კახა კოჟორიძესთან.** ადვოკატი ითხოვს, პირად კონტრ-

გაგრძელება მე-13 გვ.

№ 8 (272)
25.02 3.03 2015
ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით
ლიტერატურა. ხელოვნება. პოლიტიკა

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართული სიტყვავ, ქართული სიტყვავ!“

ხალხი სამართალს ითხოვს!

მე-13 გვერდიდან

ოლზე აიყვანონ საჩივარი.

საჩივარი საკმაოდ ვრცელია და მასში დეტალურადაა აღწერილი ყველა გარემოება: სასამართლო ოქმებში არსებული ფაქტები, მოწმეთა ჩვენებები, ექსპერტთა დასკვნები და სხვა საჭირო ინფორმაცია. როცა ადეიშვილის საქმე წავიკითხე, იმდენი თვალშისაცემი ურთიერთგამომრიცხავი ჩვენება და ფაქტად წოდებული დასკვნა ვნახე, რომ უნებლიედ ერთი ცნობილი გამოთქმა გამახსენდა: „სჯობს ათობით დამნაშავე იყოს გარეთ, ვიდრე ერთი უდანაშაულო ციხეში“. რა თქმა უნდა, არაა გამორიცხული, ვცდებოდე, მაგრამ... სწორედ იმიტომ, რომ ეჭვები არ იყოს, იმიტომ, რომ სამართლიანობის განცდა არსებობდეს და იმიტომაც, რომ თავი დემოკრატიული სახელმწიფოს მოქალაქეებად ვიგრძნოთ და კანონის უზენაესობის გვჯეროდეს, ეჭვების საფუძველი არ უნდა დარჩეს.

„თუ ძიების დროს ეჭვები ჩნდება, ანუ ეჭვმიტანილის ბრალეულობა ეჭვქვეშ დგება, გამოძიება ხელახლა უნდა დაიწყოს. ამას გვეუბნება კანონი და ლევან ადეიშვილის საქმე ამის ნათელი მაგალითია. განაჩენის უკანონობაზე მსჯელობა ამ ეტაპზე სააპელაციო სასამართლოს პრეროგატივაა, მაგრამ მიმაჩნია, რომ აუცილებელია, ოპერატიულად და პარალელურად, საქართველოს მთავარმა პროკურატურამ გულმოდგინედ შეისწავლოს ჩემს განცხადება-საჩივარში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები და ყველაფერს შესაბამისი სამართლებრივი კვალიფიკაცია მანამ მისცეს, სანამ კანონიერ ძალაში შევა საბოლოო განაჩენი ლევან ადეიშვილის მიმართ და კანონის შესაბამისად, განადგურდება საქმეზე თანდართული მტკიცებულებები“, — აცხადებს ელზა ჯმუხაძე.

ხუჭუჭთმიანი მკვლელი

თბილისის ერთ-ერთ რესტორანში მოხდა ჯგუფური ჩხუბი, რომლის ერთ-ერთი მოწმეც პოლიციის თანამშრომელი აღმოჩნდა, რომელმაც მისცა შემდეგი ჩვენება: *„დავინახე, რომ ჩემს მამიდაშვილს, მალხაზ მიქაცაძეს (აწგარდაცვლილი) ეჩხუბებოდნენ ჩემთვის უცნობი პირები. მე მათ მოვუწოდე სიმშვიდისკენ და ვუთხარი, რომ ვიყავი პოლიციის თანამშრომელი. უცნობმა მამაკაცმა, დაახლოებით 28 წლის, შავგვრემანი, გამხდარი, მუქი ფერის თმით, შემაგინა. ამის შემდეგ, მომიახლოვდა უცნობი ხუჭუჭთმიანი პიროვნება, დაახლოებით, 180 სმ. დამარტყა მუშტი და ძირს დამაგდო. ფეხი ამომარტყა და წავიდა ეზოს გარეთ“.*

როგორც საქმიდან ჩანს, იმ ინციდენტის შემდეგ, ჩხუბმა რესტორნის ეზოში გადაინაცვლა. იგივე მოწმე, პოლიციის თანამშრომელი, თავის ჩვენებაში ამბობს: *„დავინახე, რომ ჩემს ძმას, ირაკლის და მამიდაშვილს, მალხაზ მიქაცაძეს სცემდა რამდენიმე პირი. მათ შორის იყვნენ ის ხუჭუჭთმიანი, რომელმაც მე გამარტყა და ის გამხდარი პირიც. დანა ეკავა ხუჭუჭთმიან პიროვნებას და კიდევ ერთს, რომელიც იყო, დაახლოებით, 180 სმ სიმაღლის სრული აღნაგობის, წითური პირისახის, სავარაუდოდ, 30 წლის პიროვნება, რომელსაც თავზე ეხურა კეპი. ამ პერიოდში მოვიდა საპატრულო პოლიციის ეკიპაჟები. ერთად გავეკიდეთ“.*

მალხაზ მიქაცაძის დედა, რომელიც ასევე, იყო რესტორანში, ჩვენებაში მიუთითებს, რომ მის შვილს რამდენიმე პირი ურტყამდა: ხუჭუჭთმიანი, გამხდარი შავგვრემანი და კეპიანი. პოლიციელისა და მალხაზ მიქაცაძის დედის გარდა, არის კიდევ ერთი, შეიძლება ითქვას, შემთხვევითი მოწმე, ტაქსის მძღოლი, რომელმაც თავის ჩვენებაში აგრეთვე, წარმოაჩინა ხუჭუჭთმიანი და გამხდარი შავგვრემანი, რომელსაც კეპი ეხურა. მან ისიც აღნიშნა, რომ ერთ-ერთს, რომელიც გზის მოპირდაპირე მხარეს გარბოდა, ჰქონდა დანა. მისი მითითებით, პოლიციელები დანიანს დაედევნენ.

პოლიციელები თავის ჩვენებაში ამბობენ: *„მოვახდინეთ გაქცეული პიროვნების დაკავება. ამავე დროს, დავინახეთ კიდევ ორი პირი, რომლებიც მიმალვას ცდილობდნენ. მე და მიხეილ მანელიშვილმა წამოვიყვანეთ დაკავებული, ხოლო ჩემი მეწყვილე, დათო ჯაშიაშვილი და კიდევ სხვა პოლიციის თანამშრომელი გაიქცნენ იმ ორი პირის დასაკავებლად. ჩვენს მიერ დაკავებული პირი აღმოჩნდა დავით იაშვილი. რესტორნის დაცვის თანამშრომლის მიერ მოყვანილ იქნა მოქალაქე, რომელიც ჩხუბის მონაწილე პირი ოთარ რობაქიძე იყო... მას დახეული ჰქონდა ქურთუკი, ხელები ჰქონდა სისხლიანი და ასევე, სისხლის ლაქებით დასვრილი ჰქონდა მაისური და ჯინსის შარვალი. როდესაც მას ავტომანქანაში ვსვამდით, მან დაიწყო ხელების ენით გალოკვა, ცდილობდა სისხლის მოცილებას. აქვე ვაჩვენებ, რომ ჩემმა მეწყვილე პოლიციელმა სხვა პოლიციელთან ერთად, მოახდინეს ორი პირის დაკავება, რომლებიც ასევე, ცდილობდნენ მიმალვას“.*

დაკავებულთაგან ლევან ადეიშვილი არც ერთი იყო. იგი არც ხუჭუჭთმიანია და არც — გამხდარი შავგვრემანი. რაც შეეხება კეპიანს, რომელიც ერთ-ერთი მოწმის ჩვენებიდან ჩანს, ძნელი დასაჯერებელია, რომ ჯგუფურ ჩხუბში, როდესაც ქურთუკი და პერანგი შემოხეული აქვთ მოჩხუბრებს, კეპი ეხუროს ვინმეს თავზე.

დანიანი გაქცეული პოლიციელმა დააკავა, მაგრამ დანა გაქრა — საქმეში არ ჩანს. პოლიციელმა სასამართლოზე თქვა, რომ შეიძლება, დანა ჰქონდა დაკავებულს, მაგრამ გადააგდოო. როდესაც ლევან ადეიშვილის ადვოკატმა სასამართლოზე პოლიციელს ჰკითხა, დანა რატომ არ მოძებნეთო, მან უპასუხა, იქ ჭაობიანი ადგილია და ჭაობში რა უნდა მომეძებნაო.

დანა, რომელიც არ არსებობს

ელზა ჯმუხაძე, ადვოკატი: — საქმეზე ჩატარებული ექსპერტიზებით დადგენილია, რომ სამ დაზარალებულს, საერთო ჯამში, მიყენებული აქვს ცამეტი ჭრილობა და ცამეტივე ჭრილობა მიყენებულია მკვეთავ-მჩხვლეტავი საგნის ზემოქმედებით. გამოძიებამ მხოლოდ ის დაადგინა, თუ საგანთა რომელ კლასს მიეკუთვნება დაზიანების მიმყენებელი საგანი. გამოძიება ამაზე შორს არ წასულა.

— ქალბატონო ელზა, როგორც ადვოკატი, გამოძიებაში რა შეცდომებს ხედავთ?

— უნდა დადგენილიყო, ცამეტი დაზიანება სამივე დაზარალებულს ერთი და იგივე დანით აქვს მიყენებული თუ არა. ამგვარი კვლევების ჩატარება აუცილებელია, რადგან თვითმხილველ მოწმეთა შემთხვევის ღამესვე მიცემული ჩვენებებით დასტურდება, რომ ჩხუბში მონაწილეობდა 15-20 ადამიანი, რომელთაგან მხოლოდ რვის ვინაობა და სამართლებრივი სტატუსია ცნობილი, კერძოდ, საქმეში სამი დაზარალებულია და ხუთი მსჯავრდებული.

აგრეთვე, თვითმხილველი მოწმეების მიერ გამოძიებაში მიცემული ჩვენებებით, დასტურდება, რომ ჩხუბში მონაწილე დაკავებულ პირთაგან, ლევან ადეიშვილის გარდა, დანა, მინიმუმ, ორ პირს კიდევ ჰქონდა, მაგრამ ისინი საქმეში მხოლოდ იმიტომ არ ჩანან, რომ დაკავებამდე დანები შემთხვევის ადგილიდან ოდნავ მოშორებით გადაყარეს. საქმეში ფიგურირებს მხოლოდ ერთი დანა, რომელიც ლევან ადეიშვილის გამოძიებასთან თანამშრომლობის შედეგადაა ამოღებული. შეიძლება, ვივარაუდოთ: გამოძიებას ან არაფერი უღონია საიმისოდ, რომ ეს დანები მოეძებნათ, ან დანები ამოღებულია, მაგრამ საქმიდან გამქრალია.

— ეს გამომძიებლების მიმართ ხომ ძალიან სერიოზული ბრალდებაა?

— რა თქმა უნდა. მალხაზ მიქაცაძის სხეულზე არსებული მძიმე დაზიანების ზომები 2 სანტიმეტრია და მაშინ, როდესაც ლევან ადეიშვილის დანის პირის მაქსიმალური სიგანეა 1,5 სანტიმეტრია. ფაქტი სახეზეა: გამოძიების ინტერესი ყველაფრის ლევან ადეიშვილისთვის გადაბრალება იყო და სწორედ ამიტომ არ მომხდარა დანების იდენტიფიკაცია. ფიზიკო-ტექნიკური ექსპერტიზაც დაინიშნა, მაგრამ დასკვნა საქმეში წარმოდგენილი არაა.

სასამართლოსთვის ნამდვილად საგულისხმო უნდა ყოფილიყო სასამართლო-სამედიცინო ექსპერტის, მაია ნიკოლეიშვილის წარდგენილი საექსპერტო დასკვნაც, რომლის თანახმადაც, გამორიცხულია, საქმეში წარმოდგენილ დანას, რომლის პირის მაქსიმალური სიგანე 1.5. სანტიმეტრია, მალხაზ მიქაცაძისთვის მიეყენებინა შემავალი ჭრილობები.

— ჩხუბში მონაწილე 15-20 ადამიანს არაფერი მოეკითხათ?

— საქმეში ხუთი მსჯავრდებულია, რომელთაგან ოთხის მიმართ (მათ შორის არიან ის პირებიც, ვისაც, თვითმხილველთა მითითებით, დანები ჰქონდათ და ვინც სისხლიან ხელებს ილოკავდა) საპროცესო შეთანხმება დამტკიცდა და ბრალად მხოლოდ ხულიგნობა შეერაცხათ. სამართალდამცავთაგან კანონის შესაბამისი რეაგირება არ მოჰყოლია მოწმეების მიერ არსებითად ურთიერთსაწინააღმდეგო, აშკარად ცრუ ჩვენებების მიცემასაც. პირიქით, ბრალდების მხარე, ასევე, სასამართლო, სწორედ ამ მოწმეთა ცრუ ჩვენებებს მიიჩნევს მტკიცებულებებად. საქმეში არსებულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, დასკვნით სიტყვაში დავასაბუთე, რომ გამოძიების ეტაპზე გენეტიკური კვლევა მსოფლიოში მიღებული და საყოველთაოდ აღიარებული მეთოდიკის უხეში დარღვევებით ჩატარდა. საინტერესოა, გვაქვს თუ არა საქმე პროკურორ ინგა გოგიას დაკვეთით, მტკიცებულების შეგნებულად გაყალბებასთან, დანაშაულის დაფარვის მიზნით? ხომ არ არის სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს რომელიმე თანამშრომელი მტკიცებულების გამყალბებელი და ამ გზით რეალური დამნაშავის დამფარავი? თუ პროკურორ ინგა გოგიას მიერ დასკვნით სიტყვაში მოხსენიებული კვლევა (ექსპერიმენტი) სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში არ ჩატარებულა, მაშინ რატომ თქვა პროკურორმა ინგა გოგიამ თავის დასკვნით სიტყვაში ტყუილი? გამოძიებით დასადგენია, მოსამართლე ბესიკ ბუგიანიშვილმა უკანონო განაჩენი საკუთარი პროფესიული უმეცრებით დაადგინა, პროკურატურის მხრიდან ზეწოლით თუ რაიმე სახის დაინტერესებით?!

ესაუბრა მარიკა კახაძე

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲚᲘᲢᲤᲣᲠᲘ

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲖᲔᲚᲛᲬᲘᲤᲔᲑᲐ. ᲰᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

25.02 3.03 2015

№ 8 (272)

15

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ

როგორ ვებრძოლოთ გრიპის საშინელ ვირუსს, რომელმაც მთელი საქართველო ჩაანწვინა

ᲗᲘᲜᲐ ᲗᲝᲤᲣᲠᲘᲐᲡ ᲕᲐᲥᲪᲘᲜᲐ ᲓᲐ ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲠᲩᲔᲕᲔᲑᲘ

ახალ სეზონს ახალი, ან ძველი ვირუსული ინფექციები მოჰყვება ხოლმე. ვირუსები საზოგადოების შეშფოთებას იწვევენ. სინამდვილეში კი, როგორც სპეციალისტები ამბობენ, საგანგაშო არაფერია და ყველა გრიპს, თუკი მკურნალობას დროულად, მშვიდად და სწორად დავიწყებთ, მარტივად ეშველება... წელს მოსახლეობა ახალ ვირუსზე წუწუნებს, რომელსაც ყელის ტკივილი, ხველა და მაღალი სიცხე ახლავს... მაინც, როგორ ჩნდება ახალი ვირუსი? – „ქართული სიტყვა“ საქართველოს ჰომეოპათიის აკადემიის პრეზიდენტს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, ევროკავშირის ექსპერტ ᲗᲘᲜᲐᲗᲘᲜ ᲗᲝᲤᲣᲠᲘᲐᲡ ესაუბრა:

– არსებობს ვირუსის სამი ტიპი – A, B და C ჰეპიდემიებს ძირითადად A და B ტიპის ვირუსი იწვევს. უფრო ვირულენტური A ტიპია – სწორედ ის იყო ყველაზე მასშტაბური ეპიდემიების გამომწვევი, მათ შორის, „ისპანკის“, რომელმაც 20 მილიონი სიცოცხლე შეიწირა... ამ ვირუსის მატარებლად გადამფრენი ფრინველები ითვლებიან – მათგან ჯერ, მაგალითად, ქათამზე, ან ღორზე გადადის (აქედან მოდის სახელიც) და მერე – ადამიანზე. ვირუსი გამუდმებით იცვლის სახეს, ანუ მუტაციას განიცდის. ყოველ წელს ახალი ვაქცინა უნდა გაკეთდეს, თუმცა პრობლემა ისაა, რომ მანამ, ვიდრე ახალი ვაქცინა გაკეთდება, ვირუსი შეცვლას ასწრებს. სწორედ ამიტომაა, რომ თუკი სხვა აცრებით შესაძლებელია 100%-ით დაცვა, გრიპის ვაქცინაციით დაცვის ალბათობა 60%-ს არ აღემატება. უახლესი ტექნიკით აღჭურვილი ვაქცინების მწარმოებელი კონცერნები ცდილობენ, წინასწარ გათვალონ, თუ როგორი მუტაცია შეიძლება იყოს მომავალ წელს, რათა რაც შეიძლება მიახლოებული ვაქცინა შექმნან, მაგრამ სამწუხაროდ, გრიპის ვირუსის გარდაქმნის უნარი სულ უფრო იხვეწება და არაპროგნოზირებადი ხდება.

– წლევანდელ ვირუსზე რას იტყვით?

– წელს საკმაოდ მძიმე გრიპი იყო, რომელმაც ბევრს სისუსტე, ოფლიანობა, ხველა დაუტოვა. მეგონა, გრიპიანობა ამით დამთავრდებოდა, მაგრამ, როგორც ირკვევა, ყველაფერი ჯერ წინაა – ეპიდემიას ელიან, რომელიც A ტიპის ვირუსის საკმაოდ ვირულენტური მოდიფიკაციაა. ამას ისიც ემატება, რომ წელს ვირუსმა მუტაცია ძალიან სწრაფად განიცადა, სპეციალისტების პროგნოზი არ გამართლდა და ის ვაქცინა, რომელიც გაკეთდა, ამ გრიპის ვირუსზე ნაკლებად მოქმედებს. როგორც ირკვევა, წელს, 60%-ის ნაცვლად, დაცულობის ხარისხი 25-30%-ზე მეტი არ იქნება. სურათი საკმაოდ არასასიამოვნოა, თუმცა არ გამოვრიცხავ, რომ ეს ცოტა გაზვიადებულიც იყოს. მსოფლიოში ისეთი მძიმე ვითარებაა, რომ გრიპის პანიკაზე აქცენტის გადატანა შესაძლოა, ვიღაცას სჭირდება.

– ქალბატონო თინა, რას გვირჩევთ, თავი როგორ დავიცვათ?

– პირველ რიგში, იმუნიტეტი უნდა გავიძლიეროთ.

– როგორ?

– აუცილებელია სწორი კვება, რომელსაც ძალიან ხშირად ვარღვევთ. ასევე, ხშირად უნდა ვიაროთ სუფთა ჰაერზე, ვაკეთოთ სუნთქვითი ვარჯიშები და მოვერიდოთ სტრესს.

– ამის გარდა, გრიპს კიდევ როგორ შეიძლება ვებრძოლოთ?

– მკურნალობა შეიძლება, სამ ტიპად დავყოთ: პროფილაქტიკა, გრიპის სამკურნალო საშუალებები და ვირუსის საწინააღმდეგო წამლები, თუმცა ხშირად ეშლებათ და საპროფილაქტიკოდ ანტივირუსულ პრეპარატებს იღებენ, რაც ყოვლად დაუშვებელია. ამ პრეპარატების მიზანი გრიპის ვირუსის განადგურებაა, რათა გამრავლების საშუალება არ მიეცეს. წარმოიდგინეთ, ეს პრეპარატები იმდენად ძლიერი და ტოქსიკურია, რომ ვირუსის მოკვლა შეუძლიათ და მათი ტყუილად მიღება, როცა ორგანიზმში ვირუსი არ არსებობს, მხოლოდ ორგანიზმს აზიანებს. ანტივირუსული პრეპარატის გამოყენებას აზრი ვირუსის გამრავლების პროცესში აქვს, ანუ ვირუსის ორგანიზმში მოხვედრიდან პირველი 48 საათის განმავლობაში. მანამდე და მას შემდეგ კი, გამოყენებას აზრი არ აქვს.

რაც შეეხება გრიპის სამკურნალო საშუალებებს, წინასწარ არც მათ მიღებას აქვს აზრი. ისინი ეფექტური მხოლოდ მაშინაა, როცა სახეზე გრიპის კლინიკაა, ანუ ვირუსმა უკვე დააზიანა ორგანიზმი და საჭიროა მკურნალობა. სამწუხაროდ, აქაც საქმე გაუგებრობასთან გვაქვს: ბევრი ფირმა, სხვადასხვა სახელით, კარგად ცნობილი პრეპარატის – „პარაცეტამოლის“ სხვადასხვა მოდიფიკაციას აწარმოებს და აფთიაქებში ასეთი 28 წამალი იყიდება. მოსახლეობის დიდი ნაწილი რეკლამის, ან მეგობრის რჩევით, ამ 28-დან რამდენიმეს ყიდულობს და „პარაცეტამოლს“ ტოქსიური დოზით იღებს, რის შედეგადაც მდგომარეობა ურთულდება. ამიტომ, გრიპის სამკურნალო საშუალებების ყიდვისას, უნდა იკითხოთ, „პარაცეტამოლს“ შეიცავს თუ არა.

– არსებობს მოსაზრება, რომ გრიპიანი, გამოჯანმრთელებამდე, შინიდან არ უნდა გავიდეს...

> **„ᲒᲠᲘᲞᲘᲡ ᲡᲔᲖᲝᲜᲘᲡ ᲓᲐᲓᲒᲝᲛᲘᲡᲗᲐᲜᲐᲕᲔ ᲘᲬᲧᲔᲑᲐ ᲜᲘᲕᲠᲘᲡ ᲘᲜᲢᲔᲜᲡᲘᲣᲠᲘ ᲛᲝᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ, ᲠᲝ�გᲝᲠᲪ ᲬᲔᲡᲘ, ᲐᲠᲐᲡᲬᲝᲠᲐᲓ. ᲜᲘᲕᲠᲘᲡ ᲚᲔᲑᲜᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲧᲚᲐᲰᲕᲐ, ᲐᲜ ᲩᲐᲚᲔᲩᲕᲐ, ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲣᲖᲛᲝᲖᲔ, ᲐᲖᲘᲐᲜᲔᲑᲡ ᲠᲝ�გᲝᲠᲪ ᲞᲘᲠᲘᲡ, ᲐᲡᲔᲕᲔ, ᲙᲣᲭᲘᲡ ᲚᲝᲠᲬᲝᲕᲐᲜ ᲒᲐᲠᲡᲡ, ᲐᲚᲘᲖᲘᲐᲜᲔᲑᲡ ᲜᲐᲚᲕᲚᲘᲡ ᲒᲣᲨᲢᲡ ᲓᲐ ᲐᲛᲫᲘᲛᲔᲑᲡ ᲛᲗᲔᲚ ᲠᲘ�გ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲣᲚ ᲓᲐᲐᲕᲐᲓᲔᲑᲔᲑᲡ. ᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲘᲐ, ᲒᲐᲛᲝᲘᲧᲔᲜᲝᲗ ᲜᲘᲕᲠᲘᲡ ᲜᲐᲧᲔᲜᲘ: ᲓᲐᲭᲧᲚᲔᲢᲘᲚ ᲜᲘᲝᲠᲡ ᲓᲐᲐᲡᲮᲘᲗ ᲡᲞᲘᲠᲢᲘ, ᲐᲜ ᲐᲠᲐᲧᲘ, ᲒᲐᲐᲩᲔᲠᲔᲗ 12ᲡᲐᲐᲗᲘ. ᲒᲐᲓᲐᲬᲣᲠᲔᲗ, ᲓᲐᲐᲡᲮᲘᲗ ᲔᲠᲗᲘ ᲘᲛᲓᲔᲜᲘ ᲬᲧᲐᲚᲘ, ᲛᲘᲘᲦᲔᲗ 15-20 �წᲕᲔᲗᲘ, ᲡᲐᲮᲚᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲡᲕᲚᲘᲡᲐᲡ ᲬᲐᲘᲡᲕᲘᲗ ᲜᲔᲡᲢᲝᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲘᲠᲘᲡ ᲙᲣᲗᲮᲔᲔᲑᲨᲘ. ᲗᲣ ᲒᲠᲫᲜᲝᲑᲗ, ᲠᲝᲛ ᲒᲠᲘᲞᲘ ᲒᲔᲬᲧᲔᲑᲐᲗ, ᲣᲔᲑᲐᲠᲘᲐ ᲜᲘᲕᲠᲘᲐᲜᲘ ᲩᲐᲘ. ᲜᲘᲕᲠᲘᲡ ᲐᲛ ᲤᲝᲠᲛᲘᲗ ᲛᲘᲦᲔᲑᲐ ᲐᲠᲪ ᲡᲣᲜᲡ ᲢᲝᲕᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲐᲠᲪ ᲚᲝᲠᲬᲝᲕᲐᲜᲡ ᲐᲦᲘᲖᲘᲐᲜᲔᲑᲡ. ᲐᲡᲔᲕᲔ, ᲨᲔᲒᲘᲫᲚᲘᲐᲗ, ᲜᲘᲕᲠᲘᲡ ᲜᲐᲧᲔᲜᲘ ᲤᲔᲮᲘᲡ ᲒᲣᲚᲔᲑᲖᲔ ᲨᲔᲘᲖᲘᲚᲝᲗ...“**

– საერთოდ, გრიპს წოლა, სიმშვიდე და რაც შეიძლება, მეტი ძილი უყვარს. მაღალი სიცხის დროს, აუცილებლად უნდა იწვეთ, სვათ რაც შეიძლება, მეტი სითხე – კომშის, ღოღნოშოს კომპოტები, ცაცხვის ნახარში, ჩაი ჟოლოთი. ოთახი ხშირად უნდა გაანიავოთ. სუფთა ჰაერზე გასვლაც შეიძლება, თუკი ამის სურვილი გექნათ, ოღონდ სიცხის დაწევის შემდეგ, დღისით. სასურველია, მზეს მიეფიცხოთ, მაგრამ თავს ძალა არ უნდა დაატანოთ.

– გრიპის გავრცელება გეოგრაფიულ მდებარეობაზე თუა დამოკიდებული და საქართველოში გრიპის რომელი, ასე ვთქვათ, სახეობაა გავრცელებული?

– გრიპის ეპიდემია და პანდემია ყველგან ერთნაირია. შეიძლება, ცოტა განსხვავდებოდეს კლინიკური სურათი და სიმძიმე, იმის მიხედვით, თუ რომელ პოპულაციას, გენეტიკურად, რომელი დაავადებებისკენ აქვს მიდრეკილება.

– თვითმკურნალობას ცუდი შედეგი ხომ არ მოჰყვება?

– მგონი, დროა, გავაცნობიეროთ, რომ ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ იმან, რამაც საუკუნეების განმავლობაში გაამართლა, ის კი, რაც ამ მეთოდებიდან გამოუსადეგარი და მავნე იყო, დავიწყებას მიეცა. ასე რომ, შეგვიძლია, ამ მეთოდებს მეტი ნდობით მოვეკიდოთ.

– მაინც, რას გვირჩევთ, ქალბატონო თინა, სახლის პირობებში გრიპს როგორ ვებრძოლოთ?

– პირველ რიგში, ყველაზე გამოცდილი და შეუცვლელი საშუალება ნიორია. ჩვენი წინაპრები ამბობდნენ, ნივრის ეშმაკსაც ეშინიაო და კედელსა თუ ბავშვის საწოლთან ნივრის წნულს კიდებდნენ. ასე შეგიძლიათ, ახლაც მოიქცეთ და საწოლის ქვეშ, ოთახის კუთხეებში, ლამბაქით, დაჭრილი ნიორი დადოთ, რაც დეზინფექციის შესანიშნავი საშუალებაა. ასევე, კარგია ფორთოხლის, გრეიფრუტის და ლიმონის კანიც.

რაც შეეხება კონკრეტულად ნივრის მიღებას, გრიპის სეზონის დადგომისთანავე იწყება ნივრის ინტენსიური მოხმარება და, როგორც წესი, არასწორად. ნივრის ლებნის გადაყლაპვა, ან ჩაღეჭვა, განსაკუთრებით უზმოზე, აზიანებს როგორც პირის, ასევე, კუჭის ლორწოვან გარსს, აღიზიანებს ნაღვლის ბუშტს და ამძიმებს მთელ რიგ ქრონიკულ დაავადებებს. უმჯობესია, გამოიყენოთ ნივრის ნაყენი: დაჭყლეტილ ნიორს დაასხით სპირტი, ან არაყი, გააჩერეთ 12საათი. გადაწურეთ, დაასხით ერთი იმდენი წყალი, მიიღეთ 15-20 წვეთი, სახლიდან გასვლისას წაისვით ნესტოებსა და პირის კუთხეებში. თუ გრძნობთ, რომ გრიპი გეწყებათ, უებარია ნივრიანი ჩაი. ნივრის ამ ფორმით მიღება არც სუნს ტოვებს და არც ლორწოვანს აღიზიანებს. ასევე, შეგიძლიათ, ნივრის ნაყენი ფეხის გულებზე შეიზილოთ... ერთი სიტყვით, ნიორი საუკეთესო და შეუცვლელი საშუალებაა. სხვათა შორის, ჩემი ცნობილი მალამოს ერთ-ერთი კომპონენტიც სწორედ ნიორია. ამ მალამოთი, რომელსაც ხალხმა „თოფური“ დაარქვა, ნახევარი საქართველო გრიპს გადაურჩება ხოლმე. საქართველოში ერთადერთი ჰომეოპათიური აფთიაქი ჩვენს აკადემიაშია, სწორედ აქ მზადდება მცენარეული ანტივირუსული პრეპარატი, რომელიც ვირუსს კუდზე „აჯდება“, ბლოკავს და გამრავლების საშუალებას აღარ აძლევს. ეს პრეპარატი გრიპის, გაციების, შეშფოთებისა და ვირუსიანთან კონტაქტის დროსაც ძალიან ეფექტურია.

– როგორ უნდა მივხვდეთ, გრიპი გვაქვს თუ ვირუსი?

– ამის გარჩევა ძალიან ძნელია. საერთოდ, ითვლება, რომ გრიპი მაღალი სიცხითა და შეჟრჟოლებით იწყება, მაგრამ ჩემი პრაქტიკიდან გამომდინარე, გეტყვით, რომ ასე არაა. გრიპი ხანდახან სრულიად ჩუმად და უსიცხოდ მიმდინარეობს, სიმპტომების გარეშე, რაც გაცილებით უარესია.

კიდევ ერთ რამეს გეტყვით: ჩემი პროგრამა – „ნუ გეშინია გრიპის“, რომელსაც „ქათმის გრიპის“ შემდეგ ყოველ წელს ვანხორციელებ, ისევ გრძელდება, მაგრამ ვაქცინებისა და ანტივირუსული პრეპარატების შემომტანებისთვის კონკურენტი გავხდი. ბოლო წლებში რამდენჯერმე დამირეკეს და გამაფრთხილეს, რომ ინიციატივა აღარ გამომეჩინა. მიუხედავად ამისა, პროგრამას ისევ ვანხორციელებ, ოღონდ ისეთი მასშტაბებით – აღარ, როგორც ადრე, 10 000 ათასობით და დიდი ქველმოქმედების სახით. მხოლოდ ჩვენი პაციენტებისა და ახლობლებისთვის. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ძვირი მიჯდებოდა, მეორეც, არ მინდა, დიდ ბიზნესს დავეჯახო, ისედაც მტრად აღმიქვამენ, რადგან ალბათ, გახსოვთ, თავის დროზე რამდენიმე უცხოური კომპანია არაკეთილსინდისიერებასა და გამოუცდელი წამლების შემოტანაში ვამხილე. გარდა ამისა, არის ხალხი, ვინც გრიპით დიდ ფულს შოულობს. არც მათი გადამტერებაა სახუმარო. გრიპის სეზონის დადგომისთანავე იძაბებიან, რამდენჯერმე შემომითვალეს და გამაფრთხილეს, რომ ინიციატივა აღარ გამომეჩინა.

– თქვენი პროგრამის არსი რაში მდგომარეობს?

– პროგრამა 3 ეტაპისგან შედგება: პირველი ეტაპი იმუნიტეტის გაძლიერებაა, სადაც ვიყენებთ სხვადასხვა იმუნოკორექტორს, ასაკის და სქესის მიხედვით.

მეორე ეტაპი – გრიპის პროფილაქტიკა, რომელიც გრიპის სეზონზე იწყება (ეს არის გარეგანი მალამოები და სითხეები, რომლებიც ორგანიზმში ვირუსის შეღწევას ხელს უშლიან). ჩემს „ვაქცინაში“ არ არის ცილა. ერთჯერადი ჩაწვეთებით ორგანიზმს ეძლევა ინფორმაცია იმ კონკრეტულ ვირუსზე, რომლის საფრთხეც იმ დროს არსებობს, „მტერია“ და თუ „გამოჩნდა“, ბრძოლა უნდა დაუწყოო. იცით, ეს ვაქცინა რისი მსგავსია? – დასასვენებლად წასული ადამიანი შინ სიგნალიზაციას რომ ტოვებს. მოკლედ, ამ ინფორმაციის მიწოდების შემდეგ, იმუნიტეტი ქმედებას იწყებს და ძალიან მცირე რაოდენობის ანტისხეულს გამოიმუშავებს. ანტისხეულის ეს რაოდენობა საკმარისია, რომ ორგანიზმმა, თუკი ვირუსი შეხვდა, სასიგნალო სისტემა ჩართოს და მაშინვე ბრძოლა დაიწყოს. ის 2-თვიანი მოქმედებისაა და თუ ვირუსი არ „მოვიდა“, 2 თვის შემდეგ, ორგანიზმში არსებული ინფორმაცია უკვალოდ იშლება. თუ სეზონი გრძელდება, მაშინ ვაქცინის მიღება განმეორდება. ვაქცინა 1 კვირაში, კონკრეტული სეზონისა და ვირუსის გათვალისწინებით მზადდება.

– ვაქცინა მცენარეულია?

– არა. ეს ინფორმაციული ვაქცინაა, რომელიც ჰომეოპათიური წესითაა დამზადებული. ჰომეოპათიაში, მცენარეების გარდა, ბევრი სხვა ბუნებრივი ნედლეულიც გამოიყენება.

მკურნალობის ეს მეთოდი დედაჩემის ბებუამ პირველად „ისპანკას“ ეპიდემიის დროს გამოიყენა და ნახევარი საქართველო ამ საშინელ გრიპს გადაარჩინა. როცა „ქათმის გრიპის“ პანდემიას ელოდნენ და ამ წამლის შესახებ პირველად განვაცხადე, მედიცინის ოფიციალურმა წრეებმა, ცოტა არ იყოს, სკეპტიკურად შეხედეს, თუმცა ხელი არ შეუშლიათ. სამაგიეროდ, საერთაშორისო საზოგადოებამ გამოიჩინა დიდი ინტერესი, ბევრ საერთაშორისო კონფერენციაზეც მიმიწვიეს, მათ შორის, – მონაკოს კონგრესზეც. მონაკოს პრინცესა პირადად დაინტერესდა, თავისთან მიმიწვია და სამეცნიერო ჯგუფშიც ჩამრთო.

იცით, რა არის ყველაზე საინტერესო? – ის, რის შექმნაზეც დღეს მსოფლიოს მეცნიერები მუშაობენ, რათა ებოლას გაუმკლავდნენ, საქართველოში მე-20 საუკუნის 20-იან წლებში სავლე წერეთელმა გააკეთა!.. ეს ისაა, რაც უხუცესებს დღემდე „წერეთლის წამლის“ სახელით ახსოვთ.

ᲔᲡᲐᲣᲑᲠᲐ ᲑᲔᲥᲐ ᲚᲘᲑᲠᲐᲫᲔ

№ 8 (272)
25.02 3.03 2015
ლიტერატურა. ხელოვნება. პოლიტიკა
ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

„შენ – უკვდავების ჩამონაქენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

პრემიერა

„თეატრი ნათამაშევი სიცრუეა... მსახიობები ცრუობენ და მაყურებელიც ცრუობს...“

სპექტაკლი თეატრზე და თეატრის მოღვაწეებზე დანახული არცთუ ლამაზი რაკურსით. რეჟისორი – ამბიციური, მისი მეუღლე – უნარდაკარგული და დამონებული, შვილები – უნიჭოები და დედის მიერ დათრგუნულები – ესაა მოკლე ანოტაცია რუსთაველის თეატრის ახალი სპექტაკლისა „სანახაობის მომწყობი“, კოპროდუქციის, რომელიც ავსტრიელმა რეჟისორმა ქრისტიან პაპკემ ქართველ შემოქმედ ჯგუფთან ერთად განახორციელა. ეს თომას ბერნჰარტის (1931-1989) პიესის პირველი დადგმაა საქართველოში, რომელიც თავის ნაწარმოებებში აკრიტიკებს ყველას და ყველაფერს. თომასმა, რომელიც სკანდალური მწერლის რეპუტაციით სარგებლობდა, ანდერძით, ავსტრიაში საკუთარი პიესების დადგმა აკრძალა. სამაგიეროდ, მისი პიესა „კლაუს პაიმენი შარვალს ყიდულობს“ დღესაც იდგმება „ბერლინერ ანსამბლის“ სცენაზე... „ჩემი არსებობა, მთელი ცხოვრების განმავლობაში, რაღაცას უშლიდა ხელს. მე ყოველთვის ვიღაცას ვუშლიდი ხელს და ვაბნევდი. ყველაფერი, რასაც ვწერ და ყველაფერი, რასაც ვაკეთებ, ვიღაცას აბნევს და აღიზიანებს. მთელი ჩემი ცხოვრება, ჩემი არსებობა, სხვა არაფერია, თუ არა მუდმივი ხელისშეშლის და დაბნეულობის გამოწვევა“, – წერდა ბერნჰარტი.



ჩვენ ვიხილეთ ამ დრამატურგიული ტექსტის სცენური ვერსია (პიესის მთარგმნელი მ. ფანჯიკიძე, ვერსიის ავტორი ქ. პაპკე), რომელმაც დადგმისას მნიშვნელობანი ცვლილებები განიცადა. პირველი და მნიშვნელოვანი ისაა, რომ მთავარი მოქმედი პირი რეჟისორი ბრუსკონი, მამაკაცის ნაცვლად, ქალია, რომელსაც მარინა კახიანი ასრულებს. რასაკვირველია, დრამატურგიულ ტექსტში ამ სერიოზულმა ჩარევამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა სპექტაკლზე: წინა პლანზე წამოვიდა მსახიობისა და რეჟისორის, შემოქმედი ქალის დამოკიდებულება თეატრზე, მსახიობებზე, ზოგადად, მამაკაცებზე; გაჩნდა ფემინისტური იდეებიც. უკანა პლანზე გადავიდა ბრუსკონი – დედა და ბრუსკონი – ცოლი.

სიმართლე გითხრათ, ამ ტრანსფორმაციამ და სახეცვლილებამ დიდად არ დააზიანა დრამატული ნაწარმოები, პირიქით, ჩემი აზრით, მოიგო კიდეც, ვინაიდან მარინა კახიანის შესანიშნავმა ოსტატობამ და თამაშმა პიესას ახალი ნიუანსები შესძინა (აქვე, მინდა, სამწუხაროდ აღვნიშნო, რომ რუსთაველის თეატრში და არა მარტო იქ, შუა თაობის მამაკაც შემსრულებელთა ნაკლებობა შეიმჩნევა. შესაძლებელია, ამანაც განაპირობა, რომ მოწვეულმა რეჟისორმა ეს სვლა გააკეთა, თუმცა ასევე, მინდა, ხაზგასმით გავიმეორო, რომ მისმა ასეთმა გადაწყვეტილებამ ნამდვილად გაამართლა).

სპექტაკლის ავსტრიელმა რეჟისორმა, ქრისტიან პაპკემ შემოქმედებით ჯგუფთან ერთად, მძიმე ამოცანა დაისახა – სცენაზე უნდა გადაეტანა დრამატურგიული ტექსტი ქმედების გარეშე, პრაქტიკულად მონოპიესა, სადაც მთავარი მოქმედი პირი (სქესს არა აქვს მნიშვნელობა) ძირითადად საკუთარ თავს ესაუბრება და მოპასუხედ მხოლოდ სრულიად უცნობი ადამიანი – მედუქნე გაუხდია, რადგან სხვასთან (ოჯახის წევრებთან) საუბარი აღარც სურს და არც ძალუძს. პიესა ქმედების გარეშე, უსაზღვროდ დიდი ტექსტი მუნჯი პერსონაჟების გარემოცვაში, სადაც მთავარი პერსონაჟი ამბავს კი არ ჰყვება, არამედ, უსასვენიშნო წინადადებებს წარმოთქვამს, რომელთა შორისაც ხშირად ლოგიკური კავშირების აღმოჩენაც ძალიან ჭირს, ბევრ სირთულეს უქმნის მთავარი როლის შემსრულებელ მსახიობს, მაგრამ მარინა კახიანმა ეს შეძლო – ჩვენს წინაშე გააცოცხლა ავადმყოფურად ამბიციური პერსონაჟი, ცინიკოსი, პრეტენზიული, ალბათ, უნიჭოც, ვინაიდან ქალბატონი ბრუსკონის მსახიობურ თამაშში ჭარბობს ცრუ პათეტიკა, მანერულობა, გაპრანჭულობაც და ათასი სხვა მანკიერება.

უთცბახში ქალბატონი ბრუსკონის ჩასვლა (უფრო სწორი იქნება, ასვლა) პომპეზურია – ულამაზესი შავი გედის ფრთიანი ქუდით, ასევე, შავი ტანსაცმლით (კოსტიუმების მხატვარი ა. ნინუა), უშველებელი ქოლგით, რომელიც გვაუწყებს, რომ ვუყურებთ ბერნჰარდის ნაწარმოებს. ლამაზი პლასტიკით შესრულებული (ქორეოგრაფი კ. ფურცელაძე) შავი, მომაკვდავი გედის ცეკვით იწყებს ქალბატონი ბრუსკონი წარმოდგენას იმ თავშესაფარში, სადაც ბრუსკონების ოჯახი ჩერდება და სავარაუდოდ, ეს ცეკვა სიმბოლურად ქალბატონი ბრუსკონის დაღუპვის გამომსახველია, მაგრამ ყველაფერი ეს მხოლოდ სპექტაკლის ბოლოს. ისე, თავიდანვე ჩანს, რომ „ჰეფი ენდს“ არ უნდა ველოდოთ.

ქალბატონი ბრუსკონი – მარინა კახიანი სახელმწიფო არტისტი, დესპოტი ოჯახში და დიქტატორი თეატრში, ყოველთვის ყველაფრით და ყველათი უკმაყოფილოა (როგორ გვაგონებს თვით ავტორს, თომას ბერჰარტს), ბრაზიანი, თავმომწონე, საკუთარი თავით კმაყოფილი, განდიდების მანიით შეპყრობილი. როდესაც „დამყაყებული და ნესტიანი“ გარემო არ ჰყოფნის საასპარეზოდ, „ამაღლდება“ და იქიდან ამცნობს სამყაროს, რომ თეატრი ტყუილია, თეატრი გარყვნილებაა, მსახიობები ტყუიან, მამაკაცთა მოდგმა გადასაშენებელია, რომ მისი მეუღლე პროლეტარიატის პროდუქტია, რომელმაც ამ ტურნეში ჩართვა აიძულა, რომ პროლეტარებმა თეატრიც გაანადგურეს. სამაგიეროდ, მას, სახალხო არტისტს, რომელმაც ბერლინში ფაუსტი ითამაშა და ციურიხში – მეფისტოფელი, გრანდიოზული ამოცანა დაუსახავს: მსოფლიო კომედიის დადგმა, სადაც ნაპოლეონი, ჩერჩილი, ჰიტლერი და, რაც მთავარია, სტალინი იქნებიან გამოსახულნი. მარინა კახიანის გროტესკული ბრუსკონი ძალიან ახლოს დგას გერმანელი ლიტერატურათმცოდნის, ფ. კაიზერისეულ გროტესკთან, რომელშიც თავს იჩენს „მტრული, რაღაც არაადამიანური და უცხო“. და მართლაც, მისი დამოკიდებულება გარემოსთან მტრულია, კრიტიკული, გამსჭვალულია ზიზღითა და სიძულვილით. მეუღლესთან და შვილებთან მისი დამოკიდებულება არაადამიანური, სასტიკი და შერაცხმყოფელიცაა, რაც მათგან ხშირად უკურეაქციას იწვევს – ისინი მზად არიან, განსაკუთრებით, შვილები – სარა (ქ. ხითირი) და ფერუჩიო (ა. მიკუჩაძე-ღაღანიძე) სამაგიეროც კი გადაუხადონ, თავში რამე ჩაარტყან. მათთვის ბრუსკონის თეატრი სამუდამო ციხეა, რასაც დედის სიცოცხლეში თავს ვერ დააღწევენ. ისინი მხოლოდ მაშინ გრძნობენ თავს უკეთესად, როცა დედა ახლო-მახლო არ ჩანს. ბატონი ბრუსკონი (თ. გიორგაძე) მისგან განწირული და უარყოფილი ისეთ ადამიანად უქცევია, რომელსაც მხოლოდ მისი პიესების ბეჭდვა ევალება. დაჩაჩანაკებული, მუდმივად რომ ახველებს, თავს მაშინაც კი ვერ გრძნობს მამაკაცად, ან ძალიან იშვიათად, როცა ქალბატონ ბრუსკონს ქალური ინსტიქტები მოაწვება. უცხოა იგი არსებული გარემოს მიმართაც. მისი იდეა სრულ სიბნელეში ჩატარებული (ორიგინალი ტექსტის მიხედვით) და გათიშული მობილურით (ამ სცენური ვერსიით) სპექტაკლი უტოპიაა და მისი განხორციელება შეუძლებელია. ის უცხოა, ასევე, მედუქნისა და მისი მეუღლისთვის, რომლებიც მართალია, ემსახურებიან, მაგრამ ერთი სული აქვთ, როდის დატოვებს აქაურობას. მედუქნე ფარულად ნაჯახსაც კი მოუღერებს, იმდენად აუტანელი და ზედმეტია, თუნდაც ამ უსახურ სოფელში.

აქ კი, ამ თეატრში მოჩვენებები დაიარებიან, ხან ზევიდან, ლოჟებიდან ჩამოდიან, ხან ციდან ცვივიან წიგნებით ხელში, ხან იატაკზე დაბობღავენ და ხანაც მიცვალებულების სხეულის ნაწილებს ხარშავენ სისხლიან ქვაბში. თეატრის სარდაფში შენახულ ძველ დეკორაციასა და ბუტაფორიებში მოხვედრილ ბრუსკონის თეატრის განათება საშინლად აწუხებს, მისი სამყარო წყვდიადია, სიბნელე.

მისი იდეალი ცნობილი პიროვნებები – გოეთე, შექსპირი, ვოლტერი, შოპენჰაუერი, აინშტაინი არიან. მხოლოდ მათ გვერდით მოიაზრებს საკუთარ თავს. ხოლო პოლიტიკური ფიგურები – იულიუს კეისარი, მაკედონელი, ნაპოლეონი, ჩერჩილი, სტალინი, ჰიტლერი – მისი მსოფლიო კომედიის პერსონაჟებად უნდა იქცნენ.

სრულიად სადისტური და სისასტიკით აღსავსეა სცენა, სადაც საკუთარ შვილს, სარას აიძულებს, ხმამაღლა იყვიროს: „ვინაა დედაშენი?“ სარა დიდხანს ეწინააღმდეგება, მაგრამ ფიზიკური ზეწოლა იმდენად ძლიერი, დამთრგუნველი და შეურცხმყოფელია, რომ იძულებული ხდება, დანებდეს. „ყველა დროის ყველაზე დიდი მსახიობი!“ – აღმოხდება სარას (ქეთი ხითირი).

„ეგრე, ამის გაგონება მინდოდა!“ – ყვირის ბრუსკონი და ავადმყოფური ამბიცია აპოგეას აღწევს. ეს ამბიცია დაკმაყოფილებულია და იწყება ის, რასაც ბრუსკონი-კახიანი რეპეტიციას ეძახის: ესაა საკუთარი შვილების უსაზღვრო წვალება: ფარდა გახსენი, დაკეტე, დეკორაცია აქ დადგი, იქ დადგი, იქით, აქეთ... „ანტიტალანტებთან“ როლზე მუშაობის გამუდმებული ტანჯვა „თეატრის ციხეა“...

რეჟისორი ქრისტიან პაპკე ქმნის სპექტაკლის მეორე და მესამე პლანს, რაც პიესაში დრამატურგიულად არაა: ესაა მედუქნისა (ნ. ქაცარიძე) და მისი მეუღლის (დ. ხარშილაძე) სცენები, მათ ქალიშვილ ემესა (რ. მაყაშვილი) და ფერუჩიოს სიყვარულის მომხიბლავი პანტომა „ლა დონა ე მობილეს“ მელოდიის ფონზე, რაც თავისთავად, სახალისოა და წარმოდგენას იუმორს მატებს.

აქვე, არ შეიძლება, არ აღინიშნოს ორიგინალური მუსიკალური საუნტრეკები და სახასიათო მუსიკალური გაფორმება (ავტორი მ. ხუნდაძე-ლემანი), რომელიც ხაზს უსვამს სპექტაკლის რეჟისორულ კონცეფციას.

რუსთაველის თეატრის ზემოხსენებული მსახიობები ღირსეულ პარტნიორობას უწევენ მთავარი როლის შემსრულებელს. პროვინციელი მედუქნისთვის, სასტუმროს მფლობელისთვის (ნ. ქაცარიძე) სტუმრების ჩამოსვლა ზეიმის ტოლფასია, მაგრამ ისეთები, როგორიც ბრუსკონის ოჯახია, მისთვის მძიმე ტვირთია – ბრუსკონის პრეტენზიულობა, კატეგორიულობა და ზოგჯერ

გაგრძელება მე-17 გვ.

ᲮᲘᲠᲘᲮᲘᲡᲔᲑᲘ

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

25.02
3.03
2015

№ 8
(272)

17

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲘᲢᲝᲣᲪᲐ

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ. ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠᲐ

ᲛᲔ-16 ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

უზომო უხეშობაც მასში პროტესტს იწვევს, თუმცა იძულებულია, დაემორჩილოს, შეასრულოს მისი ყოველი კაპრიზი და მის წინაშე იცეკვოს კიდეც. მისი მეუღლე (დ. ხარშილაძე) ქალბატონ ბრუსკონის ჩამოსვლის შემდეგ, სიხარულით ასრულებს მუსიკალურ არიებს, მაგრამ შემდგომ, მას აგრესიულად ღებულობს — თითქოს მეუღლესთან ეჭვიანობის ნიშნებიც კი იკვეთება. მსახიობების მიერ შესანიშნავად შესრულებული ეს ორივე სახე ძალიან გამომსახველსა და ქმედითს ხდის წარმოდგენას.

ასევე, ღირსშესანიშნავია ახალგაზრდა მსახიობთა სარას (ქ. ხითირი), ფერუზიოს (ა. მიკუჩაძე-ღაღანიძე) და ერნას (რ. მაყაშვილი) მიერ შესრულებული როლები. როგორც უკვე აღვნიშნე, ორგინალური დრამატურგიული ტექსტით, მათ მხოლოდ ანტურაჟის ფუნქცია უნდა ჰქონოდათ. რუსთაველის თეატრის ამ სპექტაკლში კი, რეჟისორის მეშვეობით, საკმაოდ მნიშვნელოვანი და ქმედითი ფუნქცია შეიძინეს. სარა (ქ. ხითირი) ამაოდ ცდილობს გაექცეს დედამისის მიერ შექმნილ გარემოს, ფელიჩიო (ა. მიკუჩაძე-ღაღანიძე) ცდილობს, დას შეუმსუბუქოს ცხოვრება და დედის რისხვისგან იხსნას, თუმცა არც თვითონაა კარგ დღეში. ერნა (რ. მაყაშვილი) ჯერ კიდევ გულუბრყვილო გოგონა, რომლისთვისაც რაც გარშემო ხდება, მხოლოდ თამაშია, ყურადღებით აკვირდება ქალბატონ ბრუსკონის და მოხერხებულ მომენტებში ბაძავს, იმეორებს მის ქმედებებს და დასცინის. ამავდროულად, ფე—ლიჩიოთი გატაცებული თანაუგრძნობს თავის თანატოლებს.

ნებისმიერი თეატრის სცენური კულტურა იმით ფასდება, რამდენად სრულყოფილია ის პროდუქცია, რასაც ქმნის, როგორც კულტურულ ნაწარმოებს, სთავაზობს მაყურებელს, რაოდენ სახოვანია და რამდენად ესთეტიურად წარსდგება იგი საზოგადოების წინაშე. რუსთაველის თეატრს ეს განსაკუთრებით ხელეწიფება. პრემიერა, რომელიც ვნახეთ, ამ კულტურას სრულად პასუხობს და, გნებავთ, აგრძელებს ტრადიციებსაც. მხედველობაში მაქვს სცენოგრაფიული კულტურა და სპექტაკლის გაფორმების ტექნოლოგია.

„სანახაობის მომწყობის“ სცენოგრაფია (ხ. ხუნდაძე) ქმედითი დეკორაციაა. მხატვარმა შემოგვთავაზა და სცენაზე გადაიტანა ის, რაც მხოლოდ სტრიქონებს შორის შეძლება ამოიკითხო. სახეზეა დრამატურგის, რეჟისორისა და სცენოგრაფის ერთობლივი აზროვნების შედეგი: სპექტაკლის დასაწყისში უზარმაზარი პანო — დეკორაციების საწყობი, უამრავი ბუტაფორიის შესანახი ადგილი, სადაც პირველად ქალბატონი ბრუსკონი აღმოჩნდება; მარჯვენა კუთხეში, როგორც ტელევიზორის ეკრანზე, პროეცირდება სპექტაკლის დანარჩენ მონაწილეთა ჯგუფური პორტრეტი, სასტუმროს ნომერი მოდერნისტული „პეიზაჟებით და სტალინის პორტრეტით“, ფარდის იქით სამზარეულოთი, სადაც ლორიანი წვნიანი მზადდება. აქ, ამ სცენაზე ყოველი დეტალი გათვლილია, თავის ფუნქციას ასრულებს და თამაშდება, თუნდაც მომავალი სპექტაკლის გაფორმება — მანეკენებით, ისტორიული პიროვნებების — ჰიტლერის, სტალინის ფიზიონომიით, ნაპოლეონის კოსტიუმებით და აშ. ყოველივე ამას ავსებს და განსაკუთრებულ სილამაზეს სძენს მსახიობთა კოსტიუმები (მხატვარი ა. ნინუა) — შესრულებული დიდი გემოვნებითა და უზადო ხელოვნებით.

და აი, დადგა პრემიერის დღეც: ყველაფერი მზადაა, დარბაზი სავსეა, ქალაქის მერიც კი ესწრება წარმოდგენას, სცენაზეა ყველა ისტორიული პიროვნების ორეული, მხოლოდ ქალბატონი ბრუსკონი ვერ პოულობს ადგილს. მისი მოძრაობები კონვულსიურია და ისტერიული და... სპექტაკლის დასაწყისის მოლოდინში იხსნის ნიღაბს, რომელსაც მთელი ცხოვრება ატარებდა და აღიარებს, რომ: „განდიდების მანია აქვს“ და აქვე, იწყება კატასტროფა, რომელიც თვითონ იწინასწარმეტყველა და რის შედეგებსაც იმკის: გაისმის აკრძალული მობილური ტელეფონის ზარი და მის მიერ შექმნილი თეატრალური სამყარო ინგრევა. „მსოფლიო კომედიის“ უტოპიური წარმოდგენა არ შედგება — თეატრში გაჩენილ ხანძარს ქალბატონი ბრუსკონი შეეწირება. ფინალი სრულიად ლოგიკურია — ქალბატონმა ბრუსკონიმ საკუთარი თავი ამოწურა.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲧᲐᲕᲖᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲐ

ᲤᲠᲘᲗᲮᲘᲚᲐᲓ: ᲮᲛᲐᲣᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ 300-ᲓᲐᲜ 1000-ᲚᲐᲠᲐᲛᲓᲔ ᲓᲐᲯᲐᲠᲘᲛᲓᲔᲑᲘᲗ!

თბილისის ცენტრალურ უბნებში კაფე-ბარები და რესტორნები სოკოებივითაა მომრავლებული. შესაბამისად, ხმაურმაც იმატა, რის გამოც მოსახლეობა ქრონიკულ უძილობასა და ფსიქიკურ მოშლილობას უჩივის და რახანია, ხელისუფლებას დახმარებას სთხოვს... სავარაუდოდ, 1 სექტემბრიდან ძალაში შევა კანონი, რომლის მიხედვითაც, რესტორნებსა და ბარებს, ასე ვთქვათ, ხმაურის ლიმიტი დაუწესდებათ. თბილისის საკრებულოს იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე თედო კობახიძე ამბობს, რომ ზემოხსენებული ინიციატივით დედაქალაქის საკრებულოს დეპუტატმა ალეკო ელისაშვილმა მიმართა, რის შემდეგაც, შეხვედრები მხოლოდ მოსახლეობასთან კი არა, შსს-ს, ჯანდაცვის და გარემოს დაცვის სამინისტროების, ასევე, პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და ჯანდაცვის კომიტეტების, თბილისის საკრებულოს სხვადასხვა კომისიისა და ფრაქციის წარმომადგენლებთან გაიმართა...

ᲠᲝᲒᲝᲠ ᲒᲐᲖᲝᲛᲐᲕᲡ ᲞᲐᲢᲠᲣᲚᲘ ᲮᲛᲐᲣᲠᲘᲡ ᲓᲔᲪᲘᲑᲐᲚᲡᲚ — ᲙᲐᲜᲝᲜᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲨᲔᲛᲝᲛᲓᲒᲝᲛᲘᲓᲐᲜ ᲐᲛᲝᲥᲛᲔᲓᲓᲔᲑᲐ

— ბატონო თედო, სიმშვიდის დარღვევას კერძოდ რომელი ქუჩის მცხოვრებლები უჩივიან, ან ძილის საშუალებას ვინ არ აძლევთ?

— თბილისში ხალხმრავალი და ხმაურიანი ადგილი ბევრია. ამიტომ, მოსახლეობას ბარ-რეტორნებიდან გამოსული ხმაური აწუხებს. მაგალითად, ახვლედიანის და ტაბიძის ქუჩები ბარ-რესტორნებითაა გადატვირთული და იქ მცხოვრებთ რახანია, მშვიდი ძილის საშუალება არ აქვთ. ასევე, ისეთი ადგილებიცაა, სადაც ქარხნები მუშაობს და სადაც მუდმივად ჩარხის ხმა ისმის, რამაც შეიძლება, ფსიქიური მოშლილობა გამოიწვიოს.

— გეთანხმებით, მაგრამ ამის გამო ქარხნები, რომელიც ისედაც არ გვაქვს და ბარ-რესტორნები ხომ არ დაიხურებიან?

— დახურვას არავინ ითხოვს. უბრალოდ, კანონპროექტის შესაბამისად, დილის 7-დან 11 საათამდე დასაშვები 40 დეციბალამდე ხმაური იქნება, საღამოს კი, 23-დან დილის 7 საათამდე — 30 დეციბალი. ასევე, შემოვა საჯარიმო სანქციებიც: ფიზიკური პირებისთვის ერთჯერად ჯარიმად, დღის განმავლობაში, 150 ლარი დაწესდება, საღამოს საათებში — 300 ლარი. იურიდიული პირებისთვის პირველ ჯერზე ჯარიმის თანხა 500 ლარით განისაზღვრება, ღამის საათებში — 1000 ლარით. ხმაურის განმეორების შემთხვევაში, ჯარიმების რაოდენობა გაორმაგდება.

— დეციბალებს ვინ, ან რა გაზომავს?

— დეციბალები სპეციალური ხელსაწყოთი იზომება. დღის საათებში აღებული გვაქვს 40 დეციბალი, ღამის საათებში კი, მაქსიმალური ზღვარი 30 დეციბალია. ეს დადგენილია ჯანდაცვის მინისტრის სპეციალური ბრძანების საფუძველზე, რომელიც ევროკავშირის პრაქტიკიდანაა აღებული, ანუ ახალი არაფერი გამოგვიგონია... გვინდა, ადამიანები გადამეტებულმა ხმაურმა არ შეაწუხოს.

— ანუ, ხმაურის აკრძალვა ევროკავშირის დირექტივაა?

— დიახ, ასეა. აკრძალვა ევროპაში მოქმედი ნორმაა და გვინდა, ეს პრაქტიკა ჩვენთანაც დავნერგოთ. ბოლოს და ბოლოს, ხალხი წესრიგს ხომ უნდა მიეჩვიოს?

— მათ, ვისაც ბარ-რესტორნები მაღალსართულიანი სახლების პირველ სართულებზე აქვთ, რა უნდა ქნან?

— პრობლემა არ შეექმნებათ. შეუძლიათ, მუსიკაც დაუკრან და იმღერონ, მაგრამ იმ პირობით, რომ კედლების, ჭერისა და იატაკის იზოლირებას მოახდენენ და პერმანენტული ხმაურით მეზობლებს არ შეაწუხებენ. მოკლედ, ბიზნესის ხელისშეშლას არ ვგეგმავთ.

— კანონი როდიდან ამოქმედდება?

— წელს, 1 სექტემბრიდან, ან მომავალი წლის 1 იანვრიდან. მანამდე ყველას ექნება საშუალება, კანონს გაეცნოს და ის შედეგები გაიაზროს, თუ რა მოჰყვება კანონდარღვევას.

— წესრიგს, გეთანხმებით, უნდა მივეჩვიოთ, მაგრამ, ბატონო თედო, შეზარხოშებულ ხალხს რესტორნის მეპატრონე ცეკვა-სიმღერას როგორ აუკრძალავს?

— სიმღერა ღრიალს არ ნიშნავს, თან რესტორნის მფლობელებმა უნდა მოახერხონ, რომ ხმაური გარეთ არ გამოვიდეს — არსებობს საშუალებები, რომლებიც ხმაურს თრგუნავენ.

— ამ ინიციატივას რესტორნების და ბარების მეპატრონეებისგან რა გამოხმაურება მოჰყვა?

— გამოხმაურება ჯერჯერობით არ ყოფილა. სამაგიეროდ, ხმაურისგან შეწუხებულ მოსახლეობას იმედი აქვს, რომ ახალი კანონი დროულად ამოქმედდება.

— ბატონო თედო, კანონპროექტზე მუშაობისას ისიც შეისწავლეთ, თუ რა გავლენას ახდენს პერმანენტული ხმაური ადამიანის ფსიქიკაზე?

— დიახ... ექიმებისგან შევიტყვეთ, რომ იმ ადამიანებში, ვისაც ხმაურით გამოწვეული უძილობა აწუხებთ, მატულობს ალერგიის, მაღალი არტერიული წნევის, შაკიკის და გულ-სისხლძარღვთა დაავადებების რისკი. ხმაური, ასევე, იწვევს ფსიქიკურ აშლილობას. სხვათა შორის, ირლანდიული კანონმდებლობით, პირი, რომელიც ამ კანონს არღვევს, 12-წლიანი პატიმრობით ისჯება. გერმანიის კანონმდებლობით კი, პატიმრობის ვადა 3 წელია. მოკლედ, პერმანენტულმა და განგრძობითმა ხმაურმა ადამიანს ჯანმრთელობა შეიძლება, სერიოზულად დაუზიანოს...

— იმ შემთხვევაში, თუკი მეზობელი მუდმივად ხმაურობს და დაძინების საშუალებას არ მაძლევს, ხმაურის დეციბალს ვერ გავზომავ და ასეთ დროს როგორ უნდა მოვიქცე?

— ამ შემთხვევაში, საპატრულო პოლიცია უნდა გამოიძახოთ, რომელიც ხმაურის დეციბალს გაზომავს. დღეს დეციბალის გამზომი სულ 4-5 აპარატი არსებობს, ისიც — მოძველებული და დიდი ზომის. ამიტომ, მისი ტარება არაკომფორტული იქნება, თუმცა ველოდებით ახალ მობილურ ხმაურმზომებს, რომელთა მეშვეობითაც ხმაურის შეფასება მოხდება და პატრული ჯარიმის ქვითარსაც ადგილზე გამოწერს.

— ამ საქმეში პატრული რატომ ჩართეთ?

— იმიტომ, რომ პატრული 24-საათიან რეჟიმში მუშაობს და როგორც კი მოქალაქე 112-ში დარეკავს, მასთან მაშინვე მობილური ჯგუფი გაჩნდება.

— თუ სოციალურად დაუცველი ვარ, ხმაურის გამო დამაჯარიმეს და ჯარიმას ვერ ვიხდი, რა მელის?

— სოციალურად დაუცველებს ჯარიმისგან არავინ ათავისუფლებს. რადგან სოციალურად დაუცველია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ უფლება აქვს, ადმინისტრაციული, ან სისხლის სამართლის დანაშაული ჩაიდინოს. მოსახლეობა უნდა შეეგუოს, რომ პატივი სცეს სხვას და მისი უფლებები არ დაარღვიოს.

ᲔᲡᲐᲣᲑᲠᲐ ᲜᲐᲗᲘᲐ ᲚᲔᲑᲐᲜᲘᲫᲔ

18 | № 8 (272) | 25.02 3.03 2015

ეროვნული ოტუჯა

ლიტერატურა. ზელმჭნეული. პოლიტიკა

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

საინფორმაციო მხარდაჭერა

თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი

1 3 5

საბაკალავრო პროგრამები

- სამართალმცოდნეობა
- ჟურნალისტიკა
- ბიზნესის ადმინისტრირება
- ტურიზმი
- ინგლისური ფილოლოგია
- აგროინჟინერია
- საერთაშორისო ურთიერთობები
- საჯარო მმართველობა
- სასურსათო ტექნოლოგიები

საბაკალავრო პროგრამების არჩევითი მოდულები

- მენეჯმენტი
- ფინანსები
- საბუღალტრო აღრიცხვა
- ტურიზმი
- ჰიდრომელიორაცია
- სს მექანიზაცია
- სს ელექტროფიკაცია

ინგლისური ფილოლოგიისა და სასურსათო ტექნოლოგიების საბაკალავრო პროგრამებზე *სტუდენტს შეუძლია, აირჩიოს დამატებითი სპეციალობა 60 კრედიტის ფარგლებში (minor ბიზნესის ადმინისტრირებაში, ან ტურიზმში)*

სამაგისტრო პროგრამები

- მენეჯმენტი
- ფინანსები
- ტურიზმი
- სადაზღვევო საქმე
- სურსათის უვნებლობა
- მეცხოველეობის პროდუქტებისა და ნედლეულის საქონელმცოდნეობა

მოდულის არჩევითი კურსები – 60 ECTS კრედიტი, ან დამატებითი სპეციალობები (*minor*) – 60 ECTS კრედიტი.

შეთავაზებული დამატებითი პროგრამებიდან სტუდენტს შეუძლია, აირჩიოს აგრარული მიმართულები:

- **სურსათის ტექნოლოგია** – Food Technology - **0104**
- **მეცხოველეობის პროდუქციის ნედლეულის წარმოება და პირველადი დამუშავება** – Production and primary processing of raw animal products – **0103)**
- **ან სხვა სპეციალობის** *minor*

წლიური გადასახადი 2250 ლარი

მის.: ეგ. ნინოშვილის №55; mail: tbuniver.edu@gmail.com;
ტელ.: 296-01-04; 296-01-90; 296-90-33

„კარიბის ზღვის მეკობრეების“ მეხუთე ნაწილი ეკრანებზე 2017 წელს გამოვა

„მკვდრები ზღაპრებს არ ჰყვებიან“ – ასე ჰქვია „კარიბის ზღვის მეკობრეების“ მეხუთე ნაწილს, რომლის გადაღებებიც ავსტრალიაში, კერძოდ, ქუინსლენდის შტატში მიმდინარეობს.

მეხუთე სერიაში ჯეკ ბეღურას როლს კვლავ ჯონი დეპი ითამაშებს. კაპიტან სალაზარის კი, ჰავიერ ბარდემი განასახიერებს. ამასთან, ფილმში ისევ მონაწილეობს ორლანდო ბლუმი, რომელიც ტრადიციულად, უილ ტერნერის როლშია. ქალის მთავარ როლს კი, კაია სკოდალერიო ასრულებს, რომელსაც პოპულარობა ფილმებმა – „ლაბირინთში მორბენალი“ და „ჭექა-ქუხილის უღელტეხილი“ მოუტანეს.

„კარიბის ზღვის მეკობრეების“ მეხუთე ნაწილს იოჰიმ რონინგი და ესპენ სანდბერგი იღებენ.

ფილმის – „მკვდრები ზღაპრებს არ ჰყვებიან“ პრემიერა 2017 წლის 7 ივლისს გაიმართება.

ბიონსე და რიანა ერთმანეთს დაერივნენ

ბიონსეს გარშემო შავი ღრუბლები იკვრება. ყოველ შემთხვევაში, დასავლური პრესის მონაცემებით, მომღერალი ვერ ურიგდება, რომ მისი თანამეცხედრე დიდ დროს ბარბადოსელი ლამაზმანის, რიანას გარემოცვაში ატარებს. ჰოდა, ამას წინათ, ბიონსეს ნერვებმა, თურმე, ისე უმტყუნა, რომ ქმარს სკანდალი პირდაპირ რესტორანში მოუწყო.

საერთოდ, ცნობილია, რომ ბიონსე და რიანა ერთმანეთს დასანახად ვერ იტანენ. არცთუ დიდი ხნის წინ, ბიონსე რიანას იმ მიზეზით შემოსწყრა, რომ ამ უკანასკნელმა ბიონსეს ქალიშვილთან ერთად ფოტო გადაიღო.





პამელა ანდერსონი ქმარს ისევ გაშორდა

ამერიკელი პამელა ანდერსონი, როგორც იტყვიან, კვლავ სასამართლოს კარზეა – 47 წლის მსახიობი ქმარს, პოკერისტსა და პროდიუსერ რიკ სალომონს მესამედ ეყრება.

პამელა და რიკი 2007 წელს დაქორწინდნენ, თუმცა ჯვრისწერიდან ორი თვის შემდეგ, მსახიობმა განაცხადა, რომ ქმარს გაშორდა.

2014 წლის იანვარში, აქტრისამ და პროდიუსერმა ხელმეორედ იქორწინეს, ნახევარი წლის შემდეგ კი, ისევ გაიყარნენ. მოგვიანებით, ისევ შერიგდნენ.

ისე, არავინ იცის, პამელა ქმარს ასე წარამარა რატომ ეყრება.

ამერიკელი გოგონა, რომელსაც სამი ძუძუ აქვს

21 წლის ჟასმინ ტრიდევილი აშშ-ში, კერძოდ, ფლორიდის შტატში ცხოვრობს. ჟასმინი მსოფლიომ ერთობ პიკანტური დეტალის გამო გაიცნო – მას სამი ძუძუ აქვს, თუმცა მესამე ძუძუ ბუნებრივი კი არა, ხელოვნურია, რომლის „მიკერებაშიც“ ჟასმინმა 12 000 გირვანქა-სტერლინგი გადაიხადა.

ნიაგარა გაიყინა

წლევანდელმა ძლიერმა ყინვამ აშშ-ში მილიონობით ადამიანს პრობლემა შეუქმნა. ეს კი არადა, აშშ-სა და კანადის სახელმწიფო საზღვარზე მდებარე ნიაგარას ჩანჩქერიც გაიყინა.

„დადუმებული“ ნიაგარას სანახავად ათასობით ტურისტი მიდის...

მარიო ჩიმაროს პარტნიორი მოუკვდა

რამდენიმე დღის წინ, ცნობილი გახდა, რომ მექსიკური სერიალების ვარსკვლავი, 44 წლის ლორენა როხასი გარდაიცვალა. მას ქართველი მაყურებელი სერიალ „მეორე სიცოცხლით“ იცნობს, სადაც პარტნიორობას მარიო ჩიმაროს უწევდა.

გარდაცვალების მიზეზი ძუძუს კიბო გახდა – დაავადება ვარსკვლავს 2008 წლიდან სტანჯავდა. მართალია, ექიმები იმედს ვერ აძლევდნენ, მაგრამ მიუხედავად ამისა, ლორენამ, ბოიფრენდ ხორხე მონიესთან ერთად, 2013 წელს გოგონა იშვილა...

ჯანსულის სიცილნათელები

27 თებერვალი

კაცი სავსე რაინდული ღონით,
ხასიათით ნეტავ, ვის ჰგავს, ვისა?
ოცდაშვიდში დაიბადა ჯონი,
ჯონი – მამა ირმა გიგანისა!

ბიძინა

ღმერთმა იცის ამ ქვეყნად,
ვის ღვიძავს და ვის ძინავს,
ერთადერთი, ვისაც ღვიძავს,
გაუმარჯოს ბიძინას!

ისევ ორეულს!

დღეს, ვით ფაშისტი, ჰიტლერს გეტყვი, –

მტერმა ბოღმა შეგყარა,
ჭკუაც გაქვს და ინტელექტიც,
რომ დაამხო ქვეყანა.

ორეული

ამის ტაცია, იმის ტაცია,
შენა ხარ ნაღდი იმიტაცია
და რომ ჩაიცვა ამ დროს კიტელი,
შენა ხარ ნაღდი ადოლფ ჰიტლერი.

მარაზმი

ყველაფერი
როცა რჩება მითებად,
როცა ტვინში
ნაღველიც კი არა ზის,
ფსიქიკურად
სრული დაქვეითება,
მაშ, რა არის?
რა არის და, მარაზმი!

ვანოს!

თუ გსურს, ჯანსუღთან
დარჩე ვანია,
ეს მხოლოდ შენი
არჩევანია!

გლამურული ამბები

ჰოლი ბერი კოსმეტიკის წინააღმდეგ ილაშქრებს

ჰოლი ბერი ის ჰოლივუდელია, რომელსაც პლასტიკური ქირურგისთვის არასოდეს მიუმართავს. საერთოდ, ვარსკვლავი „მარადიული ახალგაზრდობის“ ხელოვნურ პროცედურებს სკეპტიკურად უყურებს.

„დაბერება ბუნებრივი პროცესია. უბრალოდ, უნდა ისწავლოთ, ლამაზად როგორ დაბერდეთ... მინდა, ყოველთვის ის ვიყო, რაც ახლა ვარ. კოსმეტიკური პროცედურებით კი, საკუთარ თავს კარგავ და ვიღაც სხვა ადამიანი ხდები. მიუხედავად ამისა, ქალების უმეტესობა ამ გადაწყვეტილებამდე საზოგადოების ზეწოლის გამო მიდის – როცა ხედავ, რომ შენს გარშემო ყველა პლასტიკურ ოპერაციას იკეთებს, ან კოსმეტიკას ეძალება, ერთხელ, შენს თავშიც გაიელვებს აზრი, მეც ხომ არ გავიკეთო ოპერაცია? აუცილებელია, მოვიშოროთ სხვებზე დამოკიდებულობის განცდა და თუ შევეგუებით აზრს, რომ შეუძლებელია, არ შევიცვალოთ, ყველაფერი კარგად იქნება“, – ამბობს 49 წლის ჰოლი ბერი, რომელიც თავის გარეგნობას სწორ კვებასა და ცხოვრების ჯანსაღ წესს უმადლის.

იქ ვინ არის?

გემიც ჰქონდა,
თვითმფრინავიც,
ახლა სადღაც
მიჰქრის ნავი,
აქ ვიცოდი,
ვინ იყო და,
ახლა, ნეტა,
იქ ვინ არის?

„კაგებეშნიკები“

კაცთმოძულე და უტვინო
რუსეთის გენერალია,
სუყველაფერი, პუტინო,
შენი „კა-გე-ბე“-ს ბრალია.
ჩემგან რა უნდათ, ნეტავი,
რა უნდათ და რას ელიან,
სახელად მქვია სამსალა,
გვარად ვარ დარასელია.

სამართალი

ვაი, ჩვენო ივერია,
დღეს ქართველი ავად არი,
სამართალი მშიერია,
პურს ვეღარ ჭამს სამართალი.

ფიცი

ჩვენი ფიცი არც ფიცია,
არის მხოლოდ ამბიცია.

დიზაინის საავტორო უფლებები დაცულია

ISSN 2298-0024

9 772298 002004 47922

მთავარი რედაქტორი: ჯანსულ ჩარკვიანი
მთ. რედაქტორის მოადგილე: ვანო პავლიაშვილი
სარედაქციო კოლეგია:
ჭაბუა ამირეჯიბი, მერაბ ბერძენიშვილი, ბაჩანა ბრეგვაძე, თემო გოცაძე, ემზარ კვიტაიშვილი, არმაზ სანებლიძე,

მედია-ჯგუფი: მარიკა კახაძე, ნათია გოგიტიძე, ნათია ვერძეული, ნათია ლებანიძე.
დიზაინერი და ფოტოკორესპონდენტი: ზურა მეგრელიშვილი.

გაზეთი რეგისტრირებულია რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) მიერ. რეგისტრაციის №22851

მისამართი: 26 მაისის მოედანი. №1
ტელ.: 272-63-90
E-Mail: qartulisityva@gmail.com
გაზეთი მოქმედებს თავისუფალი პრესის პრინციპით